მოსწავლეთა ჩართვა გადაწყვეტილების მიღების პროცესში საქართველოს სკოლებსა და თემებში

სკოლის დემოკრატიული მმართველობისა და დემოკრატიული მოქალაქეობის სფეროში საქართველოში არსებული მდგომარეობის საბაზისო შეფასების ანგარიში

ოქტომბერი, 2022

COUNCIL OF EUROPE

CONSEIL DE L'EUROPE

მოსწავლეთა ჩართვა გადაწყვეტილების მიღების პროცესში საქართველოს სკოლებსა და თემებში

სკოლის დემოკრატიული მმართველობისა და
დემოკრატიული მოქალაქეობისთვის განათლების
სფეროში არსებული მდგომარეობის შეფასების ანგარიში
მომზადებულია ევროპის საბჭოს პროექტის
"დემოკრატია იწყება სკოლაში – მოსწავლეთა ჩართვა
გადაწყვეტილების მიღების პროცესებში სკოლასა
და ადგილობრივ თემში" ფარგლებში

ოქტომბერი 2022

მომზადებულია რალფ ედუარდ ჰადლსტონისა და მაია არავიაშვილის მიერ.

კოორდინატორი: თამუნია ჭინჭარაული.
მთარგმნელი: ნინო ალი.
რედაქტორები: მაია არავიაშვილი, ნათია ნაცვლიშვილი.

ანგარიში მომზადებულია პროექტის "დემოკრატია იწყება სკოლაში – მოსწავლეთა ჩართვა გადაწყვეტილების მიღების პროცესებში სკოლასა და ადგილობრივ თემში" ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს ევროპის საბჭო განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობითა და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით.

ორიგინალი სათაური: Engaging Schoolchildren in Decision-making processes in Georgia (English version)
წინამდებარე პუბლიკაციის გამოცემა უზრუნველყოფილია ევროპის საბჭოს მიერ, ქართულ ტექსტზე მთარგმნელის პასუხისმგებლობით.

ამ ნაშრომში მოსაზრებები გამოთქმულია ავტორ(ებ)ის პასუხისმგებლობით და არ უნდა აღვიქვათ ევროპის საბჭოს ან შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს ოფიციალურ პოლიტიკად.

ყველა შეცდომა წარმოადგენს ავტორ(ებ)ის პასუხისმგებლობას.

ყველა თხოვნა დოკუმენტის მთლიანად ან ნაწილობრივ გამოქვეყნებაზე/თარგმნაზე უნდა წარედგინოს კომუნიკაციის დირექტორატს (F-67075 სტრასბურგი Cedex ან publishing@coe.int).

ყველა სხვა თხოვნა ამ დოკუმენტთან დაკავშირებით უნდა წარედგინოს პროექტს "დემოკრატია იწყება სკოლაში", ევროპის საბჭოს ოფისი საქართველოში education.georgia@coe.int

ყდა და დიზაინი: ელენა უკლება
ფოტო: Shutterstock.

წინამდებარე პუბლიკაციას არ გაუვლია რედაქტირება SPDP-ის სარედაქციო განყოფილებაში, ტიპოგრაფიული ან გრამატიკული შეცდომების გასასწორებლად.

© ევროპის საბჭო, 2022 წლის ოქტომბერი.

სარჩევი

1. მოკლე მიმოხილვა 7

2. შესავალი 9

2.1. ევროპის საბჭოს პროექტი „დემოკრატია იწყება სკოლაში“ 11

2.2. მოსწავლეთა ჩართვა გადაწყვეტილების მიღების პროცესებში 12

დემოკრატიული კულტურის კომპეტენციები 13

ჩართულობის დონეები 15

საერთო სასკოლო მიდგომა 15

3. მეთოდოლოგია 17

4. შეფასების შედეგები 19

4.1. სასკოლო კლიმატი 19

4.1.1. კანონმდებლობა 20

4.1.2. დირექტორთა ხედვები და დამოკიდებულებები 21

4.1.3. მასწავლებელთა ხედვები და დამოკიდებულებები 22

4.1.4. მოსწავლეთა ხედვები და დამოკიდებულებები 23

4.1.5. მთავარი გამოწვევები 23

4.1.6. რეკომენდაციები 25

4.2. ლიდერობა და მართვა 25

4.2.1. კანონმდებლობა 26

4.2.2. დირექტორთა ხედვები და დამოკიდებულებები 26

4.2.3. მასწავლებელთა ხედვები და დამოკიდებულებები 27

4.2.4. მოსწავლეთა ხედვები და დამოკიდებულებები 28

4.2.5. მთავარი გამოწვევები 28

4.2.6. რეკომენდაციები 29

4.3. სამეურვეო საბჭო 30

4.3.1. კანონმდებლობა 30

4.3.2. დირექტორთა ხედვები და დამოკიდებულებები 31

4.3.3. მასწავლებელთა ხედვები და დამოკიდებულებები 32

4.3.4. მოსწავლეთა ხედვები და დამოკიდებულებები 32

4.3.5. მთავარი გამოწვევები 33

4.3.6. რეკომენდაციები 34

4.4. მოსწავლეთა თვითმმართველობა 35

4.4.1. კანონმდებლობა 35

4.4.2. დირექტორთა ხედვები და დამოკიდებულებები 36

4.4.3. მასწავლებელთა ხედვები და დამოკიდებულებები 36

4.4.4. მოსწავლეთა ხედვები და დამოკიდებულებები 37

4.4.5. მთავარი გამოწვევები 38

4.4.6. რეკომენდაციები 39

4.5. სასკოლო კურიკულუმი 41

4.5.1. კანონმდებლობა 41

4.5.2. დირექტორთა ხედვები და დამოკიდებულებები 44

4.5.3. მასწავლებელთა ხედვები და დამოკიდებულებები 44

4.5.4. მოსწავლეთა ხედვები და დამოკიდებულებები....45
4.5.5. მთავარი გამოწვევები....45
4.5.6. რეკომენდაციები....46
4. 6. კლასში სწავლა და სწავლება 46
4.6.1. კანონმდებლობა....47
4.6.2. დირექტორთა ხედვები და დამოკიდებულებები....48
4.6.3. მასწავლებელთა ხედვები და დამოკიდებულებები....48
4.6.4. მოსწავლეთა ხედვები და დამოკიდებულებები....49
4.6.5. დისტანციური სწავლა და სწავლება....50
4.6.6. მთავარი გამოწვევები....50
4.6.7. რეკომენდაციები....51
4.7. სამოქალაქო განათლება 52
4.7.1. კანონმდებლობა....53
4.7.2. დირექტორთა ხედვები და დამოკიდებულებები....54
4.7.3. მასწავლებელთა ხედვები და დამოკიდებულებები....54
4.7.4. მოსწავლეთა ხედვები და დამოკიდებულებები....55
4.7.5 მთავარი გამოწვევები....56
4.7.6. რეკომენდაციები....58
4.8. კლასგარეშე აქტივობები 58
4.8.1. კანონმდებლობა....59
4.8.2. დირექტორთა ხედვები და დამოკიდებულებები....59
4.8.3. მასწავლებელთა ხედვები და დამოკიდებულებები....60
4.8.4. მოსწავლეთა ხედვები და დამოკიდებულებები....61
4.8.5. დისტანციური კლასგარეშე აქტივობები....62
4.8.6. მთავარი გამოწვევები....62
4.8.7. რეკომენდაციები....65
4.9. პროფესიული განვითარება და რესურსები 65
4.9.1. კანონმდებლობა....66
4.9.2. საკითხზე მომუშავე დაინტერესებული მხარეები....67
4.9.3. დირექტორთა ხედვები და დამოკიდებულებები....68
4.9.4. მასწავლებელთა ხედვები და დამოკიდებულებები....69
4.9.5. მოსწავლეთა ხედვები და დამოკიდებულებები....70
4.9.6. დისტანციური პროფესიული განვითარება....70
4.9.7. მთავარი გამოწვევები....70
4.9.8. რეკომენდაციები....72
5. SWOT ანალიზი: სკოლის მოსწავლეთა ჩართვა დემოკრატიულ პროცესებში სკოლებში 74
6. დაინტერესებული მხარეების რუკა 76
7. გასავითარებელი მიმართულებებისა და რეკომენდაციების შეჯამება 77

1. მოკლე მიმოხილვა

1991 წელს, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, საქართველო ბევრი ისეთი პოლიტიკური გამოწვევის წინაშე დადგა, რომელიც დამახასიათებელია ახალი დემოკრატიული სახელმწიფოსთვის. მას შემდეგ საქართველომ დიდი პროგრესი განიცადა დემოკრატიული საზოგადოების შენების გზაზე, მაგრამ ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი ნაბიჯებია გადასადგმელი. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოქალაქეთა ჩართულობას. ჩართული მოქალაქე განაპირობებს უკეთესი მთავრობისა და უფრო მდგრადი დემოკრატიის ჩამოყალიბებას.

ბოლო წლებში განათლების რეფორმებმა მოქალაქეობრივი ცნობიერება სასკოლო კურიკულუმის ცენტრში მოაქცია. საქართველო ერთ-ერთი პირველი ქვეყანაა, რომელმაც ევროპის საბჭოს დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების სარეკომენდაციო ჩარჩოს ინტეგრირება მოახდინა ეროვნულ სასწავლო გეგმაში. აღნიშნული ჩარჩოსა და დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა სწავლების შესახებ ევროპის საბჭოს ქარტიის (რომელსაც ეფუძნება ეს ჩარჩო) სკოლებში დანერგვის ხელშესაწყობად, განხორციელდა საერთაშორისო და ადგილობრივი პროექტები. ამავე დროს, სამოქალაქო განათლება წარმოადგენს სავალდებულო საგანს ქართულ სკოლებში. დაფუძნდა სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმი და გამოიცა მასწავლებლის ახალი სახელმძღვანელოები და სასწავლო რესურსები, დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა სწავლების შესახებ ევროპის საბჭოს ძირითადი ტექსტების თარგმანებთან ერთად.

თუმცა, გასული რამდენიმე წლის არჩევნებზე ამომრჩეველთა დაბალი აქტივობა მიუთითებს იმაზე, რომ ახალგაზრდებში კიდევ ბევრი სამუშაოა გასაწევი.[1] ცნობიერების ამაღლებისთვის განკუთვნილი ღონისძიებები გადამწყვეტი მნიშვნელობისაა ახალგაზრდებისთვის იმის გაცნობიერებლად, რომ სამოქალაქო ჩართულობა მნიშვნელოვანია ქართული დემოკრატიის სრულყოფისათვის. ამ მიზნით, ევროპის საბჭო იწყებს ახალ პროექტს [დემოკრატია იწყება სკოლაში – მოსწავლეთა ჩართვა გადაწყვეტილების მიღების პროცესში სკოლასა და ადგილობრივ თემში](), რომელიც ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობით და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით. პროექტის მიზანია საქართველოში დემოკრატიის გაძლიერება ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესებში ახალგაზრდების გაზრდილი მონაწილეობით, რაც შესაძლებელი გახდება სკოლებში დემოკრატიული მოქალაქეობის სწავლებისა და პრაქტიკის გზით.

წინამდებარე ანგარიში პროექტის ერთ-ერთი საწყისი კომპონენტია. ეს არის სკოლების დემოკრატიული მმართველობის არსებული მდგომარეობისა და სკოლის დონეზე დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლების საბაზისო შეფასება საქართველოში, გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოსწავლეთა მონაწილეობის თვალსაზრისით. ეს შეფასება მიზნად ისახავს სკოლის დემოკრატიულ მმართველობაზე მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოს შემუშავების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას სკოლებისთვის და იძლევა პოლიტიკის შესახებ რიგ რეკომენდაციებს სკოლის დემოკრატიული მმართველობისა და დემოკრატიული

[1] https://www.idea.int/data-tools/country-view/109/40 1992 წლის საპარლამენტო არჩევნებზე აქტივობა იყო 74%, 2020 წელს კი – 56%.

მოქალაქეობისათვის განათლების გასაძლიერებლად. ის, ასევე, მიზნად ისახავს სკოლის დირექტორთა და სკოლის სხვა დაინტერესებულ მხარეთათვის დახმარების გაწევას პროფესიული განვითარების პროგრამების შემუშავებაში.

აღნიშნული ანგარიში ეფუძნება მონაცემებს, რომლებიც შეგროვდა კომბინირებულად, სამაგიდო კვლევის, ფოკუს ჯგუფების, პირისპირ და ონლაინინტერვიუების საფუძველზე, განათლების სფეროს ოფიციალურ პირებთან, პრაქტიკოსებთან და სხვა აქტორებთან, მათ შორის, სკოლის დირექტორებთან, მასწავლებლებსა და მოსწავლეებთან, ასევე, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმის წარმომადგენლებთან.

ანგარიში მოიცავს სასკოლო ცხოვრების 9 სხვადასხვა ასპექტს. ესენია: სასკოლო კლიმატი, ლიდერობა და მართვა, სამეურვეო საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, კურიკულუმი, სწავლა და სწავლება, სამოქალაქო განათლება, კლასგარეშე აქტივობები და პროფესიული განვითარება.[2] ყურადღება გამახვილებულია თითოეული ამ ასპექტის მნიშვნელობაზე, მოსწავლეთა მონაწილეობის თვალსაზრისით, აღწერილია არსებული საკანონმდებლო ბაზა, იდენტიფიცირებულია გასაუმჯობესებელი საკითხები და მოცემულია პოლიტიკური და პრაქტიკული რეკომენდაციები. შემოთავაზებული სამომავლო გასავითარებელი მიმართულებები და რეკომენდაციები შეჯამებულია ანგარიშის ბოლოს მოცემულ ცხრილში, SWOT ანალიზის შემდეგ. ანგარიშის დასაწყისში მოცემულია პოლიტიკური და საგანმანათლებლო კონტექსტის მოკლე აღწერა, ევროპის საბჭოს პროექტის დეტალები, მოსწავლეთა მონაწილეობის კონცეფციის მონახაზი და დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებაში მისი როლი, აგრეთვე, ინფორმაცია მეთოდოლოგიის შესახებ.

ანგარიშში კეთდება დასკვნა, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოსწავლეთა მონაწილეობის შესაძლებლობა მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან საქართველოს სკოლებში. განსხვავებას, დიდწილად, იწვევს პედაგოგიური პერსონალის დამოკიდებულებები, პროფესიული განვითარების შესაბამის ფორმებსა და სათანადო საგანმანათლებლო რესურსებზე ხელმისაწვდომობა. ძირითადი ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს ცვლილებაზე, არის სკოლის დირექტორთა ღირებულებები და დამოკიდებულებები, კერძოდ, მათი შეხედულება იმის თაობაზე, თუ რას ნიშნავს, იყო სკოლის ლიდერი და რა როლი აქვს დირექტორს სკოლის მმართველობაში. მაშინ, როცა ზოგიერთი სკოლის დირექტორი მოწადინებულია, მოსწავლეები და მათი მონაწილეობა სკოლის გადაწყვეტილების მიღების პროცესის ცენტრში მოაქციოს, სხვები ემხრობიან ვერტიკალურ მიდგომას სკოლის მართვაში, რაც გვაბრუნებს საბჭოთა ეპოქაში.

ამის გათვალისწინებით, წინამდებარე ანგარიში ემხრობა სკოლის დემოკრატიული მმართველობის უფრო სტრატეგიულ მიდგომას, ორიენტირებას აკეთებს რა სკოლის დირექტორის როლსა და მოსწავლეთა მონაწილეობის მიმართ საერთო სასკოლო მიდგომის კონცეფციაზე. პრაქტიკულად რომ ვთქვათ, ის რეკომენდაციას უწევს, მათ შორის, შემდეგს: ახალ ვალდებულებებსა და შესაძლებლობათა განვითარების ღონისძიებებს სკოლის დირექტორთათვის; მოსწავლეთა თვითმმართველობებსა და სკოლის საბჭოებში მოსწავლეთა წარმომადგენლობის გაძლიერებას; ზოგად და დარგობრივ მომზადებასა და რესურსებს მასწავლებელთათვის; სამოქალაქო განათლების მასწავლებელთათვის როლის უკეთ განმარტებას მოსწავლეთა მონაწილეობასთან დაკავშირებით სკოლაში, როგორც ერთ მთლიანობაში; და მზარდ შესაძლებლობას მშობლებისა და ოჯახებისთვის, ჩაერთონ სკოლის ადმინისტრირებასა და საკლასო და კლასგარეშე აქტივობებში.

[2] ბოლო კურიკულუმების დოკუმენტებში ტერმინი „სამოქალაქო განათლება“ ჩანაცვლებულია ტერმინით „მოქალაქეობა“. წინამდებარე ანგარიშში ჩვენ ვინარჩუნებთ ძველ ტერმინს „სამოქალაქო განათლება“, რათა ასახულ იქნეს ჩვენი კვლევის მონაწილეთა მიერ გამოყენებული ენა.

2. შესავალი

1991 წელს, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, საქართველო ბევრი ისეთი პოლიტიკური გამოწვევის წინაშე დადგა, რომელიც დამახასიათებელია ახალი დემოკრატიული სახელმწიფოსთვის. საქართველოში დემოკრატიის განვითარება და განმტკიცება დამოკიდებულია პროგრესზე სხვადასხვა სფეროში, მათ შორის, მედიის თავისუფლების, კანონის უზენაესობის, სასამართლოს დამოუკიდებლობისა და ადამიანის უფლებების დაცვის მიმართულებით.

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, დაწყებითი და საბაზო განათლება სავალდებულოა და სრულად ფინანსდება სახელმწიფოს მიერ. 2005 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი ზოგადი განათლების შესახებ, რომელიც განსაზღვრავს განათლების სისტემის საფეხურებსა და პოლიტიკურ პრიორიტეტებს ზოგადი განათლების სფეროში. იმავე წელს ბოლონიის მინისტრთა სამიტზე ბერგენში საქართველო შეუერთდა ბოლონიის პროცესს. ზოგადი განათლების შესახებ კანონის შესაბამისად, საბაზო განათლების მიღება სავალდებულოა. სასკოლო საფეხურების მიხედვით, მოსწავლეთა ასაკობრივი დაყოფა ასეთია: დაწყებითი – 6-დან 11 წლამდე; საბაზო საფეხური – 12-დან 15 წლამდე; საშუალო განათლება – 16-დან 18 წლამდე. დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო სკოლებისთვის სასწავლო წელი იწყება სექტემბერში და სრულდება ივნისში.

2013 წლის ივლისში ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ, საქართველომ განსაზღვრა ეროვნული განვითარების ახალი სტრატეგია – „საქართველო 2020“[3]. აღნიშნული სტრატეგიის თანახმად, ხელმისაწვდომი და ხარისხიანი განათლების სისტემის ჩამოყალიბება განათლების ყველა დონეზე (ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი) საქართველოს მთავრობის პრიორიტეტია. სტრატეგიაში ნათქვამია, რომ განათლება არის მდგრადი განვითარების ფუნდამენტური ფაქტორი და რომ მდგრადი ეკონომიკური განვითარება ვერ მიიღწევა ადამიანურ კაპიტალში ინვესტირების გარეშე. არსებული სოციალური, კულტურული და ეკონომიკური გამოწვევების გადალახვა შესაძლებელი იქნება მხოლოდ მძლავრი, სოციალურად სამართლიანი განათლების სისტემის მეშვეობით. სტრატეგიის „საქართველო 2020“ საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ შეიმუშავა სტრატეგიული დოკუმენტი განათლებისა და მეცნიერების პრიორიტეტების შესახებ, შესაბამის სამთავრობო უწყებებთან, საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან თანამშრომლობით. ამ ახალი სტრატეგიის თანახმად, სამინისტროს პრიორიტეტული სფეროებია: მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის სისტემის შემუშავება; თანაბარი, ხელმისაწვდომი და ინკლუზიური განათლების უზრუნველყოფა; განათლების ხარისხის გაუმჯობესება შედეგზე ორიენტირებული ხარისხის კონტროლის სისტემების მართვის მხარდაჭერის საშუალებით; საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტონომიისა და უწყვეტი მდგრადი განვითარების უზრუნველყოფა; განათლების/მეცნიერების სისტემაში ჩართული ყველა ტიპის ადამიანური რესურსის განვითარების უზრუნველყოფა; საზოგადოების ჩართულობისა და სოციალური პარტნიორობის გაძლიერება; განათლებისა და მეცნიერების სისტემის დაფინანსების ზრდა და დაფინანსების მოდელების ოპტიმიზაცია.

[3] http://www.economy.ge/uploads/ecopolitic/2020/saqartvelo_2020.pdf

„განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიზანია, ჩამოაყალიბოს იმგვარი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლასა და ხარისხიან განათლებაზე თანაბარ ხელმისაწვდომობას, რათა სისტემამ თითოეული პიროვნება მოამზადოს მომავალი ცხოვრებისთვის, ხელი შეუწყოს დასაქმებას, პიროვნულ და პროფესიულ განვითარებას" (განათლებისა და მეცნიერების სტრატეგია, 2017-2021). ის, ასევე, მიზნად ისახავს ხელსაყრელი პირობების შექმნას „ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მქონე თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებისთვის".[4]

ამ მიზნების მხარდაჭერა, ასევე, მოცემულია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2022-2032 წლების სტრატეგიაში. ამ დოკუმენტში განსაკუთრებული აქცენტი კეთდება ხარისხიანი, ხელმისაწვდომი და უწყვეტი განათლების უზრუნველყოფაზე, ასევე, კარგი მმართველობისა და გადაწყვეტილების მიღებისას მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრაქტიკის გაძლიერებაზე.[5]

ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები მოიცავს რამდენიმე პრიორიტეტულ სფეროს. მოქალაქეობისათვის განათლებასა და სამოქალაქო აქტივობის თვალსაზრისით, ისინი ითვალისწინებს, რომ მოზარდებს უნდა ესმოდეთ თავიანთი პასუხისმგებლობები სამშობლოს ინტერესების, ტრადიციებისა და ღირებულებების წინაშე, ხოლო სკოლამ უნდა განავითაროს ეს უნარი მოსწავლეებში. ხაზგასმულია, ასევე, კანონმორჩილი და ტოლერანტი მოქალაქის აღზრდის მნიშვნელობა. სკოლამ ახალგაზრდებში უნდა განავითაროს ადამიანის უფლებების დაცვისა და ადამიანთა პატივისცემის, საკუთარი და სხვების იდენტობის დაცვის უნარი.

ამ თვალსაზრისით, უმნიშვნელოვანესი დოკუმენტია 2018-2024 წლების ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა. მასში ზოგადი განათლების მიზნები განსაზღვრულია, როგორც მოსწავლეთა შესაძლებლობა, განავითარონ კულტურული მემკვიდრეობის შეფასებისა და მასზე ზრუნვის უნარი; ლინგვისტური და კულტურული მრავალფეროვნების გაგებისა და დაფასების უნარი; საკუთარი და სხვა კულტურების წარმომადგენლებთან წარმატებული კომუნიკაციის უნარი; ჯანსაღი ცხოვრების წესი; ენობრივი კომპეტენციები, როგორც შემეცნების უნარი, ფიქრის, თვითგამოხატვისა და კომუნიკაციის უნარი; კონფლიქტის არაძალადობრივი მეთოდებით მართვის უნარი.

ეროვნული სასწავლო გეგმის დაწყებითი საფეხურის საგნების სტანდარტებში მოკლედ არის აღწერილი სამოქალაქო განათლების მხარდაჭერის მოთხოვნები. ამ საფეხურზე შემოტანილ იქნა ახალი საგანი „მე და საზოგადოება" (III-IV კლასებისთვის). აღნიშნული საგნის სწავლების მიზანია მოსწავლეებში საკუთარი თავის, ოჯახის, საზოგადოების, ბუნებრივი გარემოსა და კულტურული მემკვიდრეობის მიმართ პასუხისმგებლობის გრძნობისა და მათზე ზრუნვის უნარის ჩამოყალიბება. V-VI კლასებში ისწავლება საგანი „ჩვენი საქართველო". მისი მიზანია, დაეხმაროს მოსწავლეებს საკუთარი ქვეყნის გაცნობასა და დანახვაში სხვადასხვა კუთხიდან, იმის გაცნობიერებაში, რომ საქართველოს ეთნოგრაფიული, ბუნების, ეთნიკური, რელიგიურ-კულტურული მრავალფეროვნება ქვეყნის სიმდიდრეა და რომ ხელი შეუწყოს მათ ისეთი უნარების განვითარებაში, რომლებიც აუცილებელია სამოქალაქო საზოგადოებაში ცხოვრებისათვის. ის მიზნად ისახავს მოსწავლეებში სამყაროს ერთიანობის შეგრძნების ჩამოყალიბებას, ეროვნული და კულტურული იდენტობის, სხვა ერებისა და, ზოგადად, ადამიანთა კულტურის, განსხვავებული მოსაზრებებისა და მსოფლმხედველობის დაფასების გრძნობის

[4] https://planipolis.iiep.unesco.org/sites/default/files/ressources/georgia_unified_strategy_of_education_and_science_2017-2021_0.pdf

[5] https://mes.gov.ge/mesgifs/1638884672_განათლებისაგანათლებისა და მეცნიერების სტრატეგიის პროექტი - 06.12.pdf

განვითარებას, აგრეთვე, ადამიანის შრომის პატივისცემას. მოქალაქეობრივი განათლება და კომპეტენციები ასახულია, აგრეთვე, ქართული ენისა და ლიტერატურის საგანმანათლებლო მიზნებში. კერძოდ, მოსწავლეებს უნდა ესმოდეთ, რომ ეროვნული და საჯარო კულტურა არის ცვლილებისა და განვითარების მუდმივი პროცესი. ასევე, არასრული და სრული საშუალო განათლების საფეხურებზეც დემოკრატიული ღირებულებების ჩამოყალიბება ხდება ისტორიის საშუალებით. პირველ მათგანში მიზანია მოსწავლეთათვის ისტორიული პროცესის სხვადასხვა კუთხიდან წარდგენა, ხოლო მაღალ კლასებში მოსწავლეები სწავლობენ თავისუფლების, როგორც უფლების, ისე პასუხისმგებლობის გაგებას და უნდა შეძლონ საზოგადოების დანახვა ისეთ ხალხთა ურთიერთდაკავშირებული, კომპლექსური ერთიანობის სახით, რომელთაც განსხვავებული ინტერესები, ღირებულებები და საჭიროებები აქვთ. დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების სწავლება მიზნად ისახავს ისეთი ცოდნის, უნარების, ღირებულებებისა და დამოკიდებულებების ჩამოყალიბებას, რომელთა მეშვეობითაც მოსწავლეები შეძლებენ მეტად ინკლუზიური, სამართლიანი და მშვიდობიანი მსოფლიოს შექმნაში წვლილის შეტანას. ეს მიიღწევა მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის საშუალებით, როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური განათლების მეშვეობით.[6]

მოქალაქეობრივი განათლების მხარდასაჭერად, საქართველოში ინერგება სახელმწიფო პროგრამები, როგორც სახელმწიფო დონეზე, ისე საერთაშორისო ორგანიზაციების ხელშეწყობით, ფორმალური და არაფორმალური განათლების მეშვეობით მოსწავლეებში აღნიშნული კომპეტენციების ფორმირების წასახალისებლად. მათ შორის არის ევროპის საბჭოს ახლად ინიციირებული პროექტი „დემოკრატია იწყება სკოლაში“.

2.1. ევროპის საბჭოს პროექტი „დემოკრატია იწყება სკოლაში“

პროექტი „დემოკრატია იწყება სკოლაში – მოსწავლეთა ჩართვა გადაწყვეტილების მიღების პროცესში სკოლასა და ადგილობრივ თემში“ ხორციელდება ევროპის საბჭოს მიერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობითა და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით.

პროექტის მიზანია საქართველოში დემოკრატიის გაძლიერება ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესებში ახალგაზრდების გაზრდილი მონაწილეობით, რაც შესაძლებელი გახდება სკოლებში დემოკრატიული მოქალაქეობის სწავლებისა და პრაქტიკის მეშვეობით.

პროექტი ხელს შეუწყობს საქართველოს განათლების სფეროს სახელისუფლებო ორგანოებს რიგი ღონისძიებების გატარებაში, რომლებიც საჭიროა სკოლის მოსწავლეებისთვის მონაწილეობის მეტი შესაძლებლობის მიცემისა და მათი მოტივირებისთვის, ჩაერთონ სკოლასა და თემში გადაწყვეტილების მიღების პროცესებში. უფრო კონკრეტულად, პროექტი შეიმუშავებს სკოლების დემოკრატიული მმართველობის მეთოდურ სახელმძღვანელოებს და მხარს დაუჭერს სკოლის დირექტორებს, როგორც ამ პროცესის მთავარ აქტორებს, ითავონ სტრატეგიული ლიდერობა; ხელს შეუწყობს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან და განათლების სხვა მესვეურებთან პარტნიორობით განხორციელებულ პროექტებს, ასევე, დაეხმარება სკოლის მოსწავლეებს, განავითარონ და განახორციელონ სხვადასხვა პროექტი თავიანთ სკოლებსა და თემში.

[6] დ. შონია, თ. მამულია, ნ. ხოფერია, სამეცნიერო ხელმძღვანელი მ. რატიანი, „გლობალური მოქალაქეობის განათლება, გლობალური მოქალაქეობა, კულტურული მრავალფეროვნება, კულტურათაშორისი კომუნიკაცია“, განათლების მეცნიერება, 2021.

2.2. მოსწავლეთა ჩართვა გადაწყვეტილების მიღების პროცესებში

რა იგულისხმება გადაწყვეტილების მიღების პროცესებში მოსწავლეთა ჩართვაში?

გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოსწავლეთა ჩართვა ნიშნავს მათთვის ხმის უფლების მიცემას იმ ყველაფერთან დაკავშირებით, რაც მათ სკოლაში ხდება.

თეორიულად, მოსწავლეს აქვს ხმის უფლება მისი სასკოლო ცხოვრების თითქმის ყველა ასპექტში, მათ შორის:

- კურიკულუმი, მაგ., შესასწავლი საკითხების, არჩევითი საგნების შესახებ;
- სწავლა და სწავლება, მაგ., დისტანციური სწავლების, საკლასო ოთახის წესების შესახებ;
- სკოლის პოლიტიკა, მაგ., გენდერული თანასწორობის, დისციპლინური პროცედურების შესახებ;
- სკოლის ინფრასტრუქტურა და ფიზიკური გარემო, მაგ., გათბობის, ავეჯის შესახებ;
- რესურსები, მაგ., სახელმძღვანელოების შესყიდვის, კომპიუტერების გამოყენების შესახებ;
- კლასგარეშე აქტივობები, მაგ., კლუბების, საზოგადოებრივი პროექტების შესახებ;
- ყოველდღიური სასკოლო ცხოვრება, მაგ., სკოლის წესების, ფორმის ტანსაცმლის შესახებ.

სათანადო მართვის შემთხვევაში, მოსწავლეების წახალისებას სკოლის ცხოვრებაში აქტიურად ჩასართავად ბევრი სარგებელი მოაქვს არა მხოლოდ მოსწავლეებისთვის, არამედ მასწავლებლებისთვის, სკოლებისა და მთლიანად საზოგადოებისთვის.

მოსწავლეებს ეს ეხმარება:

- თავდაჯერებულობის ჩამოყალიბებაში;
- ხელს უწყობს მათ სხვა ადამიანებთან ურთიერთობაში;
- თავს აგრძნობინებს სასკოლო საზოგადოების ღირსეულ წევრად, რომელსაც საკუთარი წვლილის შეტანა შეუძლია;
- ავითარებს მათ კომპეტენციებს აქტიური მოქალაქეობისთვის;
- აუმჯობესებს მათ მიღწევებს სასკოლო საგნებში;
- ასწავლის მათ იმ უნარებს და დამოკიდებულებებს, რომლებიც საჭიროა სამუშაო ადგილზე წარმატების მისაღწევად.

მასწავლებლებს ეს ეხმარება:

- მოსწავლეებთან უკეთესი ურთიერთობების ჩამოყალიბებაში;
- კლასში დისციპლინის გაუმჯობესებაში;
- ეროვნული სასწავლო გეგმით მათი საგნისთვის გათვალისწინებული მნიშვნელოვანი მოთხოვნების მიწოდებაში;
- უკუკავშირის უზრუნველყოფაში უფრო საინტერესო და რელევანტური გაკვეთილების დაგეგმვის მიზნით;
- მოსწავლეთა მოტივირებასა და მათი მიღწევების გაუმჯობესებაში.

დირექტორებს ეს ეხმარება:

- სკოლაში გადაწყვეტილების მიღებისა და მმართველობის ხარისხის გაუმჯობესებაში;
- პრობლემური ქცევის შემცირებაში, როგორიცაა გაცდენები და ბულინგი;

- სკოლის პოზიტიური კულტურის შექმნაში, სადაც ყველა უსაფრთხოდ იგრძნობს თავს და ექნება მიკუთვნებულობის შეგრძნება;
- მოსწავლეთა მიღწევებში უკეთესი შედეგებისა და მაღალი სტანდარტების დაკმაყოფილებაში.

საზოგადოებას ეს ეხმარება:

- აქტიური და პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე მოქალაქეების მომზადებაში, რომლებსაც ექნებათ სურვილი და შესაძლებლობა, დადებითად შეცვალონ სხვების ცხოვრება ადგილობრივ, ეროვნულ თუ საერთაშორისო დონეზე; დემოკრატიული პროცესის მიმართ ნდობის აღდგენასა და დემოკრატიის კულტურის განვითარებაში. მოსწავლის ხმა არა მხოლოდ სასარგებლოა, არამედ ეს არის მისი უფლება. გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციაში ნათქვამია, რომ კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები „უზრუნველყოფენ საკუთარი შეხედულებების ჩამოყალიბების უნარის მქონე ბავშვის უფლებას, თავისუფლად გამოთქვას თავისი შეხედულებები ნებისმიერ საკითხზე, რომელიც მას ეხება, ამასთან, ბავშვის შეხედულებებს სათანადო ყურადღება ეთმობა მისი ასაკისა და სიმწიფის შესაბამისად.“[7]

ეს უფლება მკაფიოდ არის დადასტურებული „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონშიც:

> „მოსწავლეს, მშობელსა და მასწავლებელს უფლება აქვთ, პირადად ან არჩეული წარმომადგენლის მეშვეობით, მონაწილეობა მიიღონ სკოლის მართვაში.“[8]
>
> „მოსწავლეს, მშობელსა და მასწავლებელს უფლება აქვთ, მოითხოვონ და მიიღონ მონაწილეობა სკოლის მიერ მათთან დაკავშირებული საკითხის გადაწყვეტისას, მათ უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, გამოთქვან აზრი და ჩაერთონ განხილვაში უშუალოდ ან წარმომადგენლის მეშვეობით.“[9]

თუმცა, ის რომ, მოსწავლეებს ჰქონდეთ ხმის უფლება სკოლაში მიმდინარე მოვლენებში, არ ნიშნავს იმას, რომ გადაწყვეტილების მიღებაში მათ იგივე უფლებამოსილება მიენიჭოთ, რაც სხვა დაინტერესებულ მხარეებს. მოსწავლეებზე გავლენას ახდენს განათლებაში მიმდინარე მოვლენები, თუმცა მათ არ გააჩნიათ ამ მოვლენებზე ისეთივე სამართლებრივი პასუხისმგებლობა, როგორიც სკოლის დირექტორს, მასწავლებლებსა და სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს აქვთ.

დემოკრატიული კულტურის კომპეტენციები

მოსწავლეთა მონაწილეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უპირატესობაა მისი წვლილი ახალგაზრდების დემოკრატიულ მოქალაქეებად ჩამოყალიბებაში. თანამედროვე საზოგადოება დგას ბევრი ისეთი გამოწვევის წინაშე, რომელიც საფრთხეს უქმნის დემოკრატიული ინსტიტუტების ლეგიტიმურობასა და მშვიდობიან თანაარსებობას ევროპაში. იმისათვის, რომ დემოკრატიულმა კულტურამ წარმატებას მიაღწიოს, საზოგადოებას სჭირდება არა მხოლოდ პოლიტიკური და სამართლებრივი სტრუქტურები და პროცედურები, არამედ, ასევე, კომპეტენტური მოქალაქეები, რომელთაც შეუძლიათ დემოკრატიულ პროცესებში ეფექტური მონაწილეობა. ახალგაზრდებისათვის იმ შესაძლებლობის მიცემა, რომ სკოლებში მიიღონ დემოკრატიული მონაწილეობის გამოცდილება, მნიშვნელოვანი საშუალებაა მათთვის ამ კომპეტენციების განვითარების ხელშესაწყობად.

---

[7] გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია, მუხლი 12.1.

[8] საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“, მუხლი 11.1.

[9] იქვე, მუხლი 11.3.



ნახ. 1 ევროპის საბჭოს დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების მოდელი

ევროპის საბჭოს დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების სარეკომენდაციო ჩარჩოში განსაზღვრულია ოცი ძირითადი კომპეტენცია, რომელიც უნდა შეიძინოს მოსწავლემ, თუ ის აპირებს ეფექტურ მონაწილეობას და სხვებთან მშვიდობიან თანაცხოვრებას კულტურულად მრავალფეროვან დემოკრატიულ საზოგადოებაში (ნახ. 1). ეს კომპეტენციები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოს კონტექსტში, რამდენადაც ამჟამად ისინი ინტეგრირებულია ზოგად კომპეტენციებში, რომლებიც განსაზღვრავს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს თითოეული სავალდებულო საგანისათვის. ამგვარად, ისინი ხდება საქართველოს საჯარო სკოლების ყველა საგნის მასწავლებლის პასუხისმგებლობა.

ამ კომპეტენციების განვითარებისთვის მნიშვნელოვანი საშუალებაა მოსწავლეთა მონაწილეობა. პრინციპში, მოსწავლეთა მონაწილეობას თითოეულ კომპეტენციაში შეუძლია წვლილის შეტანა. თუმცა, პრაქტიკულად ის უფრო სასარგებლო შეიძლება აღმოჩნდეს ისეთი კომპეტენციების ჯგუფებთან კავშირში, რომელთა სწავლება სკოლებში სხვაგვარად რთული იქნებოდა. ეს კომპეტენციებია:

- მოქალაქეობრივი აზროვნება;
- პასუხისმგებლობა;
- თავდაჯერებულობა;
- თანამშრომლობის უნარები;
- კონფლიქტის მოგვარების უნარ-ჩვევები;
- კომუნიკაციური უნარები;
- დემოკრატიის, სამართლიანობის, კეთილსინდისიერების, თანასწორობისა და კანონის უზენაესობის დაფასება.

ეს ჩამონათვალი ვერასოდეს იქნება ამომწურავი, ვინაიდან ის, თუ რის ათვისებას შეძლებს მოსწავლე, ყოველთვის დამოკიდებული იქნება ამ უკანასკნელის ჩართულობის დონესა და არსებულ სოციალურ კონტექსტზე.

ჩართულობის დონეები

მოსწავლის ჩართულობა ერთგანზომილებიანი პროცესი არ არის. არსებობს ჩართულობის სხვადასხვა დონე. ის არსებობს ინიციატივის აღების მზარდი სპექტრის კვალდაკვალ. ჰარტი (1992) გამოყოფს მონაწილეობის 8 დონეს, სადაც ყველაზე დაბალი დონეები გულწრფელი მონაწილეობა არც არის. უმაღლესი დონეებია უფროსების მიერ ინიციირება, გადაწყვეტილებების გაზიარება მოსწავლეებისთვის (დონე 6), მოსწავლეების მიერ ინიციირება და მართვა (დონე 7) და მოსწავლეების მიერ ინიციირება, გადაწყვეტილებების გაზიარება უფროსებისთვის (დონე 8) (ნახ. 2).[10] შიერი (2001) გამოყოფს მონაწილეობის 5 დონეს, სადაც უმაღლესი დონეა ბავშვების მიერ გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილებებისა და პასუხისმგებლობების უფროსებთან გაზიარება.[11]

სწორედ ჩართულობის უმაღლესი დონეებია ყველაზე ეფექტური სწავლის შედეგების თვალსაზრისით, ე.ი. ის დონეები, სადაც მოსწავლეებს აქვთ ინიციატივის გამოჩენის თავისუფლება, მათ შეხედულებებს პატივს სცემენ და როდესაც ისინი გრძნობენ, რომ გადაწყვეტილების მიღებაში ნამდვილად მიუძღვით წვლილი. თუმცა, თუკი მოსწავლეები გრძნობენ, რომ მათ სერიოზულად არ აღიქვამენ, ან გრძნობენ, რომ მათით მანიპულირებენ რაიმე კუთხით, მათ შეიძლება უფრო მეტი გაუცხოება იგრძნონ სკოლასთან, ვიდრე იმ შემთხვევაში, თუ საერთოდ არ შესთავაზებენ მონაწილეობას.

საერთო სასკოლო მიდგომა

მოსწავლეთა მონაწილეობის შესაძლებლობები თავისთავად არ წარმოიქმნება, საჭიროა მისი დაგეგმვა და ორგანიზება. რაც ნიშნავს, სულ მცირე, ისეთი სასკოლო პერსონალის არსებობას, რომლისთვისაც გასაგებია მოსწავლეებთან თანამშრომლობისა და მათთვის გადაწყვეტილების მიღების საშუალების მინიჭების დადებითი მხარეები.

ამ საბაზისო მოთხოვნების გარდა, არსებობს რამდენიმე სხვა ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს სკოლებში მოსწავლეთა მონაწილეობის უზრუნველყოფაზე. ესენია:

- მხარდამჭერი სასკოლო კლიმატი, სადაც ყველა ბავშვი თავს დაფასებულად და საზოგადოების ნაწილად იგრძნობს;
- კეთილგანწყობილი სკოლის ლიდერები, რომლებიც წარმოადგენენ ღია და გაზიარებული ლიდერობის ფორმების მოდელს;
- თავდაჯერებული მასწავლებლები, რომლებმაც იციან, თუ როგორ უნდა ჩართონ მოსწავლე სწავლების პროცესში;
- კლასგარეშე აქტივობების შესაძლებლობა, რაც ბავშვებს საშუალებას მისცემს, მონაწილეობა მიიღონ თვითონ მოსწავლეების, სკოლისა და საზოგადოების მიერ ნაკარნახევ რიგ აქტივობებში;
- მოსწავლეთა აქტიური თვითმმართველობა, რომელიც მოიცავს მოსწავლეთა მთელ კონტინგენტს;
- მიმღები სამეურვეო საბჭო, რომელიც ეძიებს მოსწავლეთა მოსაზრებებს და მოქმედებს მათ საფუძველზე;
- სისტემური მიდგომა სამოქალაქო განათლებისადმი, რომლის არსს წარმოადგენს მოსწავლეთა მონაწილეობის უზრუნველყოფა მთელ სკოლაში.

მოსწავლეთა მონაწილეობა არ შემოიფარგლება სასკოლო ცხოვრების ერთი სფეროთი. ის მოიცავს სკოლის ყველა ასპექტს და მოითხოვს საერთო სასკოლო მიდგომას.

---

[10] ჰარტი, რ. (1992) ბავშვთა მონაწილეობა ტოკენიზმიდან მოქალაქეობამდე, UNICEF – გაეროს ბავშვთა ფონდის ბავშვის განვითარების საერთაშორისო ცენტრი.

[11] შიერი, ჰ. (2001) „მონაწილეობის ბილიკები: საწყისები, შესაძლებლობები და ვალდებულებები“ ბავშვი და საზოგადოება, 2001 წლის აპრილი, 15(2): 107-117.

ნახ. 2. ჰარტის ბავშვების მონაწილეობის კიბე[12]



[12] ვონგი, მ., ციმერმანი, ნ.ა. და პარკერი, ე.ა. (2010) „ახალგაზრდების მონაწილეობისა და შესაძლებლობების გაფართოების ტიპოლოგია ბავშვთა და მოზარდთა ჯანმრთელობის ხელშეწყობისთვის“, საზოგადოებრივი ფსიქოლოგიის ამერიკული ჟურნალი, 46, გვ. 102.

3. მეთოდოლოგია

წინამდებარე ანგარიშისთვის კვლევის ძირითადი ორიენტირი იყო მოსწავლეთა მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესებში. კვლევის მიზანია სკოლის დემოკრატიულ მმართველობასა და დემოკრატიული მოქალაქეობისთვის განათლებასთან დაკავშირებული დამოკიდებულებების, საჭიროებების, გამოწვევებისა და შესაძლებლობების შეფასება სკოლის დონეზე.

მონაცემების შესაგროვებლად და საერთო სურათის კონტექსტის გასაანალიზებლად, გამოყენებულ იქნა სამაგიდო კვლევისა და თვისებრივი კვლევის მეთოდები. სამაგიდო კვლევა გამოყენებულ იქნა სკოლის სტანდარტების, პროფესიული განვითარების პროგრამებისა და სკოლის დემოკრატიული მმართველობისა და დემოკრატიული მოქალაქეობის განათლების პრაქტიკასთან დაკავშირებული არსებული სტრატეგიების, პოლიტიკის, მარეგულირებელი ჩარჩოს შესასწავლად, სკოლის დონეზე საქართველოში. აღნიშნული საქმიანობა მოიცავს ქვემოთ მოცემული წყაროების განხილვასა და ანალიზს:

- საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ";
- ეროვნული სასწავლო გეგმა;
- ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები;
- სკოლის დირექტორის სტანდარტი;
- მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი;
- მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა;
- პუბლიკაციები და სტატიები;
- წიგნები და სახელმძღვანელოები;
- პროფესიული განვითარების პროგრამები და პროექტები.

სამაგიდო კვლევის გარდა, გამოყენებულ იქნა თვისებრივი კვლევის ორი მეთოდი (ფოკუს ჯგუფები და ექსპერტთა გამოკითხვა), რათა მომხდარიყო საქართველოში სკოლის დონეზე სკოლის დემოკრატიული მმართველობისა და დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისადმი არსებული აღქმებისა და დამოკიდებულებების მულტიპერსპექტიული შესწავლა.

ფოკუს ჯგუფები ჩატარდა სამ სამიზნე ჯგუფთან:

- სკოლის დირექტორებთან;
- სკოლის მასწავლებლებთან;
- სკოლის მოსწავლეებთან.

მიუხედავად იმისა, რომ ფოკუს ჯგუფის წევრები შეირჩნენ საქართველოს ყველა რეგიონიდან, ისინი ვერ ჩაითვლება ჭეშმარიტად წარმომადგენლობით ჯგუფად და საჭიროა იმაზე ზრუნვა, რომ სამომავლოდ ჩატარდეს კვლევა, რომლის შედეგების განზოგადებაც შესაძლებელი იქნება ეროვნულ დონეზე. ფოკუს ჯგუფში გაზიარებული შეხედულებები შეიძლება განსხვავდებოდეს სხვა დირექტორთა, მასწავლებელთა და მოსწავლეთა შეხედულებებისგან. წინამდებარე ანგარიშში წარმოდგენილი შედეგები მხოლოდ კვლევაში მონაწილეთა დამოკიდებულებებსა და შეხედულებებს ეფუძნება. სკოლის მოსწავლეების მიერ მოწოდებული მონაცემები, სავა-

რაუდოდ, ყველაზე ნაკლებ წარმომადგენლობითია, რამეთუ ჩვენ მხოლოდ იმ მოსწავლეების ინტერვიუირების საშუალება მოგვეცა, რომლებიც განსაკუთრებით აქტიურნი არიან სასკოლო ცხოვრებაში.

ექსპერტთა გამოკითხვა ჩატარდა რამდენიმე ძირითად დაინტერესებულ მხარესთან, მათ შორის:

- განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენლებთან;
- მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლებთან;
- სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმის წარმომადგენლებთან;
- საქართველოს სკოლის ადმინისტრატორთა ასოციაციის წარმომადგენელთან;
- სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციისა და დონორი ორგანიზაციის წარმომადგენლებთან;
- ტრენერებთან.

4. შეფასების შედეგები

შეფასების შედეგები წარმოდგენილია 9 თემის სახით. ესენია:

- სასკოლო კლიმატი;
- ლიდერობა და მართვა;
- სამეურვეო საბჭო;
- მოსწავლეთა თვითმმართველობა;
- სასკოლო კურიკულუმი;
- კლასში სწავლა და სწავლება;
- სამოქალაქო განათლება;
- კლასგარეშე აქტივობები;
- პროფესიული განვითარების პროგრამები და რესურსები.

წინამდებარე ანგარიშში თითოეული თემა მოიცავს მოკლე შესავალს, საკანონმდებლო საფუძვლებს, სკოლის დირექტორთა, მასწავლებელთა და სკოლის მოსწავლეთა ხედვებსა და დამოკიდებულებებს, მთავარ გამოწვევებსა და რეკომენდაციებს.

4.1. სასკოლო კლიმატი

დადებითი სასკოლო კლიმატი მოსწავლის მონაწილეობის მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს. დადებითი სასკოლო კლიმატი არის ის, სადაც ადამიანი:

- თავს გრძნობს ჩართულად;
- თავს გრძნობს უსაფრთხოდ;
- გრძნობს, რომ მისი ესმით;
- გრძნობს, რომ პატივს სცემენ, როგორც ინდივიდს;
- ყველა მუშაობს ერთობლივად;
- ყველას სამართლიანად ეპყრობიან;
- მშობლებისა და სხვა ვიზიტორების მიღება მისასალმებელია.

ის მოიცავს მთელ სასკოლო გარემოს, საკლასო ოთახებს, დერეფნებს, სპორტულ მოედნებს, ღია სივრცეებსა და ეზოებს, სამასწავლებლოებს, კაბინეტებს, მისაღებს, შესასვლელებსა და გასასვლელებს.

დადებითი სასკოლო გარემო უზრუნველყოფს მოსწავლეთა მონაწილეობის წახალისებას. უფრო მოსალოდნელია, რომ მოსწავლეებმა, სკოლაში მათთვის მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით, ხმა იქ აიმაღლონ, სადაც გრძნობენ თვითგამოხატვის შესაძლებლობას, გრძნობენ, რომ მათი ესმით და სერიოზულად აღიქვამენ. იქ, სადაც მათ გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღებას ანდობენ, უფრო მეტად გაუჩნდეთ პასუხისმგებლობის აღების სურვილი.

სასკოლო კლიმატი მოიცავს ყველას, ვინც სკოლასთან არის დაკავშირებული: მოსწავლეებს, მასწავლებლებს, ადმინისტრატორებსა და მშობლებს. ის ეხება სასკოლო გამოცდილების თითქმის ყველა ასპექტს, დაწყებული იქიდან, თუ როგორ ელაპარაკება მასწავლებელი მოსწავლეს, დამთავრებული იმით, ექცევა თუ არა სკოლის ინფრასტრუქტურას ყურადღება

და რამდენად მოვლილია ის. თუმცა, საწყისი წერტილი არის სკოლის ლიდერობა. ის იწყება სკოლის ლიდერის ღირებულებებითა და ხედვებით და მისი უნარით, გაუზიაროს ისინი მთელ სკოლას.

დადებითი სასკოლო კლიმატი ვერ დაინერგება დიქტატის საშუალებით. ის იქმნება ყველას საზრუნავის მოსმენისა და მიმდინარე მოვლენებზე მოსაზრების გამოთქმის მიცემის საშუალებით. მოსწავლეები ამაში განსაკუთრებულ როლს ასრულებენ. ჯანსაღ სასკოლო გარემოში მოსწავლეებს უყურებენ არა როგორც სკოლის პრობლემების წყაროს, არამედ როგორც მათი გადაჭრის გზას. მაგ., მოსწავლეებს ეკითხებიან, თუ, მათი აზრით, რისი გაკეთება შეიძლება კიბერბულინგთან, სკოლაში ძალადობის შემცირებასთან ან სასკოლო აქტივობებში მშობელთა მეტი ჩართულობის წახალისებასთან დაკავშირებით.

არსებობს რამდენიმე მეთოდი, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს სასკოლო კლიმატის შესაფასებლად. მათ შორისაა კვლევები, ფოკუს ჯგუფები, გამოკითხვები ან გარე დამკვირვებლები. მიუხედავად იმისა, თუ როგორ გაკეთდება ეს, მნიშვნელოვანია იმის უზრუნველყოფა, რომ ყველას ხმა იქნეს გაგონილი, და გვახსოვდეს, რომ ჯანსაღი სასკოლო კლიმატის მიღება არის არა ერთჯერადი ღონისძიება, არამედ უწყვეტი პროცესი, რომელიც მოიცავს ყველა დაინტერესებულ მხარეს.

4.1.1. კანონმდებლობა

სასკოლო კლიმატის ასპექტები მოცემულია საქართველოს კანონში „ზოგადი განათლების შესახებ". სკოლას კანონმდებლობა ავალდებულებს, უზრუნველყოს „უსაფრთხო გარემო" მოსწავლეებისთვის, „მიიღოს ყველა გონივრული ზომა ... მოსწავლის, მშობლისა და მასწავლებლის უფლებებისა და თავისუფლებების ჯეროვანი დაცვის, დარღვევის თავიდან აცილების ან აღკვეთის მიზნით" და „ხელი შეუწყოს მოსწავლეებს, მშობლებსა და მასწავლებლებს შორის შემწყნარებლობისა და ურთიერთპატივისცემის დამკვიდრებას, განურჩევლად მათი სოციალური, ეთნიკური, რელიგიური, ლინგვისტური და მსოფლმხედველობრივი კუთვნილებისა".[13] დისციპლინის დაცვა უნდა მოხდეს ისეთი მეთოდებით, რომლებიც ეფუძნება „მოსწავლისა და მასწავლებლის თავისუფლებისა და ღირსების პატივისცემას".[14] კანონმდებლობაში შესულია, ასევე, მოსწავლის უფლება „გამოთქვას საკუთარი აზრი და მოითხოვოს მისი პატივისცემა".[15] მოსწავლის თვითგამოხატვის უფლება უზრუნველყოფილია მოსწავლეთა თვითმმართველობის ორგანოების სამართლებრივი დებულებებით, რომლებიც ყველა საჯარო სკოლამ უნდა უზრუნველყოს.[16]

შემდგომ კანონმდებლობაში, საჯარო სკოლის დირექტორის სტანდარტში, ნათქვამია, რომ დირექტორის, როგორც საგანმანათლებლო ლიდერის, მთავარი მიზანია სწავლისა და სწავლების პროცესის ეფექტური მართვა მოსწავლეთა „აკადემიური და პიროვნული განვითარებისათვის".[17] მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი, სპეციალური მასწავლებლის კონტექსტში, ხაზს უსვამს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების ჩართვას ისეთ აქტივობებში, რომლებიც გაზრდის „სკოლისადმი მათი მიკუთვნებულობის განცდას" და, ზოგადად, ხელს შეუწყობს „ინკლუზიური კულტურის" დამკვიდრებას.[18] ამასთანა-

[13] საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ", მუხლები 9 და 13.

[14] იქვე, მუხლი 19.

[15] იქვე, მუხლი 14.

[16] საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ", მუხლები 47 და 48.

[17] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო: საჯარო სკოლის დირექტორის სტანდარტი, მუხლი 3.1.

[18] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო: მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი, მუხლი 21, (გ) და (დ).

ვე, მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა, რომელიც მოიცავს სტანდარტს: „კოლეგებთან თანამშრომლობა სასკოლო კულტურის განვითარებისა და... გასაუმჯობესებლად".[19]

სკოლის აკრედიტაციის სტანდარტები, რომლებიც განსაზღვრულია ახალი სკოლის ავტორიზაციის პროცესისათვის, რომელიც ჯერ არ გამოქვეყნებულა, ხაზს უსვამს „მოსწავლეზე ორიენტირებული" საგანმანათლებლო პროცესის მნიშვნელობას, რომელიც დაფუძნებულია „მზრუნველობაზე", „მხარდაჭერასა" და „თანამშრომლობით კულტურაზე".[20] მათში, ასევე, ხაზგასმულია „სასკოლო საზოგადოების" ჩართულობა „სკოლის საგანმანათლებლო აქტივობების მართვაში".[21]

4.1.2. დირექტორთა ხედვები და დამოკიდებულებები

სასკოლო კლიმატის თვალსაზრისით, გამოკითხულმა სკოლების დირექტორებმა ისაუბრეს იმაზე, თუ როგორ ცდილობენ ისინი პოლიტიკის არსებული ჩარჩოს მაქსიმალურად გამოყენებასა და სათანადო სასკოლო გარემოს შექმნას. გამოიკვეთა ორი მნიშვნელოვანი საკითხი. ესენია:

- თანამშრომლობა სასკოლო საზოგადოების ფარგლებში, განსაკუთრებით, მასწავლებლებს შორის;
- სკოლის ადმინისტრაციის მიერ ახალი იდეებისა და მიდგომების ღიად მიღება.

ამონარიდი ციტატები ფოკუს ჯგუფებიდან:

→ *მე მყავს გუნდი, რომელიც ძალიან კარგად თანამშრომლობს, ყველა მათგანი ორიენტირებულია ერთმანეთის წარმატებაზე. მყავს 20 მასწავლებელი, 9 წამყვანი მასწავლებელი, 1 მენტორი. სკოლაში თუ მოხვალთ, ნახავთ, რომ ისინი ერთობლივად მუშაობენ, მე სწორედ ჩემი გახსნილობით, კონფლიქტური სიტუაციების თავიდან აცილებით და სასკოლო საზოგადოებასთან კომუნიკაციით მივაღწიე თანამშრომლობით კულტურას.* [სკოლის დირექტორი]

→ *თანამშრომლობის უზრუნველსაყოფად, მე ვუსმენ ყველას: მშობლებს, მასწავლებლებს და მოსწავლეებს. საჭიროებიდან გამომდინარე, ყოველთვის გახსნილი ვარ და მზად ვარ ნებისმიერი ტიპისა და სირთულის პრობლემის განსახილველად, გადაწყვეტილების მიღებაში ვრთავ უმრავლესობას ნაცვლად იმისა, რომ ერთპიროვნულად მივიღო გადაწყვეტილება.* [სკოლის დირექტორი]

→ *ის მომენტი, როდესაც მოსწავლე ხედავს, რომ მისი მასწავლებლები არ თანამშრომლობენ... არსებობს ბევრი შემთხვევა, დარწმუნებული ვარ, თითოეულმა ჩვენგანმა იცის ბევრი ასეთი სკოლა, და როდესაც მოსწავლე ხედავს, რომ მისი მასწავლებლები არ თანამშრომლობენ, ფაქტობრივად, ჩვენ პირდაპირ მინიშნებას ვაძლევთ მოსწავლეებს, რომ არ არიან ვალდებულნი ითანამშრომლონ და მონაწილეობა მიიღონ.* [სკოლის დირექტორი]

→ *ზოგჯერ არსებობს ისეთი ინიციატივა, რომელიც მოიცავს გარკვეულ რისკს და ჩვენ ყოველთვის ერთობლივად ვწყვეტთ, სწორ გზას ვადგავართ თუ არა, რა*

[19] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო: მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა, თავი II, (ზ).

[20] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო: სკოლის აკრედიტაციის სტანდარტი (ჯერ არ გამოქვეყნებულა), 2.2.3.

[21] იქვე, 3.3.2.

შედეგს მოგვიტანს ის, ხოლო შემდეგ ერთად ვიღებთ გადაწყვეტილებას. [...] თუმცა, ზოგჯერ არის ისეთი სიტუაცია, როდესაც მეც შეზღუდული ვარ, არ ვარ ამდენად დეცენტრალიზებული, ე.ი. თავისუფალი ჩემს გადაწყვეტილებებში. [სკოლის დირექტორი]

→ *მართალია, ჩვენ შორს ვართ იდეალურისგან, მაგრამ იმ გადმოსახედიდან, სადაც ვიყავი, როგორც დავიწყე, და სად ვარ ახლა, დიდი ნახტომი გავაკეთეთ, რადგან ხორციელდება პროექტები მშობლების ჩართულობით.* [სკოლის დირექტორი]

4.1.3. მასწავლებელთა ხედვები და დამოკიდებულებები

გამოკითხულ მასწავლებლებს სჯერათ, რომ მასწავლებელმა უნდა აჩვენოს თანამშრომლობის მაგალითი სკოლაში. ისინი, ასევე, აღნიშნავენ, რომ სკოლას უკვე აქვს სასკოლო კლიმატის მხარდაჭერის მექანიზმები. მოწყვლად და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებს აქვთ მხარდაჭერა სკოლაში ინტეგრირებისათვის.

მასწავლებლები ხაზს უსვამენ ფორმალური მექანიზმების პრაქტიკულ მექანიზმებად გარდაქმნის მნიშვნელობას. ისინი აფასებენ სკოლის ისეთ დირექტორს, რომელიც მხარს უჭერს დადებით სასკოლო კლიმატს, მაგრამ ფიქრობენ, რომ შეინიშნება ინსტიტუციური გამოცდილების სიმწირე და რომ სასკოლო პროცესები პერსონალიზებული უფროა, ვიდრე ინსტიტუციონალიზებული. საჭიროა ინსტიტუციური გაძლიერება და, ასევე, სასკოლო საზოგადოების გაზრდილი მონაწილეობა.

ამონარიდი ციტატები ფოკუს ჯგუფებიდან:

→ *პირადად მე ვფიქრობ, რომ როდესაც ყველა არსებული მექანიზმი ადგილზეა სკოლაში და როდესაც მასწავლებელი თანამშრომლობის მაგალითს აძლევს მოსწავლეს, თუ ჩვენ გვსურს მოსწავლეებს პრაქტიკული მაგალითი მივცეთ, ეს მაგალითი, პირველ რიგში, მასწავლებელმა და დირექტორმა უნდა აჩვენოს.* [სკოლის მასწავლებელი]

→ *არის კლასები, სადაც დიდი რაოდენობით გვყავს ბავშვები მოწყვლადი ჯგუფებიდან, მათ შორის, სოციალურად დაუცველები. მე ვიტყოდი, რომ მათი მნიშვნელოვანი ჩართულობა, ჩვენთან თანამშრომლობა და, ზოგადად, სკოლაში ინკლუზიური გარემოს შექმნა, დიდწილად განსაზღვრავს ამ ბავშვების სოციალიზაციას.* [სკოლის მასწავლებელი]

→ *თუკი სკოლის შიგნით არსებული ერთეულები მხოლოდ ფორმალური იქნება... აღმოჩნდება, რომ ვერ შევძლებთ ბავშვებისთვის ნამდვილი ღირებულებების ჩანერგვას.* [სკოლის მასწავლებელი]

→ *სასკოლო გარემოში მონაწილეობის შესაძლებლობა [...] შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე პროექტის კეთებას არავითარი გვერდითი ეფექტი არ აქვს სკოლაზე, მაგრამ პროექტი სკოლის წესების შესახებ რომ ყოფილიყო, შესაძლოა, ადმინისტრაცია არ ყოფილიყო ამისთვის მზად.*

4.1.4. მოსწავლეთა ხედვები და დამოკიდებულებები

გამოკითხული სკოლის მოსწავლეები თავიანთ სკოლას მიიჩნევენ ადგილად, სადაც მეგობრული კომუნიკაცია აქვთ მასწავლებლებთან და დირექტორთან. ისინი ზოგჯერ კვლევებსაც ატარებენ სკოლაში გარემოს გასაუმჯობესებლად, თუმცა მაინც ფიქრობენ, რომ სკოლის კულტურა უფრო მონაწილეობითი უნდა იყოს და მათი ხმა უნდა ესმოდეთ.

ამონარიდი ციტატები ფოკუს ჯგუფებიდან:

→ *მოსწავლეებს მეგობრული კომუნიკაცია აქვთ მასწავლებლებთან და დირექტორთან. მე შემიძლია მივიდე ნებისმიერ მასწავლებელთან და განვიხილო ჩემთვის მნიშვნელოვანი საკითხები.* [სკოლის მოსწავლე]

→ *სასკოლო გარემო უფრო მონაწილეობითი უნდა იყოს.* [სკოლის მოსწავლე]

→ *არის საკითხები, რომლებიც გვინდა განვიხილოთ, მაგრამ ამას არ ვაკეთებთ.* [სკოლის მოსწავლე]

→ *ქართული ენის მასწავლებელთან ერთად გავაკეთეთ ანონიმური გამოკითხვა იმასთან დაკავშირებით, თუ რა მოგვწონს/არ მოგვწონს სკოლაში და რისი შეცვლა გვსურს.* [სკოლის მოსწავლე]

4.1.5. მთავარი გამოწვევები

სკოლის დირექტორთა დამოკიდებულებები სასკოლო კლიმატთან დაკავშირებულ საკითხებთან განსხვავებულია. ზოგიერთი დირექტორისთვის დადებითი სასკოლო კლიმატი ფუნდამენტური საკითხია და სკოლის განვითარების საფუძველს წარმოადგენს. სკოლასთან დაკავშირებით მათი ხედვისათვის უმნიშვნელოვანესია მოსწავლეების მოსმენა და მათი ჩართვა სკოლის პოლიტიკის შესახებ გადაწყვეტილებებში.

სხვებისთვის ეს ნაკლებმნიშვნელოვანია. მათ ნაკლებად ესმით სასკოლო კლიმატის როლი მოსწავლეთა მოტივირებასა და სწავლაში. ასეთი დირექტორები სერიოზულად ეკიდებიან, მაგალითად, ბულინგისა და ძალადობის პრობლემას, მაგრამ ამ პრობლემების გადაჭრის გზებს სასკოლო ურთიერთობების არსში არ ეძებენ და ვერ ხედავენ, რომ თავად მოსწავლესაც შეიძლება ჰქონდეს როლი მათ გადაჭრაში. არც განათლების კანონი მოითხოვს მათგან იმაზე ცოტა მეტის გაკეთებას, ვიდრე უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა და მოსწავლეთა ძირითადი უფლებების დარღვევის პრევენციაა.

მეტწილად, სასკოლო კლიმატთან დაკავშირებულ საკითხებთან მიმართებით, ამგვარი დამოკიდებულება უბრალოდ სასკოლო ლიდერობის იერარქიულ კონცეფციას წარმოადგენს, რაც საბჭოთა გადმონაშთია. მოსწავლეებს მოეთხოვებათ აქტიურობა სწავლისა და სკოლის საჭიროებების თვალსაზრისით (მაგ., საკლასო ოთახების დალაგება), მაგრამ ისინი არანაირ როლს არ ასრულებენ იმ გადაწყვეტილებების მიღებაში, რომლებიც გავლენას ახდენს მათ მიერ მიღებულ განათლებაზე, ან რომლებიც ეხება მათ მიმართ მოპყრობას სკოლაში. ამგვარი დამოკიდებულებების უწყვეტი არსებობა წარმოადგენს გამოწვევას სასკოლო კლიმატის უფრო დადებითი ფორმების ჩამოყალიბებისთვის ქართულ საჯარო სკოლებში.

უფრო მეტიც, არსებობს მტკიცებულება იმისა, რომ კანონმდებლობით გათვალისწინებული პირადი უსაფრთხოებისა და უფლებების უზრუნველყოფის ძირითადი სტანდარტები ყოველთვის არ ხორციელდება პრაქტიკაში. მოსწავლეთა შეფასების საერთაშორისო პროგრამის (PISA) კვლევამ აჩვენა, რომ სკოლის გაცდენა განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენს.

2021 წლის PISA-ის მოსწავლეთა შეფასებაში მოცემულია, რომ ქართველ მოსწავლეთა 80% სკოლას აცდენს, რაც უმაღლესი მაჩვენებელია მონაწილე ქვეყნებს შორის.[22] განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი ეროვნული სტრატეგია 2022-2030 ხაზს უსვამს სკოლის სოციალურ და ემოციურ გარემოს, როგორც განსაკუთრებით საყურადღებო სფეროს და „სასკოლო კლიმატისა და უსაფრთხოების" გაუმჯობესებისკენ მიმართულ ქმედებას გადაუდებლად თვლის. გარკვეულწილად, ეს COVID-19-ის პანდემიის ზემოქმედებით არის გამოწვეული. თუმცა, საგულისხმოა, რომ პანდემიამდე ზოგად განათლებაში მოსწავლეთა მეოთხედი ბულინგის მსხვერპლი იყო, სასკოლო გარემოსთან ინტეგრირებულად კი თავს მოსწავლეთა მხოლოდ ნახევარი (56%) გრძნობს.[23] ამ მდგომარეობის გათვალისწინებით, სტრატეგიაში ხაზგასმულია ისეთი სასწავლო გარემოს შექმნის საჭიროება, რომელიც იქნება „უსაფრთხო და მხარდამჭერი", „ღია" და „თანამშრომლობითი". ეს მოიცავს პერსონალის მიერ მოსწავლეთა ქცევით და ემოციურ საჭიროებებზე რეაგირების შესაძლებლობის ზრდას და კონფლიქტის მართვის ახალი სისტემის დანერგვას, რომელიც დაფუძნებული იქნება მედიაციისა და აღდგენითი მართლმსაჯულების პრინციპებზე.[24] მოსწავლეთა უსაფრთხოებისა და მათი ბულინგისაგან და ფიზიკური თუ ემოციური ძალადობის სხვა ფორმებისგან დაცვის უზრუნველყოფა სკოლაში ამჟამად მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს, რომლის გადაჭრაშიც თავად მოსწავლეებს შეუძლიათ წვლილის შეტანა.

კიდევ ერთი გამოწვევა არის მშობელთა სასკოლო ცხოვრებაში ჩართვის პრობლემა. მშობელთა ჩართულობა მნიშვნელოვანია მოსწავლეებში საზოგადოებრიობის გრძნობის გასავითარებლად. არსებობს ბევრი მიზეზი იმისა, თუ რატომ არ ერთვებიან მშობლები მათი შვილების განათლებაში. ისინი შეიძლება სამსახურის გამო იყვნენ დაკავებულნი, ჰქონდეთ სხვა საოჯახო ვალდებულებები, ან შესაძლოა გადატვირთულნი იყვნენ სამუშაოთი. მშობელთა ჩართულობისადმი უფრო წარმატებული მიდგომის მქონე სკოლები მიანიშნებენ იმაზე, რომ პრობლემა ნაწილობრივ თავად სკოლებით არის გამოწვეული. ერთ-ერთი დირექტორის თქმით, სკოლებმა „არ იციან, თუ როგორ უნდა გამოიყენონ მშობლები რესურსის სახით ... [ისინი] ვერ ხედავენ მათ როლს" და აქვე დასძენს, თუ თავად როგორ იყენებდნენ მშობლებს პანდემიის დროს ექთნებად და პატარა მოსწავლეებისთვის ზღაპრების წაკითხვაში.[25]

გასავითარებელი მიმართულებები

- მოსწავლეთა დახმარება, თავი იგრძნონ სასკოლო საზოგადოების უფრო ღირსეულ წევრებად, რომლებსაც თავიანთი წვლილი შეაქვთ მასში;
- უზრუნველყოფა იმისა, რომ მოსწავლეებმა სკოლაში თავი იგრძნონ უსაფრთხოდ, ბულინგისგან ან ემოციური თუ ფიზიკური ძალადობის სხვა ფორმებისგან დაცულად;
- მშობლების წახალისება, მეტად ჩაერთონ სასკოლო ცხოვრებაში, მათ შორის, სკოლის ადმინისტრირებაში, საკლასო და კლასგარეშე აქტივობებში;
- სასკოლო ცხოვრებაში მოსწავლეთა ჩართულობის მხარდაჭერა, გახდნენ სკოლის პოლიტიკის უფრო მნიშვნელოვანი ელემენტი.

[22] https://pisabyregion.oecd.org/georgia/#section-2

[23] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი ეროვნული სტრატეგია 2022-2030, გვ.25

[24] იქვე.

[25] ონლაინ ფოკუს ჯგუფი, 2022 წლის 27 ივლისი.

4.1.6. რეკომენდაციები

რეკომენდაცია 1:

მოხდეს მოსწავლეთა ჩართვა პირადი უსაფრთხოებისა და ბულინგის საწინააღმდეგო კამპანიებში, მაგ., სკოლის ბულინგის საწინააღმდეგო პოლიტიკა, მოსწავლეთა თვითმმართველობის უსაფრთხოების კომიტეტი, სასკოლო კამპანია კიბერბულინგზე, თანატოლებთან მედიაცია და ა.შ.

რეკომენდაცია 2:

გაეწიოს კონსულტაცია მოსწავლეებსა და მშობლებს არსებულ სასკოლო კლიმატთან და მისი გაუმჯობესების გზებთან დაკავშირებით, მაგ., ყოველწლიური გამოკითხვა, ფოკუს ჯგუფები და ა.შ.

რეკომენდაცია 3:

მოხდეს მშობელთა ჩართვა კურიკულუმის შესრულებაში, მაგ., დავალებები, სადაც მოსწავლე ახორციელებს საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვას ოჯახსა და მეზობლებში, მოსწავლეების თანამშრომლობა საგნობრივ კათედრასთან იმ მშობელთა სიის შესადგენად, რომლებსაც შეუძლიათ თავიანთი სპეციალური ცოდნით წვლილი შეიტანონ სხვადასხვა სასკოლო საგნის სწავლებაში, ინტერვიუები ოჯახის წევრებთან ზეპირი ისტორიების მოსასმენად და ა.შ.

რეკომენდაცია 4:

ხელი შეეწყოს მშობელთა ასოციაციის დაფუძნებას; მაგ., სამეურვეო საბჭოსთვის უკუკავშირის მიწოდება, საქველმოქმედო ღონისძიებების ჩატარება, აქტივობებისა და ექსკურსიების ორგანიზება, მშობელთა დახმარება სასკოლო ინვენტარის შეძენაში და ა.შ.

რეკომენდაცია 5:

გათვალისწინებულ იქნეს მოსწავლეთა მონაწილეობის პოზიტიური მხარდაჭერა საჯარო სკოლის დირექტორის სტანდარტში.

4.2. ლიდერობა და მართვა

მოსწავლეთა ჩართულობისთვის უმნიშვნელოვანესია სკოლის ლიდერობა. სკოლის დირექტორები პასუხისმგებელნი არიან არა მხოლოდ ისეთი სასკოლო კლიმატის შექმნაზე, სადაც მოსწავლეთა მონაწილეობა წარმატებით ვითარდება, არამედ ისეთი ინსტიტუციური სტრუქტურებისა და პროცედურების ერთობლიობის შექმნაზე, რომელიც ამას შესაძლებელს გახდის, ასევე, ისეთი მართვის სისტემისა, რომელიც შეძლებს მისი ხარისხის მონიტორინგსა და შეფასებას და მისი მდგრადობის უზრუნველყოფას.

ლიდერობამ შეიძლება სხვადასხვა ფორმა მიიღოს. „ავტორიტარულ“ ლიდერებს ურჩევნიათ, თავად მიიღონ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები და არ აქვთ სხვების ჩართვის სურვილი. „დემოკრატი“ ლიდერები, გადაწყვეტილების მიღებისას, მიმართავენ გუნდურ მიდგომას, სადაც უფლებამოსილება გაზიარებულია. ცხადია, მოსწავლეთა მონაწილეობა წარმატებით ვერ განვითარდება გადაწყვეტილების მიღების მიმართ ავტორიტარული მიდგომის პირობებში, იქნება ეს საკლასო ოთახში, მოსწავლეთა თვითმმართველობაში თუ სამეურვეო საბჭოს კრებაზე. საჭიროა უფლებამოსილების გარკვეული ოდენობით გაზიარება და სხვების მოსმენისა და მათთან ერთად მუშაობის სურვილი. ეს უნდა დაიწყოს სკოლის დირექტორისგან, მისი ხედვით სკოლასთან დაკავშირებით და ლიდერობის სტილის მისეული მაგალითით.

ლიდერობის მეორე მნიშვნელოვანი ასპექტი არის სკოლაში მოსწავლეთა მონაწილეობის მართვის ტიპის მიმართ დამოკიდებულება. მოსწავლეთა მონაწილეობა არ შემოიფარგლება სასკოლო ცხოვრების ერთი სფეროთი და ის ვერც მხოლოდ ერთი პირის პასუხისმგებლობა იქნება. ის მოიცავს სასკოლო ცხოვრების თითქმის ყველა ასპექტს და იქ მომუშავე მთელ პერსონალს. ამიტომაც მოითხოვს საერთო სასკოლო მიდგომას, მათ შორის, ერთიან სასკოლო პოლიტიკას, მისი სხვადასხვა ელემენტის კოორდინაციის მექანიზმსა და მონიტორინგისა და შეფასების სისტემას, რომელზეც, უმთავრესად, სკოლის ლიდერია პასუხისმგებელი.

4.2.1. კანონმდებლობა

„ზოგადი განათლებს შესახებ" საქართველოს კანონში ლიდერობისა და მართვის პასუხისმგებლობა ეკისრება სკოლის დირექტორსა და მოადგილეს ან მოადგილეებს.[26] ამის გათვალისწინებით, სკოლის დირექტორს საერთო პასუხისმგებლობა აკისრია სკოლის მართვაზე და სკოლის წარდგენაზე მესამე პირებთან ურთიერთობაში. ეს მოიცავს: საშტატო განრიგის შემუშავებას; შინაგანაწესისა და სკოლის ბიუჯეტის სამეურვეო საბჭოსთვის წარდგენას დასამტკიცებლად; და სკოლის „წესდების" პროექტის შემუშავებას და სამეურვეო საბჭოსთვის წარდგენას დასამტკიცებლად, ხოლო სკოლის წესდების შეთანხმებული პროექტის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის წარდგენას დასამტკიცებლად.[27]

სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და მისი სამეურვეო საბჭოსთან ერთად დამტკიცების პასუხისმგებლობა ერთობლივად ეკისრება სკოლის დირექტორსა და პედაგოგთა საბჭოს. პედაგოგთა საბჭოს ევალება სასწავლო მასალის, მათ შორის, გრიფმინიჭებული, პედაგოგების მიერ შერჩეული, სასწავლო წლის განმავლობაში გამოსაყენებელი სახელმძღვანელოების ნუსხის დამტკიცება.[28]

სკოლის დირექტორის სტანდარტი საგანმანათლებლო ლიდერობის შესახებ მოითხოვს სკოლის განვითარების გეგმის შემუშავებას „სასკოლო საზოგადოებასთან თანამშრომლობითა და მათი აქტიური მონაწილეობით", „მდგრადი განვითარების პრინციპებსა და დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრებაზე" ორიენტირებით.[29]

4.2.2. დირექტორთა ხედვები და დამოკიდებულებები

გამოკითხულ დირექტორებს სჯერათ, რომ სკოლის მართვაში მნიშვნელოვანია არა ინდივიდუალური გადაწყვეტილებების მიღება, არამედ ამ პროცესში მასწავლებლებისა და მოსწავლეების ჩართვა; ინიციატივებისა და შეთავაზებების მოსმენა; ამავდროულად, მასწავლებლებისა და სასკოლო საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდება და გადაწყვეტილების გაცნობა დოკუმენტებისა და განხილვის საშუალებით.

დირექტორები უკმაყოფილებას გამოთქვამენ იმასთან დაკავშირებით, რომ არ ჰყავთ მოადგილე. ამბობენ, რომ ეს მათ სკოლის მართვას ურთულებს. იმ სკოლებს, რომელთაც დიდი რაოდენობით მოსწავლე ჰყავთ, შეუძლიათ მოადგილის ყოლა, მაგრამ ასეთ შემთხვევაშიც კი გაურკვეველი რჩება მოადგილის მოვალეობები და პასუხისმგებლობები.

[26] საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ, მუხლი 41.

[27] საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ, მუხლი 43.

[28] იქვე, მუხლი 46.

[29] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო: საჯარო სკოლის დირექტორის სტანდარტი, მუხლი 6(ე).

თუმცა, უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა ხაზი გაუსვეს იმ ფაქტს, რომ დირექტორებს შეზღუდული უფლებები აქვთ და მართალია სკოლა ყველაზე დემოკრატიული ინსტიტუტია ქაღალდზე, ეს ყოველთვის არ შეესაბამება რეალობას პრაქტიკაში.

ამონარიდი ციტატები ფოკუს ჯგუფებიდან:

→ *ინიციატივები – მე კეთილგანწყობილი ვარ ინიციატივების მიმართ, მაქსიმალურად ვცდილობ მივიღო ინიციატივა ნებისმიერი მხარისგან, რა თქმა უნდა, ვუსმენ, კარგად ვიაზრებ და გადაწყვეტილებას ვიღებ ამ თვალთახედვიდან, ზოგჯერ არსებობს ისეთი ინიციატივა, რომელიც გარკვეულ რისკებს მოიცავს და ჩვენ ყოველთვის ერთობლივად ვწყვეტთ, სწორ გზას ვადგავართ თუ არა, რა შედეგს მოგვიტანს ის და მერე ერთად ვიღებთ გადაწყვეტილებას.* [სკოლის დირექტორი]

→ *ჩემი უპირველესი გადაწყვეტილება, მიუხედავად იმისა, თუ რამდენად მეჩქარება, არის ის, რომ მოვახდინო იმის დოკუმენტირება, თუ რა ხდება, როგორ ხდება, რატომ ხდება, აუცილებლად გავაკეთებ ანალიზს იმისა, თუ რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას განსახორციელებლად ... ამას მივყავარ თანამშრომლობამდე, რათა არ გახდეს აგრესიის მიზეზი. სკოლები დგებიან კონფლიქტის რისკის წინაშე, რამეთუ მასწავლებლები ვერ იღებენ სიახლეებს ... სწორედ ამიტომ ვცდილობ მათთვის ნაცნობი და გასაგები გავხადო ეს ... ჩვენ ერთობლივად ვიღებთ გადაწყვეტილებას და ამის საფუძველზე ახლა უკვე აქვთ (ალტერნატიული) არჩევანი.* [სკოლის დირექტორი]

→ *სამწუხაროდ, ახლა გვყავს დირექტორის მოადგილე, რომლის ფუნქციები არსად არ წერია და საერთოდ არ არსებობს. მათ პიროვნულ პასუხისმგებლობაზეა დამოკიდებული ის, თუ როგორ შეასრულებენ აქტივობებს, მიუხედავად იმისა, დირექტორი გაუწერს თუ არა, და ეს გარკვეული სახის საშტატო განრიგია და მე ვფიქრობ, ესეც განხილვას საჭიროებს. ამჟამად ათასი მოსწავლე მყავს და მათი მართვა მარტივი არაა.* [სკოლის დირექტორი]

→ *ქაღალდზე ქართული განათლება ძალიან დემოკრატიულია – დეცენტრალიზებული* [უნივერსიტეტის წარმომადგენელი]

→ *ქაღალდზე დირექტორს სუსტი ძალაუფლება აქვს.* [უნივერსიტეტის წარმომადგენელი]

→ *ზოგადად, მონაწილეობა არ არის რეალური.* [უნივერსიტეტის წარმომადგენელი]

→ *სკოლა უნდა იყოს ღია... ორიენტირებული მოსწავლეთა საჭიროებებზე... [ჩვენ] უნდა მოვუსმინოთ მოსწავლეებს ... მხარი დავუჭიროთ მათ საკუთარი იდეების განხორციელებაში.* [სკოლის დირექტორი]

→ *წლის დასაწყისში გვაქვს განხილვები მოსწავლეებთან ... ფოკუს ჯგუფები ... კვლევები, კითხვარები ... მასწავლებლებთან შეხვედრები ... მოსწავლეთა თვითმმართველობის საშუალებით.* [სკოლის დირექტორი]

4.2.3. მასწავლებელთა ხედვები და დამოკიდებულებები

გამოკითხული სკოლის მასწავლებლები აცხადებენ, რომ დირექტორები დამოუკიდებლები უნდა იყვნენ. თუმცა, დამოუკიდებლობა არ ნიშნავს დიქტატორულ მართვას. დირექტორებმა სრულად უნდა ჩართონ სასკოლო საზოგადოება გადაწყვეტილების მიღების პროცესებში.

ამონარიდი ციტატები ფოკუს ჯგუფებიდან:

→ *ახლა ერთადერთი, რაც მნიშვნელოვანია, არის დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღება, ავტონომია, და პასუხისმგებლობა ერთმანეთის წინაშე.* [სკოლის მასწავლებელი]

→ *დირექტორი მხოლოდ ბრძანებებს არ უნდა იძლეოდეს. მან უნდა ინებოს ახსნა-განმარტება, თუ თვლის, რომ კონკრეტული ნაბიჯი სწორია, ასევე, უნდა მოუსმინოს მასწავლებელთა მოსაზრებებს, რათა გადაწყვეტილება ნამდვილად გუნდურად იქნეს მიღებული. როდესაც ყველა ნამდვილად ასრულებს საკუთარ როლს და არ არსებობს ფორმალობები, ეს არის საუკეთესო საშუალება იმის საჩვენებლად, რომ თანამშრომლობა შესაძლებელია და სასარგებლოა, და იმის დასანახად, თუ როგორ კარგად მუშაობენ ჩვენი მასწავლებლები ერთად, და აშკარა გახდება, რომ ჩვენც შეგვიძლია ეს.* [სკოლის მასწავლებელი]

4.2.4. მოსწავლეთა ხედვები და დამოკიდებულებები

გამოკითხული მოსწავლეები ფიქრობენ, რომ სკოლის საზოგადოების გამთლიანება დირექტორზეა დამოკიდებული. მათ სკოლის დირექტორები დადებითად შეაფასეს.

ამონარიდი ციტატები ფოკუს ჯგუფებიდან:

→ *დირექტორი – პირი, რომელიც ამთლიანებს მთელ სკოლას.* [სკოლის მოსწავლე]

→ *სკოლის დირექტორთან ძალიან მეგობრული ურთიერთობა მაქვს, თუ რამე დამჭირდება, შემიძლია მივმართო მას.* [სკოლის მოსწავლე]

→ *დირექტორი არის ის მექანიზმი, რომელიც ხელმძღვანელობს სასკოლო საზოგადოებას. ბევრი რამეა დამოკიდებული მის პიროვნებაზე ... არსებითი მნიშვნელობისაა კარგი ურთიერთობა მოსწავლეებთან... ურთიერთპატივისცემა.* [სკოლის მოსწავლე]

4.2.5. მთავარი გამოწვევები

საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“ განსაზღვრავს სკოლის დირექტორის პასუხისმგებლობებს სხვა ჯგუფებთან დაკავშირებით, როგორებიცაა, სამეურვეო საბჭო და პედაგოგთა საბჭო. პრაქტიკულად, საქართველოში სკოლის დირექტორს თითქმის ერთპიროვნული ძალაუფლება აქვს იმ გადაწყვეტილებებში, რომლებიც მიიღება მათ სკოლაში.

საქართველოში სკოლების ლიდერობის სტილები განსხვავებულია. არიან სკოლის დირექტორები, რომლებიც მოსწავლესა და მის მონაწილეობას სკოლაში გადაწყვეტილების მიღების ცენტრში აქცევენ. ერთ-ერთი მათგანის თქმით, „სკოლა უნდა იყოს ღია... ორიენტირებული მოსწავლეთა საჭიროებებზე... [ჩვენ] უნდა მოვუსმინოთ მოსწავლეებს... მხარი დავუჭიროთ მათ საკუთარი იდეების განხორციელებაში.“[30] თუმცა, ბევრი დირექტორისთვის ლიდერობა ფორმალური რამე უფროა, ვიდრე საგანმანათლებლო ხედვის გაზიარების შესაძლებლობა. ნაწილობრივ, ეს საბჭოთა პერიოდის პრაქტიკის გადმონაშთია. ნაწილობრივ კი, ასახავს დირექტორთა არჩევის ადრე არსებულ მეთოდებს. ეს არის ისეთი მიდგომა ლიდერობის მიმართ, სადაც მოსწავლისთვის ან ნებისმიერი სხვა დაინტერესებული მხარისთვის, მცირე ადგილია დარჩენი-

[30] ონლაინ ფოკუს ჯგუფი, 2022 წლის 27 ივლისი.

ლი. ამ ტიპის ლიდერობის სტილის გავრცელება წარმოადგენს მთავარ გამოწვევას ქართულ სკოლებში სკოლის კულტურისა და გადაწყვეტილების მიღების მეტად მონაწილეობითი ფორმების დანერგვისათვის.

იმ სკოლებშიც კი, სადაც მოსწავლის მონაწილეობას სერიოზულად უდგებიან, საერთო სასკოლო მიდგომის იდეა ჯერაც ჩანასახოვან სტადიაშია. არსებობს ბევრი საინტერესო ინიციატივა და ახალი პრაქტიკა, მაგ., განხილვები მოსწავლეებთან წლის დასაწყისში, ფოკუს ჯგუფები, კვლევები და კითხვარები, შეხვედრები მასწავლებლებთან და ა.შ. თუმცა, რაიმე სახის დომინანტი ჩარჩოს არსებობის გარეშე, არის საფრთხე, რომ ასეთი შესაძლებლობები იქნება სპეციალური, უსისტემო, ან მხოლოდ რამდენიმე განსაკუთრებით აქტიური მოსწავლისთვის ხელმისაწვდომი. ის, რაც გვაკლია, არის მოსწავლეთა მონაწილეობის დომინანტი მოდელი სკოლაში, რომელიც გააერთიანებს მის ყველა ელემენტს და განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა მოხდეს მათი კოორდინირება, მონიტორინგი და შეფასება სისტემურად და თანმიმდევრულად.

გასავითარებელი მიმართულებები

- სკოლის დირექტორთა ხელშეწყობა მოსწავლეთა მონაწილეობისათვის მეტი შესაძლებლობების უზრუნველყოფაში;
- სკოლაში გაზიარებული ლიდერობის ფორმების ხელშეწყობა;
- მოსწავლის მონაწილეობის მიმართ საერთო სასკოლო მიდგომების შემუშავება და დანერგვა;
- სკოლის დირექტორთა მოტივირება, შექმნან უფრო აქტიური სამეურვეო საბჭოები და მოსწავლეთა თვითმმართველობები;
- სკოლის დირექტორთა წახალისება, მიმართონ სკოლის მმართველობის უფრო დემოკრატიულ მიდგომას.

4.2.6. რეკომენდაციები

რეკომენდაცია 1:

სკოლის ყოველწლიური თვითშეფასების ფარგლებში, სკოლის დირექტორებს მოეთხოვოთ ანგარიშის წარდგენა მოსწავლეთა მონაწილეობის შესაძლებლობების შესახებ, მაგ., წერილობითი უკუკავშირი მასწავლებლებისგან, მოსწავლეებისა და მშობლებისგან.

რეკომენდაცია 2:

სკოლის დირექტორებს მიეწოდოთ ინფორმაცია გაზიარებული ლიდერობის პრინციპებისა და მათი დანერგვის პრაქტიკული სტრატეგიების შესახებ, მაგ., მოსწავლეებთან კონსულტაცია სკოლის პოლიტიკის შესახებ.

რეკომენდაცია 3:

სკოლის დირექტორებს მიეწოდოთ ინფორმაცია მოსწავლის ხმისადმი საერთო სასკოლო მიდგომის კონცეფციისა და მისი დანერგვის შესახებ, მაგ., მეთოდოლოგიური გზამკვლევები, სიტუაციური ანალიზები, ტრენინგები.

რეკომენდაცია 4:

შეიქმნას ახალი მექანიზმები სკოლის ლიდერებს, სამეურვეო საბჭოსა და მოსწავლეთა თვითმმართველობებს შორის რეგულარული კომუნიკაციის უზრუნველსაყოფად, მაგ., გეგმა-გრაფიკით გაწერილი შეხვედრები დირექტორს, სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარესა და მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარეს შორის მოსწავლეებთან დაკავშირებულ საკითხებზე.

რეკომენდაცია 5:

სკოლის მმართველობისადმი დემოკრატიული მიდგომის მხარდაჭერა გახდეს ყველა საჯარო სკოლის დირექტორის კანონით დადგენილი ვალდებულება, მაგ., ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 43-ე მუხლით გათვალისწინებულ სკოლის დირექტორის ფუნქციებს დაემატოს ეს მოთხოვნა.

4.3. სამეურვეო საბჭო

სამეურვეო საბჭო წარმოადგენს ოფიციალური გადაწყვეტილების მიღების უმაღლეს ინსტანციას სკოლის თვითმმართველობაში. მისი როლი უფრო სტრატეგიულია, ვიდრე ოპერაციული. ზოგადად, ის არ არის ჩართული სკოლის ყოველდღიურ მართვაში. ის არსებობს იმისათვის, რომ ხელი შეუწყოს სკოლის ეფექტიან და ეფექტურ მართვას, რათა ბავშვებს მიეცეთ შეძლებისდაგვარად საუკეთესო განათლების მიღების საშუალება. ამისათვის, სამეურვეო საბჭო, მათ შორის, უზრუნველყოფს:

- სკოლის სტრატეგიული მიმართულების დაგეგმვას;
- ფინანსური მდგომარეობის ზედამხედველობას და იმის უზრუნველყოფს, რომ ფული სათანადოდ დაიხარჯოს;
- სკოლის დირექტორის და სკოლის ლიდერობის ანგარიშვალდებულებას;
- სკოლის გაუმჯობესებას.[31]

სკოლის სტრატეგიული მიმართულების განსაზღვრაში დახმარებისას, მნიშვნელოვანია, თუ რა დამოკიდებულებას მიმართავს სამეურვეო საბჭო მოსწავლის მონაწილეობასთან დაკავშირებით.

თუმცა, სამეურვეო საბჭოს მნიშვნელობა მხოლოდ მისი სტრატეგიული მითითებებით არ შემოიფარგლება, ის, ასევე, წარმოადგენს დაინტერესებულ მხარეთათვის საკუთარ უფლებებში მონაწილეობის საშუალებას. ხშირად ერთმანეთისგან განასხვავებენ სკოლის მმართველობის ორგანოების „დაინტერესებული მხარის“ მოდელს და „უნარებზე დაფუძნებულ“ მოდელს. დაინტერესებული მხარის მოდელის ძირითადი პრინციპია ის, რომ ორგანოებს უნდა ხელმძღვანელობდნენ ის პირები, რომლებიც არიან სკოლით დაინტერესებულ პირთა ჯგუფის წარმომადგენლები და წევრები, მაგ., მასწავლებლები, მშობლები, მოსწავლეები, საზოგადოების წევრები და ა.შ. უნარებზე დაფუძნებულ მოდელში, სამეურვეო საბჭოს შემადგელობა განისაზღვრება მისი წევრების ცოდნის გათვალისწინებით და არა მათი სკოლის მიმართ დაინტერესების მიხედვით.[32]

დაინტერესებული მხარის მოდელი მეტად შეესაბამება სკოლის მმართველობის მიმართ მონაწილეობით, ანუ „დემოკრატიულ“ მიდგომებს, ვიდრე უნარებზე დაფუძნებული მოდელი. ის სთავაზობს განსხვავებულ შესაძლებლობათა ნაკრებს სკოლის მოსწავლეებს სკოლის გადაწყვეტილების მიღებაში უმაღლეს დონეზე ჩართვისთვის.

4.3.1. კანონმდებლობა

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში, სამეურვეო საბჭო, რომელიც მოიხსენიება, როგორც „სამეურვეო საბჭო“, არის ორგანო, რომელსაც ეკისრება მთლიანად სკოლის მმართველობის ვალდებულება. მეტწილად, ის არჩევითი ორგანოა და შედგება მშობელთა და

[31] https://governorsforschools.org.uk/news/what-do-school-governors-do-and-why-is-a-strong-board-so-important/

[32] https://www.researchgate.net/publication/282646397_An_Analysis_of_the_Stakeholder_Model_of_Public_Boards_and_the_Case_of_School_Governing_Bodies_in_England_and_Wales

მასწავლებელთა თანაბარი რაოდენობის წარმომადგენლებისგან, ამასთან, არანაკლებ ექვსი და არაუმეტეს თორმეტი წარმომადგენლისგან, მოსწავლეთა ერთი წარმომადგენლისგან, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დანიშნული ერთი წევრისგან და, გარკვეულ შემთხვევებში, თავდაცვის სამინისტროს მიერ დანიშნული ერთი წევრისგან. ადგილობრივ ხელისუფლებას უფლება აქვს, დანიშნოს ერთი წევრი, ხოლო სამეურვეო საბჭოს შეუძლია ერთი წევრის დანიშვნა სკოლისთვის „დადასტურებულად ქველმოქმედების გამწევ" პირთაგან, ასეთის არსებობის შემთხვევაში. მასწავლებლის წარმომადგენლებს ირჩევს პედაგოგთა საბჭო, ხოლო მოსწავლეთა წარმომადგენლებს კი მოსწავლეთა თვითმმართველობა.[33]

სამეურვეო საბჭო იკრიბება, სულ მცირე, სამჯერ მაინც სასწავლო წლის განმავლობაში, ყოველი მესამედის დასაწყისში. მისი ძირითადი, კანონით დადგენილი ფუნქციებია: სკოლის დირექტორის არჩევა, ბიუჯეტის დამტკიცება, ფინანსების მართვისა და სკოლის ქონების განკარგვის კონტროლი, სკოლის შინაგანაწესის დამტკიცება, სკოლის დირექტორის მიერ წარმოდგენილი სკოლის წესდების პროექტის შეთანხმება, და სასკოლო კურიკულუმისა და სასწავლო მასალის, მათ შორის, გრიფმინიჭებული, პედაგოგების მიერ შერჩეული, სასწავლო წლის განმავლობაში გამოსაყენებელი სახელმძღვანელოების ნუსხის შეთანხმება.[34]

საქართველოს კანონში ნათლად არის განსაზღვრული მოსწავლეთა, მშობელთა და მასწავლებელთა უფლება, მონაწილეობა მიიღონ სკოლის მმართველობაში. ეს უფლება აღემატება სამეურვეო საბჭოში მათი არჩეული წარმომადგენლების საშუალებით მოსაზრებების მიწოდებას, და მოიცავს აზრის გამოხატვის და სკოლის მიერ მათთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტაში უშუალოდ მონაწილეობის უფლებას.[35]

4.3.2. დირექტორთა ხედვები და დამოკიდებულებები

გამოკითხული სკოლის დირექტორებიც კი სამეურვეო საბჭოს თვლიან ფორმალობად, რომელსაც შეზღუდული ფუნქციები აქვს. ზოგადად, სამეურვეო საბჭოებმა არ იციან და ვერ აცნობიერებენ, თუ რა ფუნქციები აკისრიათ. ერთ-ერთი მიზეზი ისაა, რომ ხშირად სამეურვეო საბჭოს წევრებს არ გააჩნიათ გამოცდილება ან საჯარო გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობის ჩვევა. მეორე მიზეზი ისაა, რომ ზოგჯერ მათი არჩევა ხდება პოლიტიკურ საფუძველზე, ნაცვლად იმისა, რომ იყვნენ მშობელთა კონტინგენტის წარმომადგენლები.

ამონარიდი ციტატები ფოკუს ჯგუფებიდან:

→ *ყველა სკოლაში არის სამეურვეო საბჭო, მშობლებს თეორიულადაც და პრაქტიკულადაც უფლება აქვთ, ჰყავდეთ/აირჩიონ წარმომადგენელი. მე კონტაქტი მაქვს ბევრ სკოლასთან და მინდა აღვნიშნო, რომ ბევრ სკოლაში მშობელთა უმეტესობამ, სხვათა შორის, მასწავლებლებმაც კი, არ იციან როდის იკრიბება სამეურვეო საბჭო, ვინ არის მათი წარმომადგენელი, მათ სურთ ასევე არჩეულ იყვნენ, ხშირად საქმე იმაშია, რომ მთავარი, რაზეც ვფიქრობთ სკოლაში არის, ვასწავლოთ ბავშვებს, მაგალითად, არჩევნები: როგორია ისინი, როგორ უნდა ვასწავლოთ სკოლებში, თუ რა არის არჩევნები მთელი თავისი სიღრმით, თუ ეს თვითმმართველობის არჩევნები ფორმალური იქნება? რა თქმა უნდა, ამას ზოგადად ვამბობ, რადგან ვიცი, რომ ბევრი სკოლა არსებობს, რომელსაც ეს პრობლემა აქვს. მაგალითად, ვიცით, რომ ყველა სკოლაში არის კათედრები, ისინი იკრიბებიან პერიოდულად, ყოველ სემესტრებშიც კი, და მუშაობენ სხვადასხვა საკითხზე. მაგრამ არის ეს ეფექტური, თუ უბრალოდ ფორმალობაა?* [სკოლის დირექტორი]

[33] საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ, მუხლი 37.

[34] იქვე, მუხლი 38.

[35] იქვე, მუხლი 11.

→ *მინდა სამეურვეო საბჭო ძალიან მნიშვნელოვანი იყოს. თუ ყოველთვის მე მომიწევს მათი გამოცოცხლება, როგორ შეიძლება სამეურვეო საბჭო იყოს ზემდგომი?* [სკოლის დირექტორი]

→ *სამეურვეო საბჭო არ მუშაობს... [მათ] არ აქვთ ჩვეულება... [მათი] გადაწყვეტილებები პოლიტიკურია.* [უნივერსიტეტის წარმომადგენელი]

→ *სამეურვეო საბჭოს წევრებს, [...] თუკი მოტივირებულნი იქნებიან [...] ენდომებათ აქტიურად ჩართვა [...], ყველაფრის გაკეთება შეუძლიათ.* [უნივერსიტეტის წარმომადგენელი]

4.3.3. მასწავლებელთა ხედვები და დამოკიდებულებები

გამოკითხული მასწავლებლები ამბობენ, რომ სამეურვეო საბჭო სკოლის დირექტორის ტვირთად რჩება და რომ პროცესი მხოლოდ საბჭოს წევრების არჩევისას უბრუნდება სიცოცხლეს. მაშინაც კი, მონაწილეობის დონე დაბალია. ისინი მიიჩნევენ, რომ ადრე სამეურვეო საბჭოს პასუხისმგებლობები უფრო სერიოზული და კომპლექსური იყო, დღესდღეობით კი ის აკონტროლებს ბიუჯეტს და ირჩევს სკოლის დირექტორს, მაგრამ გაცილებით ნაკლებს აკეთებს გარეგანი წახალისების გარეშე.

ამონარიდი ციტატები ფოკუს ჯგუფებიდან:

→ *დასაწყისში, ეს სამეურვეო საბჭო როგორღაც, არ ვიცი როგორ ხდება ეს, მაგრამ ჩანდა, თითქოს ის გარკვეული სახის ტვირთს წარმოადგენდა, ისევ დირექტორის ტვირთს? ერთი ისაა, რომ სამეურვეო საბჭო სიცოცხლეს დაუბრუნდა დირექტორის არჩევისას, სხვა შემთხვევაში კი ხვეწნა-მუდარა სჭირდებოდა, რომ მათთვის დახმარება ეთხოვათ, სკოლაში მოსულიყვნენ და..., არასწორად არ გამიგოთ, ბევრი რამე არც ახლა შეცვლილა.* [სკოლის მასწავლებელი]

→ *ადრე სამეურვეო საბჭოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქცია იყო ... სახსრების მოზიდვა სკოლის გასაუმჯობესებლად და სამეურვეო საბჭო ამ ფუნქციას არ ასრულებდა. ახლა, კანონმდებლობაშიც შეგვიძლია წავიკითხოთ, რომ სამეურვეო საბჭოს მხოლოდ ბიუჯეტის გაკონტროლების უფლება აქვს, რა არის ასეთი ამ ჩვენს ბიუჯეტში, რომ საჭიროა ვიღაცამ აკონტროლოს ის. ახლა მცირეკონტინგენტიანი სკოლები, სადაც არ არის მოსწავლეთა დიდი რაოდენობა, მიმართავენ საბჭოს მასწავლებელთათვის ხელფასის გასანაწილებლად. მეორე ფუნქციაა ... დირექტორის არჩევა, მაგრამ [ამანაც] დაკარგა ... მნიშვნელობა.* [სკოლის მასწავლებელი]

→ *ვფიქრობ, [სკოლის] თვითმმართველობა აქილევსის ქუსლია... სამეურვეო საბჭოსთან ერთად.* [სკოლის მასწავლებელი]

→ *სამეურვეო საბჭო [არის] არამდგრადი, ის არ მუშაობს მოსწავლეებისთვის.* [რესპონდენტი]

4.3.4. მოსწავლეთა ხედვები და დამოკიდებულებები

გამოკითხული მოსწავლეები ფიქრობენ, რომ სამეურვეო საბჭოში მშობლების მონაწილეობა მნიშვნელოვანია, მაგრამ ისინი მეტად ინფორმირებულები უნდა იყვნენ. უნდა არსებობდეს საკომუნიკაციო სისტემა ინფორმირებული მონაწილეობისთვის.

ამონარიდი ციტატები ფოკუს ჯგუფებიდან:

→ *სამეურვეო საბჭოში... მშობლებს უმნიშვნელოვანესი როლი აკისრიათ. ისინი მასწავლებლებთან განიხილავენ ინფრასტრუქტურის საკითხებს და სასკოლო აქტივობებს. ასე რომ, ისინი მოქმედებენ მოსწავლეთა სახელით. ეს არის მექანიზმი, რომელიც მოსწავლეებს აძლევს კომუნიკაციის საშუალებას.* [სკოლის მოსწავლე]

→ *მე ვიყავი სამეურვეო საბჭოს წევრი. მოსწავლეები უფრო მეტად იყვნენ ჩართულნი, ვიდრე მშობლები. მშობლებს სჭირდებათ ინფორმაცია ... თუ რა უნდა გააკეთონ... სწორად მიწოდებული ინფორმაცია იმაზე, თუ რა არის მათი ფუნქცია, რა საკითხები განიხილება, როგორ მუშაობს ის. ისინი არავითარ ინფორმაციას არ ფლობენ. ჩვენ გავაცანით გარკვეული რამ.* [სკოლის მოსწავლე]

4.3.5. მთავარი გამოწვევები

საქართველოში სამეურვეო საბჭოების მიმართ კრიტიკის საგანია მათი საქმიანობის ფორმალურობა. გამოკითხულთაგან ერთ-ერთმა განაცხადა, რომ „სამეურვეო საბჭო არ მუშაობს ... [მათ] არ არსებობს ტრადიცია... [მათი] გადაწყვეტილებები პოლიტიკურია“.[36] 2020 წელს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციამ (OECD) თავის ანგარიშში აღნიშნა, რომ „სკოლის შეზღუდული თვითმმართველობა არის სკოლების მმართველობის არაეფექტურობის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი, რამეთუ საჯარო სკოლების დირექტორები და სამეურვეო საბჭოები პასიურნი რჩებიან სკოლის მმართველობაში“.[37] სამეურვეო საბჭოს შესაძლებლობათა გაძლიერების აუცილებლობა, ჩაერთონ სკოლის განვითარების უფრო ფართომასშტაბიან საკითხებში, ხაზგასმულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიან ეროვნულ სტრატეგიაში 2022-2030.[38] სამეურვეო საბჭოს ტენდენცია, მოიაზრონ თავიანთი უფლებამოსილება ამ თვალსაზრისით, ნიშნავს იმას, რომ ისინი ზოგადად არ რეაგირებენ მოსწავლეების საჭიროებებსა და საზრუნავზე და ვერ იყენებენ საკუთარ პოტენციალს, დაეხმარონ მათ. სამოქალაქო განათლების მასწავლებელი ამბობს, რომ „სამეურვეო საბჭო [არის] არამდგრადი, ის არ მუშაობს მოსწავლეებისთვის“.[39] ნაწილობრივ, ეს მოტივაციის საკითხია. ერთ-ერთი სკოლის დირექტორი ამბობს: „სამეურვეო საბჭოს წევრებს [...] თუკი მოტივირებულნი იქნებიან... ყველაფრის გაკეთება შეუძლიათ“.[40]

გარდა ამისა, მართალია, კანონით ყველა დაინტერესებულ მხარეს აქვს უფლება, გამოხატოს საკუთარი აზრი სკოლასთან დაკავშირებულ საკითხებზე, სამეურვეო საბჭოში მათი არჩეული წარმომადგენლის მეშვეობით, მაგრამ პრაქტიკაში ეს მხოლოდ შეზღუდულ მასშტაბებში ხორციელდება. ამის ერთი მიზეზი შეიძლება იყოს ის, რომ ბევრმა დაინტერესებულმა მხარემ არ იცის ამ უფლების შესახებ. კიდევ ერთი მიზეზი კი ის არის, საბჭოს წევრები საკუთარ თავს აღიქვამენ ინდივიდებად და არა დემოკრატიულ წარმომადგენლებად. ბევრი რამეა დამოკიდებული, ასევე, სკოლის დირექტორის მიმართებაზე და იმაზე, თუ როგორ აღიქვამს ის სამეურვეო საბჭოს როლს. როგორც არ უნდა ითქვას, მოსწავლეებისთვის ეს ნიშნავს სკოლის მაღალი დონის გადაწყვეტილების მიღებაში ჩართვის დაკარგულ შესაძლებლობებს. აქედან გამომდინა-

[36] ინტერვიუ, 2022 წლის 28 ივლისი.

[37] ციტირებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო: განათლებისა და მეცნიერების ეროვნული სტრატეგია 2022-2030.

[38] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო: განათლებისა და მეცნიერების ეროვნული სტრატეგია 2022-2030.

[39] ინტერვიუ, 2022 წლის 27 ივლისი.

[40] ონლაინ ფოკუს ჯგუფი, 2022 წლის 27 ივლისი.

რე, გამოწვევა მდგომარეობს იმაში, თუ როგორ შეიძლება სამეურვეო საბჭოში მოსწავლეთა წარმომადგენელი მეტად ანგარიშვალდებული გახდეს მისი ამომრჩეველი მოსწავლეების წინაშე და, ამის მეშვეობით, მოსწავლეებს მეტი უფლებამოსილება მიეცეთ სამეურვეო საბჭოს გადაწყვეტილებებში.

ხოლო იმისათვის, რომ მოსწავლეებმა რაიმე რეალური წვლილი შეიტანონ სამეურვეო საბჭოს გადაწყვეტილებებში, მათთან დაკავშირებულ საკითხებს მეტი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს თვითონ სამეურვეო საბჭოს შიგნით. ეს ალბათ ნიშნავს მოსწავლეთა წარმომადგენლის როლის რაიმე სახით გაძლიერებას. თავად ის ფაქტი, რომ არსებობს მხოლოდ ერთი მოსწავლეთა წარმომადგენელი, თავისთავად სირთულეს წარმოადგენს. სრულიად შესაძლებელია, რომ მან ბევრი ზრდასრულის წინაშე მარგინალიზებულად იგრძნოს თავი. ერთ-ერთი მოსწავლე ამბობს, რომ მის სკოლაში სამეურვეო საბჭოში შემავალი მშობლები მოქმედებდნენ მოსწავლეების სახელით: „მშობლებს უმნიშვნელოვანესი როლი აკისრიათ. ისინი მასწავლებლებთან განიხილავენ ინფრასტრუქტურის საკითხებსა და სასკოლო აქტივობებს. ასე რომ, ისინი მოქმედებენ მოსწავლეთა სახელით. ეს არის მექანიზმი, რომელიც მოსწავლეებს აძლევს კომუნიკაციის საშუალებას.“[41] მაგრამ სხვა მოსწავლე პირიქით ამბობს: „მე ვიყავი სამეურვეო საბჭოს წევრი. მოსწავლეები უფრო მეტად იყვნენ ჩართულნი, ვიდრე მშობლები.“[42] როგორც არ უნდა იყოს, სკოლის საბჭოზე მოსწავლეთა წარმომადგენლობის არსი ჯერაც პრობლემურია.

გასავითარებელი მიმართულებები

- სამეურვეო საბჭოს შეხვედრებზე მოსწავლეებთან დაკავშირებული საკითხებისთვის მეტი მნიშვნელობის მინიჭება;
- სამეურვეო საბჭოში მოსწავლეთა წარმომადგენლის ყოფნისთვის მეტი მნიშვნელობის მინიჭება;
- მოსწავლეთა წარმომადგენლების მეტი ანგარიშვალდებულება იმათ წინაშე, ვინც მათ ირჩევს;
- სამეურვეო საბჭოში მოსწავლეთა წარმომადგენლობის ზრდა.

4.3.6. რეკომენდაციები

რეკომენდაცია 1:

რეგულარულ დღის წესრიგში დადგეს სამეურვეო საბჭოს შეხვედრებზე სკოლის დირექტორთა მიერ მოსწავლეთა მონაწილეობის სტატუსის შესახებ მოხსენება.

რეკომენდაცია 2:

განმტკიცდეს სამეურვეო საბჭოზე მოსწავლეთა წარმომადგენლის როლი, მაგ., დღის წესრიგში შესულ ყველა საკითხთან დაკავშირებით, აზრის გამოთქმის ავტომატური უფლება, ერთობლივი შეხვედრები მშობელთა წარმომადგენლებთან.

რეკომენდაცია 3:

სამეურვეო საბჭოს შეხვედრებამდე მოეწყოს მოსწავლეთა წარმომადგენლების კონსულტაცია მოსწავლეთა კონტინგენტთან, მაგ., იდეების ყუთები, კითხვარები, სოციალური მედიის გვერდი.

[41] ონლაინ ფოკუს ჯგუფი, 2022 წლის 28 ივლისი.

[42] იქვე.

რეკომენდაცია 4:

გაიზარდოს სამეურვეო საბჭოში მოსწავლეთა წარმომადგენლების რაოდენობა, მაგ., მასწავლებელთა, მშობელთა და მოსწავლეთა წარმომადგენლების თანაბარი რაოდენობა.

4.4. მოსწავლეთა თვითმმართველობა

მოსწავლეთა თვითმმართველობა, როგორც წესი, წარმოადგენს ახალგაზრდებს, რომლებსაც საუკეთესო შესაძლებლობა აქვთ, სკოლის ცხოვრებას საკუთარი კვალი დაატყონ, იქნება ეს „სამეურვეო საბჭოს", „მოსწავლეთა პარლამენტის" თუ მოსწავლეთა წარმომადგენლობითი ორგანოს სხვა რომელიმე ფორმით.

კარგად მართული მოსწავლეთა თვითმმართველობა:

- უზრუნველყოფს მთელ რიგ შესაძლებლობებს მოსწავლეებისთვის, რომ ჰქონდეთ ხმის უფლება სკოლაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით;
- ეხმარება ახალგაზრდებს ცხოვრებაში საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავებაში;
- ავითარებს დემოკრატიულ საზოგადოებაში ეფექტიანი მონაწილეობისთვის საჭირო კომპეტენციებს;
- ხელს უწყობს სიძულვილის ენით საუბრის, ბულინგისა და ძალადობის პრობლემის მოგვარებას და გენდერულ თანასწორობას;
- აუმჯობესებს სასკოლო გარემოს ხარისხს ყველა მისი დაინტერესებული მხარისთვის.

მოსწავლეთა თვითმმართველობა ყველაზე ეფექტური მაშინაა, როდესაც:

- ყველა მოსწავლე ჩართულია;
- აქვს სკოლის ლიდერის მხარდაჭერა;
- მისი აქტივობები ინტეგრირებულია სკოლის მართვის უფრო ფართო პროცესში;
- აქვს მუდმივი მხარდაჭერა მასწავლებლებისგან ან სხვა ზრდასრულებისაგან;
- ატარებს რეგულარულ შეხვედრებს;
- მისი უფლებამოსილებების სფერო ნათელია;
- წარმომადგენლებსა და მათ თანატოლებს შორის კარგი კომუნიკაციაა;
- განიხილება მოსწავლეთათვის მნიშვნელოვანი და რელევანტური საკითხები;
- მოსწავლეებს ანიჭებს თავისუფლებას, თავად მიიღონ გადაწყვეტილებები და თავად განახორციელონ ისინი პრაქტიკაში.

მოსწავლეთა თვითმმართველობა ნაკლებეფექტური და საწინააღმდეგო შედეგის მომცემიც კი შეიძლება იყოს, თუკი მოსწავლეები გრძნობენ, რომ მათი მონაწილეობა არ არის ნამდვილი, მათი ხმა არავის ესმის და არავინ რეაგირებს მასზე, ან ეს არის შეზღუდული რაოდენობის ელიტარულ მოსწავლეთა მოღვაწეობის სფერო.[43]

4.4.1. კანონმდებლობა

„ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონში, მოსწავლეთა თვითმმართველობა წარმოდგენილია, როგორც სკოლის ადმინისტრაციის უმთავრესი ელემენტი. საბაზო და საშუალო საფეხურების მოსწავლეებს მოეთხოვებათ საკუთარი თვითმმართველობის ორგანოების არჩევა. არჩევნები უნდა მოხდეს ფარული კენჭისყრით, სამეურვეო საბჭოს არჩევნების მსგა-

[43] https://blog.soton.ac.uk/edpsych/files/2018/03/Pupil-participation-Nov-2017-Abi-Sharpe-.pdf

ვსად, კლასების მიხედვით მოსწავლეთა თანაბარი წარმომადგენლობით. მას ხელმძღვანელობს თვითმმართველობის ორგანოს მიერ არჩეული თავმჯდომარე.[44]

მოსწავლეთა თვითმმართველობის ოფიციალური ფუნქციებია:

- სკოლის „შინაგანაწესის" შესახებ რეკომენდაციების შემუშავება;
- სკოლისთვის მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით წინადადებების წარდგენა სამეურვეო საბჭოსათვის;
- სამეურვეო საბჭოში საკუთარი წარმომადგენლის არჩევა;
- მოპოვებული გრანტების განკარგვაში მონაწილეობა სკოლის დადგენილი წესდებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- სასკოლო კლუბების დაფუძნება წევრთა ერთი მეხუთედის ინიციატივით.[45]

4.4.2. დირექტორთა ხედვები და დამოკიდებულებები

გამოკითხული სკოლის დირექტორები მიიჩნევენ, რომ მოსწავლეთა ჩართულობა თვითმმართველობაში ძალიან მნიშვნელოვანია. ეს განაპირობებს უფრო დაბალანსებულ სასკოლო საზოგადოებას. მათი სურვილია მოსწავლეთა თვითმმართველობის ქსელს, კეთილსინდისიერი პრაქტიკის მაგალითის სახით, მხარდაჭერა გაუწიოს აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტომ (USAID).

ამონარიდი ციტატები ფოკუს ჯგუფებიდან:

→ *ჩართული უნდა იყოს სკოლის მოსწავლეთა მნიშვნელოვანი ნაწილი და იყოს სკოლასთან ერთად, მხოლოდ სკოლა ვერაფერს გააკეთებს, ჩვენ ერთმანეთს უნდა დავეხმაროთ და უნდა დავაბალანსოთ ის.* [სკოლის დირექტორი]

→ *საჯარო სკოლებში თვითმმართველობა შეიძლება იყოს ჩართული საზოგადოებაში. ეს მართვის სტილზეა დამოკიდებული.* [რესპონდენტი]

4.4.3. მასწავლებელთა ხედვები და დამოკიდებულებები

გამოკითხული მასწავლებლები მიიჩნევენ, რომ სკოლის მოსწავლეები არიან აქტიურები და სურთ, გახდნენ სკოლის თვითმმართველობის პროცესის ნაწილი. ისინი თავდაჯერებულნი არიან და ფლობენ სათანადო უნარ-ჩვევებს, მაგრამ შეიძლება თავი იჩინოს აზრთა სხვადასხვაობამ სკოლის შესახებ მოსწავლისა და მასწავლებლისეულ ხედვებსა და, ზოგადად, მათ მსოფლმხედველობებთან დაკავშირებით. ზოგიერთ სკოლაში თვითმმართველობა სუსტია, ეს კი იმაზეა დამოკიდებული, თუ ვის აირჩევენ. ასეთ შემთხვევაში, მოსწავლეებს შესაძლოა დასჭირდეთ მასწავლებლებისა და სკოლის დირექტორის მხრიდან მიმართულების მიცემა.

ამონარიდი ციტატები ფოკუს ჯგუფებიდან:

→ *მაგრამ თავად სკოლის მოსწავლეები ძალიან აქტიურები არიან, ისინი „ცვლილებების ძალაა". არ აქვთ ავტორიტეტის მიმართ მორჩილება და მოწიწება, როგორც გასულ წლებში. არიან თავდაჯერებულნი და ენებისა და ინფორმაციის (სოციალური მედიის) ფლობაში მასწავლებლებს სჯობნიან. მასწავლებლებს ეშინიათ უფროსკლასელების, მე-7 კლასის შემდეგ ისინი მართავენ სკოლას. მათ იციან სა-*

[44] საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ, მუხლი 47.

[45] იქვე, მუხლი 48.

კუთარი უფლებები, მაგრამ არა მოვალეობები. არ ეხალისებათ საზოგადოების ნაწილად ყოფნა, ან მისი შეცვლის გზების ძიება. ეს არის თაობათა შორის განხეთქილება ან აზრთა სხვადასხვაობა იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ ხედავენ სამყაროს მასწავლებლები და მოსწავლეები. მოსწავლეებს აქვთ თავისებური ემპათიის გრძნობა. ჩვენ ეს განხეთქილება უნდა შევამციროთ. „პროექტი ჰარმონია"-მ (PH International) უდიდესი წვლილი შეიტანა ამ საქმეში. [რესპონდენტი]

→ *სამოქალაქო განათლების ერთ-ერთი საკითხი არის ის, რომ მე ვატარებ გაკვეთილებს თვითმმართველობის შესახებ. მაგრამ ჩანს, თითქოს ზეწოლაა ჩემი ან სკოლის მხრიდან, ან შესაძლოა, მე არ ვარ ისე გამოცდილი ამ საკითხში, რომ ავიყვანო ეს ბავშვები, მივცე მათ ბიძგი, მიმართულება ამ კუთხით.* [სკოლის მასწავლებელი]

→ *არის, ასევე, კლუბები. სკოლის ადმინისტრაცია რეალურად ინიციატორია და ყველაფერს მიიღებს, მაგრამ თვითმმართველობა ჩვენს სკოლაში სუსტია, ვაღიარებ.* [სკოლის მასწავლებელი]

→ *თვითმმართველობა... ფორმალურია... ყველა სკოლას ჰყავს ის... კოვიდმა არსებითი ცვლილებები მოახდინა. ვერ შეძლეს ჯგუფებთან მუშაობა.* [რესპონდენტი]

→ *ბევრი რამეა დამოკიდებული მოსწავლეებზე იმასთან დაკავშირებით, თუ ვინ იქნება თვითმმართველობაში, ვის მისცემენ ისინი ხმას, ვის აირჩევენ, რამდენად აქტიურნი იქნებიან. საქმე იმაშია, რომ კლასი ხმას აძლევს მას იმიტომ, რომ ის კარგი გოგოა ან კარგი ბიჭია, მაგრამ, ამავე დროს, ის სკოლისათვის ვერ აკეთებს იმას, რაც უნდა გააკეთოს.* [სკოლის მასწავლებელი]

4.4.4. მოსწავლეთა ხედვები და დამოკიდებულებები

ზოგიერთი ჩვენი რესპონდენტი თვითმმართველობის წევრი იყო და თქვეს, რომ აქტიურად არიან ჩართულნი სამეურვეო საჭიროების შეფასებაში და სხვადასხვა საკითხის გადასაჭრელად ან გასაუმჯობესებლად განხორციელებულ ინტერვენციებში. მოსწავლეთა თვითმმართველობებს მხარს უჭერენ მასწავლებლები, განსაკუთრებით, სამოქალაქო განათლებისა და ენის მასწავლებლები. ხორციელდება სხვადასხვა პროექტი სხვადასხვა თემაზე, როგორიცაა, ჯანსაღი ცხოვრების წესი, ნარკოტიკები და ბულინგი.

მოსწავლეთა სურვილი იყო, ჰქონოდათ ონლაინპლატფორმა გამოცდილების გაზიარებისათვის და ერთმანეთთან კომუნიკაციისათვის. მათი შემოთავაზება გახლდათ, შემუშავებულიყო ისეთი პლატფორმა, რომელსაც ექნებოდა მასზე მორგებული სატელეფონო აპლიკაცია. მოსწავლეები დარწმუნებულნი არიან, რომ ეს უზრუნველყოფს გადაწყვეტილების მიღების პროცესში და სხვა პროცედურებში მონაწილეობას, რამეთუ მათი უმეტესობა აქტიურად მოიხმარს სოციალურ მედიას და ონლაინაპლიკაციებს. ამჟამად, ქართველ მოსწავლეთა უმრავლესობას აქვს სმარტფონები.

ამონარიდი ციტატები ფოკუს ჯგუფებიდან:

→ *მოსწავლეთა თვითმმართველობის წევრი ვარ. მე ჩავატარე კვლევა იმასთან დაკავშირებით, თუ რა სურთ და რა სჭირდებათ ბავშვებს და დავგეგმე პროექტები და ღონისძიებები ამ მიმართულებით. ხელმძღვანელობა მაქსიმალურად გვეხმარება.* [სკოლის მოსწავლე]

→ *ზოგიერთი მასწავლებელი ნებაყოფლობით უჭერს მხარს მოსწავლეთა თვითმმართველობას, განსაკუთრებით, სამოქალაქო განათლების, ინგლისურის და ქართული ენის მასწავლებლები, [ეს] მოსწავლეებს მიმართულებას აძლევს და მეტ თავდაჯერებულობას უნერგავს.* [მოსწავლეთა ფოკუს ჯგუფი]

→ *თვითმმართველობას ... ახლო ურთიერთობა აქვს მასწავლებლებთან ... პროექტები, რომლებიც არ არის დაკავშირებული გაკვეთილებთან ... განიხილავს სკოლაში არსებულ სკოლაში, როგორებიცაა, მაგ., ჯანსაღი ცხოვრების წესი, ნარკოტიკები, ნარკოტიკული საშუალებები ... სოფლის სკოლებში სირთულეს წარმოადგენს ტრანსპორტი და ლოჯისტიკა, ადამიანები ვერ ახერხებენ დასწრებას.* [სკოლის მოსწავლე]

4.4.5. მთავარი გამოწვევები

მოსწავლეთა თვითმმართველობა არის სკოლის ცხოვრების კარგად ჩამოყალიბებული და მუდმივი მახასიათებელი საქართველოში. თუმცა, მოსწავლეთა თვითმმართველობის ორგანოების ეფექტურობა და მის საფუძველზე მიღებული გამოცდილების ხარისხი ახალგაზრდებისთვის განსხვავდება. ბევრი რამეა დამოკიდებული დირექტორისა და მასწავლებლების დამოკიდებულებებზე. მიუხედავად იმისა, რომ ეს კანონით დადგენილი ვალდებულებაა, სკოლის თვითმმართველობის ორგანოები ჯერაც არ არსებობს ბევრ სკოლაში. სხვებში მათ ისე უყურებენ, როგორც ფორმალობას და არა ვარჯიშს დემოკრატიის სწავლაში. მოსწავლეები, რომლებიც კმაყოფილები საუბრობენ მოსწავლეთა თვითმმართველობაზე საკუთარ სკოლებში, მის წარმატებას თითქმის ყოველთვის უკავშირებენ მხარდამჭერი დირექტორის ან მასწავლებლის არსებობას. პრობლემა ისაა, რომ მხარდაჭერის საჭირო დონე ყოველთვის არ არის ხელმისაწვდომი სკოლებში. ერთი მიზეზი ამისა ის არის, რომ, ჯერჯერობით მაინც, ეს მხარდაჭერა ნებაყოფლობითია. ეს არ არის გაწერილი მასწავლებლის სტანდარტში და არც რამე პროფესიულ ჯილდოს ითვალისწინებს. ერთ-ერთი მოსწავლე ამბობს, რომ „ზოგიერთი მასწავლებელი ნებაყოფლობით უჭერს მხარს მოსწავლეთა თვითმმართველობას, განსაკუთრებით, სამოქალაქო განათლების, ინგლისურის და ქართული ენის მასწავლებლები, [ეს] მოსწავლეებს მიმართულებას აძლევს და მეტ თავდაჯერებულობას უნერგავს."[46]

კიდევ ერთი პრობლემა ის არის, რომ მოსწავლეთა თვითმმართველობა ხშირად შეიძლება გახდეს სოციალურად უფრო აქტიური მოსწავლეების მცირე ჯგუფის საქმიანობის სფერო. ასეთი პირები ხშირად ამბობენ, რომ უჭირთ სხვა მოსწავლეების ჩართვა. ეს შეიძლება ორმხრივი პრობლემა იყოს. ერთი მხრივ, გამოწვევაა მეტი ახალგაზრდის მოტივირება, იყვნენ თანატოლების წარმომადგენლები. ერთ-ერთ ინტერვიუში მონაწილე ორგანიზაციის წარმომადგენელმა განაცხადა: „სკოლის მოსწავლეებმა ... იციან საკუთარი უფლებები, მაგრამ არა მოვალეობები. [მათ] არ ეხალისებათ საზოგადოების ნაწილად ყოფნა, ან მისი შეცვლის გზების ძიება".[47] მეორე მხრივ, დგება საკითხი იმისა, თუ როგორ უნდა გავხადოთ მოსწავლეთა თვითმმართველობის ორგანოები მეტად ანგარიშვალდებული იმათ წინაშე, ვისაც წარმოადგენენ. შეიძლება პრობლემა ის არის, რომ თვითმმართველობაში არჩეული მოსწავლეები არ თვლიან თავს ანგარიშვალდებულად თავიანთი ელექტორატის წინაშე. ისინი თავიანთ ამოცანას არსებითად პატერნალისტურად თვლიან, ასრულებენ რა დელეგატის ფუნქციას, რომელიც სხვების სახე-

[46] ონლაინ ფოკუს ჯგუფი, 2022 წლის 28 ივლისი.

[47] ინტერვიუ, 2022 წლის 26 ივლისი.

ლით მოქმედებს. ასეთ შემთხვევაში, არ არსებობს მოტივაცია იმისა, რომ ანგარიში წარუდგინონ თანატოლებს, ჰქონდეთ მათთან კონსულტაციები ან უშუალოდ ჩართონ ისინი.

მოსწავლეთა თვითმმართველობის ერთი ასპექტი, რასაც შეუძლია არსებითი ცვლილების მოხდენა მათ დაინტერესებაზე არის სკოლაში მოსწავლეებს შორის სანდოობა. სანდოობას, ნაწილობრივ, განაპირობებს გამჭვირვალობა სკოლაში, ნაწილობრივ – მოგვარებული საკითხები, ნაწილობრივ კი საქმის კეთების უნარი. საქმის კეთების უნარი ნიშნავს სკოლის მართვის უფრო ფართო პროცესებში ინტეგრირებას, მაგ., სკოლის ლიდერებთან, პედაგოგთა საბჭოსთან და სამეურვეო საბჭოსთან წვდომის საშუალებით. ეს, ასევე, ნიშნავს შესაბამის საზოგადოებრივ, საჯარო სექტორის და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან ურთიერთობას სკოლის მიღმა.

დაბოლოს, განსაკუთრებულ საკითხს წარმოადგენს სოფლის პატარა სკოლები. მოსწავლეთა თვითმმართველობის ჩვეულებრივი მოდელი გათვლილია გარკვეული ზომის სკოლებზე. ისეთი პროცედურებისთვის, როგორებიცაა, არჩევნები, საკომიტეტო შეხვედრები და ა.შ., საჭიროა მოსწავლეთა გარკვეული რაოდენობა. განსაკუთრებით პრობლემურია მცირეკონტინგენტიან სკოლებში ისეთი პირობების შექმნა, რაც მოსწავლეებს საშუალებას მისცემს, იმავე დონეზე მიიღონ სარგებელი თვითმმართველობით, როგორც მათი თანატოლებს აქვთ უფრო დიდ სკოლებში.

გასავითარებელი მიმართულებები

- მოსწავლეთა თვითმმართველობის რაიმე ფორმით არსებობის უზრუნველყოფა ყველა სკოლაში;
- მეტი ახალგაზრდის მოტივირება მოსწავლეთა თვითმმართველობაში მონაწილეობის მისაღებად;
- მოსწავლეთა თვითმმართველობის ორგანოების მეტი ანგარიშვალდებულება იმათ წინაშე, ვისაც წარმოადგენენ;
- მოსწავლეთა თვითმმართველობის ინტეგრირება სკოლის მართვის უფრო ფართო პროცესში;
- შესაბამის საზოგადოებრივ, საჯარო სექტორისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან კავშირი;
- მოსწავლეთა თვითმმართველობისთვის მეტი მნიშვნელობისა და მეტი სანდოობის მინიჭება სკოლის ფარგლებში და მის მიღმა;
- კეთილგანწყობილ ზრდასრულთა მხრიდან მოსწავლეთა თვითმმართველობის ყველა ორგანოს მხარდაჭერის უზრუნველყოფა;
- სოფლის პატარა სკოლების მოსწავლეებისთვის თვითმმართველობის იმავე სარგებელზე წვდომის უზრუნველყოფა, რაც უფრო დიდ სკოლებს აქვთ;
- მოსწავლეთა ონლაინთვითმმართველობის ახალი ფორმების ძიება როგორც სკოლის შიგნით, ისე სკოლებს შორის.

4.4.6. რეკომენდაციები

რეკომენდაცია 1:

სკოლის ყოველწლიური თვითშეფასების ფარგლებში, სკოლის დირექტორებს მოეთხოვოთ ანგარიშის წარდგენა მოსწავლეთა თვითმმართველობის შესახებ, მაგ., წერილობითი უკუკავშირი მასწავლებლებისგან.

რეკომენდაცია 2:

მოსწავლეთა წარმომადგენლების ჩართვა თანატოლთა ინფორმირებაში მოსწავლეთა თვითმმართველობისა და მათი უფლების შესახებ, მონაწილეობა მიიღონ სკოლის მმართველობაში, მაგ., პოსტერების კამპანია, მოსწავლეთა ბროშურები, ვიდეორესურსები.

რეკომენდაცია 3:

ხელი შეეწყოს მოსწავლეთა წარმომადგენლებსა და მათ ამომრჩეველ მოსწავლეებს შორის მუდმივ კომუნიკაციას, მაგ., საინფორმაციო დაფების, საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის, გადაწყვეტილებების თაობაზე კენჭისყრის, სოციალური მედიის ვებგვერდების მეშვეობით.

რეკომენდაცია 4:

შემუშავდეს მექანიზმები იმისათვის, რომ მოსწავლეთა თვითმმართველობა ინტეგრირდეს სკოლის მართვის უფრო ფართო პროცესში, მაგ., რეგულარული შეხვედრები სკოლის დირექტორთან, პედაგოგთა საბჭოსა და სამეურვეო საბჭოსთვის ანგარიშის ჩაბარება.

რეკომენდაცია 5:

მოსწავლეთა თვითმმართველობის ორგანოებს გაეწიოთ დახმარება შესაბამის საზოგადოებრივ, საჯარო და კერძო სექტორისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან კავშირის დამყარებაში, მაგ., მოსწავლეთა სახელმძღვანელო მითითებები სხვა ორგანიზაციებთან მუშაობის შესახებ.

რეკომენდაცია 6:

დოკუმენტურად გაფორმდეს მოსწავლეთა თვითმმართველობის სამუშაო მეთოდები და პროცედურები, მაგ., წერილობითი წესდება ფუნქცია-მოვალეობებით, რეგულარული შეხვედრების მოდელი, მოსწავლე მმართველები, კომიტეტები, შეხვედრის ოქმები, გამოქვეყნებული დღის წესრიგი, სხვა სკოლების მოსწავლეთა თვითმმართველობებთან ურთიერთობა და ა.შ.

რეკომენდაცია 7:

მოსწავლეთა წარმომადგენლებმა მოიძიონ გზები ექსპერტულ რჩევასა და ტექნიკურ მხარდაჭერაზე რეგულარული წვდომის უზრუნველსაყოფად, მაგ., წახალისების ფორმები მოხალისე მასწავლებელთათვის, ამის პასუხისმგებლობის სახით გაწერა სამოქალაქო განათლების წამყვან მასწავლებელთა სწავლების სტანდარტში, სკოლის ადმინისტრაციის ჩართვა.

რეკომენდაცია 8:

შემუშავდეს და გავრცელდეს მოსწავლეთა თვითმმართველობის ისეთი ფორმები, რომლებიც სათანადოა პატარა სკოლებისთვის, მაგ., წრის დრო.

რეკომენდაცია 9:

შეიქმნას მოსწავლეთა თვითმმართველობის პლატფორმა ან აპლიკაცია, რათა მოსწავლეებმა ონლაინ მიიღონ მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში და თვითმმართველობის აქტივობებში.

4.5. სასკოლო კურიკულუმი

ტრადიციულად, სასკოლო კურიკულუმი ორიენტირებულია ფაქტებზე, მოსწავლეებისთვის გადასაცემ სპეციალურ ცოდნაზე. ამგვარი კურიკულუმი დიდად არ უწყობს ხელს მოსწავლეთა მონაწილეობას, რამეთუ დიდწილად არის დამოკიდებული ფაქტებისა და ფორმულების დამახსოვრებაზე და სავარჯიშოების შესრულებაზე. ბოლო ხანებში შეინიშნება ტენდენცია ფაქტების ერთობლიობის ფორმით მოცემული კურიკულუმების დაწუნებისა, რამეთუ ის აღარ ემსახურება მიზანს. მსოფლიო სწრაფად იცვლება და ეს გავლენას ახდენს იმ შედეგებზე, რასაც განათლებისგან მოველით.[48]

ახალი კომპეტენციები, რომელიც ითვალისწინებს ოცდამეერთე საუკუნეში ცხოვრებისა და სამუშაო მოთხოვნებს, საჭიროებს სწავლა-სწავლების უფრო მონაწილეობით მიდგომას. ამის მაგალითი არის ევროკომისიის მიერ რეკომენდებული ძირითადი კომპეტენციები მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლისთვის. ესენია ცოდნა, უნარ-ჩვევები და მიდგომები, რომლებიც სჭირდება ყველას პიროვნული წარმატებისა და განვითარებისთვის, შრომისუნარიანობისთვის, სოციალური ჩართულობისა და აქტიური სამოქალაქო მონაწილეობისთვის.[49]

ხშირად აღნიშნული კომპეტენციების განვითარება ხდება უფრო ტრადიციული, საგანზე დაფუძნებული სწავლების პარალელურად. თუმცა, ჩვეულებრივი სასკოლო საგნებისგან განსხვავებით, მათი სწავლება ყველა მასწავლებლის ვალია და მათ უნდა უზრუნველყონ აღნიშნული კომპეტენციების ინტეგრირება საგნის სწავლებაში, დისციპლინათაშორისი ფორმით. ეს ყველა მასწავლებელს, საგნის სწავლების პასუხისმგებლობის გარდა, იმ კომპეტენციის სწავლების პასუხისმგებლობასაც აკისრებს, რომლებიც აქტიური სამოქალაქო მონაწილეობის წინაპირობაა.

ხშირად ერთმანეთისგან განასხვავებენ ოფიციალურ კურიკულუმს და კურიკულუმს, რომელითაც ასწავლის სკოლა. ოფიციალური კურიკულუმი ხშირად განისაზღვრება ეროვნულ დონეზე, ხოლო შემდეგ კი მისი ინტერპრეტაცია და შევსება ხდება სკოლის დონეზე. ის, თუ რა მასშტაბის კონტროლი აქვს სკოლას თავის კურიკულუმებზე, განსხვავებულია სხვადასხვა ქვეყანაში.

4.5.1. კანონმდებლობა

„ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, ყველა სკოლა პასუხისმგებელია, ყოველი აკადემიური წლის დასაწყისში შეადგინოს საკუთარი კურიკულუმი ეროვნული სასწავლო გეგმის საფუძველზე. კურიკულუმს შეიმუშავებს პედაგოგთა საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედიან მასწავლებლები და დირექტორი, და წარუდგენს სამეურვეო საბჭოს საბოლოო დამტკიცებისთვის. სკოლის ადმინისტრაცია სასკოლო კურიკულუმის დამტკიცებულ ძირითად თემებს წარუდგენს მოსწავლეებსა და მშობლებს არაუგვიანეს ერთი კვირისა სასწავლო წლის დაწყებიდან.

მიმდინარე ეროვნული სასწავლო გეგმა ორიენტირებულია ზოგად კომპეტენციებზე. თითოეულმა სასკოლო საგანმა უნდა მოიცვას ყველა ზოგადი კომპეტენცია. ცალკეული საგნების მიზნები და ამოცანები ამ ზოგადი კომპეტენციებიდან უნდა გამომდინარეობდეს. ისინი უნდა ინტეგრირდეს საგნის სწავლებაში როგორც საგნის ამოცანა, ან კიდევ სწავლისა და სწავლების მეთოდოლოგის მეშვეობით. (ნახ. 3)

[48] რობინსონი, კ. და არონიკა, ლ. (2016) შემოქმედებითი სკოლები: ფართო მასების რევოლუცია, რომელიც ახდენს განათლების ტრანსფორმაციას.

[49] https://education.ec.europa.eu/focus-topics/improving-quality/key-competences

პრობლემის გადაჭრა	▪ პრობლემის იდენტიფიცირება, აღწერა და ანალიზი; ▪ პრობლემის გადაჭრის გზების ძიება და მათგან ყველაზე ეფექტურის შერჩევა.
კრიტიკული აზროვნება	▪ ფაქტების, რწმენების, მოსაზრებების კრიტიკული განხილვა; ▪ კითხვების ფორმულირება და სათანადო პასუხების ძებნა; ▪ არგუმენტირება, ე.ი. საკუთარი მოსაზრებების განმტკიცება სათანადო არგუმენტებითა და მაგალითებით; ▪ გააზრებული არჩევანის გაკეთება და მისი დასაბუთება.
შემოქმედებითი აზროვნება	▪ გამჭრიახობის შემოქმედებითი განხორციელება; ▪ ორიგინალური იდეების განსაზღვრა და მათი შესრულება, ახალი იდეების წარმოქმნა; ▪ პრობლემის გადაჭრის არასტანდარტული გზების ძიება; ▪ გარემოს გარდაქმნა-გაუმჯობესების მცდელობა; ▪ გამოწვევების მიღება; სკოლის აქტივობაში თამამი ნაბიჯების გადადგმა.
თანამშრომლობა	▪ ჯგუფური/გუნდური მუშაობისას სამუშაოს თანაბარი განაწილება და შესრულება; ▪ ჯგუფში/გუნდში სხვადასხვა ფუნქციის შესრულებისთვის მზაობა (მაგ., ლიდერის ფუნქციებისა); ▪ სხვადასხვა იდეისა და შეხედულების კონსტრუქციული განხილვა; ▪ რესურსების, მოსაზრებების და ცოდნის გაზიარება პრობლემების გადაჭრის და გადაწყვეტილებების ერთობლივად მიღების მიზნით.
კომუნიკაცია	▪ გამოცდილების/ფიქრის გაზიარება მსმენელისთვის/მკითხველისთვის და მათზე შთაბეჭდილების მოხდენა; ▪ ინფორმაციის გაზიარება ვითარების შესაფერისი ვერბალური და არავერბალური საშუალებების გამოყენებით; ▪ სხვებისთვის მოსმენისა და მათი გაგების უნარი; ▪ პიროვნულ ღირებულებათა გაგებისა და დაფასების უნარი.
ეთიკა	▪ ეთიკის ნორმების დაცვა; ▪ სოლიდარობის გრძნობა; ▪ ემპათია; ▪ შემწყნარებლობა, განსხვავებულობისადმი შემწყნარებლური დამოკიდებულებისათვის მზაობა; ▪ საკუთარ მოქმედებებზე პასუხისმგებლობის აღება.
შუამავლობა; ინიციატივების განსაზღვრა და განხორციელება	▪ სწავლების/სწავლის პროცესში ინტერესისა და ცნობისმოყვარეობის გამოვლენა; ▪ ახალი იდეების, მიდგომების, შესაძლებლობების ძიება და მათი განხორციელება სწავლის გასაუმჯობესებლად; ▪ გამოწვევებისადმი მზაობა; თამამი ნაბიჯების გადადგმა.
დროსა და სივრცეში ორიენტირება	▪ თანამედროვე რეალობის გაგება და გააზრება დროსა და სივრცეში; ▪ მულტიპერსპექტიული ხედვის ჩამოყალიბება დროისა და სივრცის ფაქტორების გათვალისწინებით.
კვლევა	▪ კვლევის ამოცანის, კვლევის პროცედურებისა და მონაცემთა შეგროვებისა და ჩაწერის გზების განსაზღვრა; სათანადო რესურსების შერჩევა; ▪ კვლევის ჩატარება, მონაცემთა ჩაწერა და მათი სხვადასხვა ფორმით წარდგენა/ორგანიზება; ▪ მონაცემთა ანალიზი, დასკვნების გამოტანა არგუმენტების საფუძველზე; კვლევის შედეგების შეფასება; ▪ ეთიკისა და უსაფრთხოების ნორმების დაცვა კვლევის ჩატარებისას.

სწავლის სწავლა დამოუკიდებელი აქტივობები	▪ აქტივობების/ამოცანების ღირებულებების განსაზღვრა – მოსწავლემ უნდა დაინახოს, რას მიიღებს აქტივობიდან, რა პიროვნულ და სოციალურ სარგებელს მიიღებს მისგან; ▪ აქტივობების/ამოცანების დაგეგმვა – მოთხოვნების გააზრება და მათ შესასრულებლად აუცილებელი ცოდნის განსაზღვრა; აქტივობის/ამოცანის მთავარი იდეის განსაზღვრა; წარმატებული შესრულების კრიტერიუმების განსაზღვრა; აქტივობების საფეხურების განსაზღვრა; განჭვრეტა იმისა, თუ რა იქნება მისთვის ადვილი და რა იქნება რთული, რა ასპექტებში იქნება დახმარება საჭირო; მუშაობის ყოველი ეტაპისათვის სათანადო სტრატეგიის შერჩევა; ▪ სასწავლო პროცესის მონიტორინგი – სასწავლო პროცესზე დაფიქრება, იმ პირობებისა და ფაქტორების დადგენა, რომლებიც მხარს უჭერს ან ხელს უშლის პროგრესს, პროგრესის მხარდასაჭერად სათანადო ზომების მიღება; თვითშეფასება ძლიერი და სუსტი მხარეების დასადგენად, სუსტი მხარეების სიძლიერედ ქცევის გზების დასახვა; ▪ სოციო-ემოციური მართვა – ნერვიულობის მინიმუმამდე დაყვანა, საჭიროებიდან გამომდინარე დახმარების თხოვნა, სირთულეების დაძლევის ძალის პოვნა საკუთარ თავში; შეცდომებისადმი დადებითი დამოკიდებულების ჩამოყალიბება და მათი გამოყენება პროგრესისათვის; ▪ ცალკეული აქტივობებისთვის გამოყოფილი დროის ეფექტური გამოყენება.
პასუხისმგებლობა	▪ სასკოლო აქტივობებში (სასკოლო ცხოვრებაში) დაკისრებული მოვალეობების შესრულება; ▪ სამუშაოს დასრულება და ჩაბარება დადგენილ ვადაში; ▪ საკუთარი ქცევის მართვა, საკუთარ ქცევაზე პასუხისმგებლობის აღება, სოციალური აქტივობები.
ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება	▪ კავშირების დამყარება; ▪ ინფორმაციის გავრცელება; ▪ ელექტრონული რესურსების მოძიება და მათი გამოყენება სასწავლო პროცესში.
წიგნიერება	▪ ზეპირი და წერილობითი საშუალებებით ინფორმაციის მიღების, მისი დამუშავების, გააზრების, სისტემატიზების, ანალიზის, განმარტების, წარდგენისა და გაზიარების უნარები.

ნახ. 3 ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ზოგადი კომპეტენციები

აღნიშნულ ზოგად კომპეტენციებში ინტეგრირებულია ევროპის საბჭოს დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების სარეკომენდაციო ჩარჩოთი გათვალისწინებული 20 კომპეტენცია (იხ. ნახ. 1). ეს კომპეტენციები საჭიროა კულტურულად მრავალფეროვან საზოგადოებაში დემოკრატიული მოქალაქის სახით აქტიური მონაწილეობისათვის. ეს გამჭოლად უნდა ისწავლებოდეს, თუმცა ყველა მათგანი ვერ იქნება თითოეული საგნისთვის თანაბრად შესაბამისი.

დაბოლოს, მიმდინარე ეროვნულ სასწავლო გეგმაში გამოყოფილია, ასევე, რამდენიმე „პრიორიტეტული საკითხი". ესენია:

- ადამიანის ღირსება და ადამიანის უფლებები;
- დემოკრატია და თანასწორობა;
- ჯანსაღი ცხოვრების წესი;
- კონფლიქტების მართვა;
- ფინანსებში განსწავლულობა;
- სამოქალაქო უსაფრთხოება;

- კულტურული მემკვიდრეობის დაცვა;
- გარემოს დაცვა;
- კულტურული მრავალფეროვნება.

სკოლებმა აქცენტი უნდა გააკეთონ ამ პრიორიტეტული საკითხების სწავლა-სწავლებაზე, განსაკუთრებით, არაფორმალური განათლების საშუალებით, სავალდებულო სასკოლო საგნების სწავლებასთან ერთად.

როდესაც საქმე ეხება გაკვეთილზე საილუსტრაციოდ, ან საკლასო დისკუსიაში გამოყენებულ საკითხებს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საგნებთან მიმართებით, სკოლებს ენიჭებათ თავისუფლება იმ პირობით, თუკი შერჩეული მასალა თანხმობაში იქნება ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებთან.

4.5.2. დირექტორთა ხედვები და დამოკიდებულებები

გამოკითხული სკოლის დირექტორები ამბობენ, რომ ეროვნული სასწავლო გეგმა უნდა იყოს საწყისი წერტილი მასწავლებელთათვის. ეს არის მთავარი დოკუმენტი, რომელიც კარნახობს იმ კომპეტენციებსა და უნარ-ჩვევებს, რომლებიც უნდა განივითაროს მოსწავლემ. ამავდროულად, მათ უნდა დაინახონ კავშირი დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების სარეკომენდაციო ჩარჩოსა (RFCDC) და მათ კურიკულუმს შორის, და ის, თუ როგორ უნდა მოხდეს მისი ინტეგრირება სწავლისა და სწავლების ყოველდღიურ პროცესში.

ამონარიდი ციტატები ფოკუს ჯგუფებიდან:

→ *ვინაიდან ყველა მასწავლებელი ვალდებულია, მისი სამუშაოს სპეციფიკის გათვალისწინებით, განავითაროს ეს კომპეტენციები მოსწავლისათვის, ჩემი აზრით, გაკვეთილის გეგმაში სადმე უნდა ჩანდეს, ასევე, კავშირი კონკრეტულ მასალასთან, კონკრეტულ გაკვეთილში, თუ სად უნდა მოხდეს ამ კომპეტენციების ჩამოყალიბება.* [სკოლის დირექტორი]

→ *დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების სარეკომენდაციო ჩარჩო... ჩვენ არ ვიცოდით, როგორ უნდა მოგვეხდინა „მისი ბრწყინვალების" კომბინირება ეროვნულ სტანდარტებთან... ეს უფრო მარტივია სოციალური მეცნიერებებისთვის... ჩვენ ვატარებთ გამოკითხვას და ვიწყებთ გარკვეული კომპეტენციებით სემესტრისათვის... წლის დასაწყისში კლასის ხელმძღვანელი ადგენს მთელი წლის გეგმას ... განსაზღვრავს ძირითად კომპეტენციებს... შემდეგ პროექტები ორიენტირდება ამ კომპეტენციებზე... აქტივობები დაფუძნებულია დესკრიპტორებზე... წლის ბოლოს ყველა კლასი ატარებს პრეზენტაციას კომპეტენციებზე... ამ წელს გვქონდა 6 კომპეტენცია: უნარ-ჩვევები და დამოკიდებულებები... სირთულეს ღირებულებები წარმოადგენს.* [სკოლის დირექტორი]

4.5.3. მასწავლებელთა ხედვები და დამოკიდებულებები

გამოკითხული მასწავლებლები ამბობენ, რომ მესამე თაობის კურიკულუმი ცდილობს ხიდის გადებას საკლასო ოთახსა და ყოველდღიურ ცხოვრებას შორის. ის ითვალისწინებს ისეთ ცხოვრებისეულ საკითხებს, რომლებიც თანხვედრაშია დემოკრატიული კულტურის კომპეტენციებთან. მასწავლებლებს სჯერათ, რომ თუ ისინი განახორციელებენ ეროვნულ სასწავლო გეგმას, ამავდროულად იმუშავებენ დემოკრატიული კულტურის კომპეტენციებზეც.

ამონარიდი ციტატები ფოკუს ჯგუფებიდან:

→ *სწავლება არ უნდა იყოს ორიენტირებული მხოლოდ ერთ კონკრეტულ პიროვნებაზე, არამედ ამა თუ იმ ღირებულებაზე, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ, როდესაც მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმაზე და კომპლექსური დავალებების საკითხზე ვსაუბრობთ, ძირითადი ამოცანაა ხიდის გადება კლასში და რეალურ ცხოვრებაში მიმდინარე მოვლენებს შორის. არ უნდა შეირჩეს ისეთი აქტივობა ან საკითხი, რომელსაც მოსწავლე ვერ დაუკავშირებს რეალობას.* [სკოლის მასწავლებელი]

→ *დოკუმენტები, რომლებითაც ვხელმძღვანელობთ სკოლებში, ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები და თავად ეროვნული სასწავლო გეგმა, მთლიანად დაფუძნებულია დემოკრატიული კულტურის კომპეტენციებზე და, როგორ გითხრათ, რეალურად, იქ წერია, რომ დემოკრატიული კულტურის კომპეტენციები მხედველობაში იქნეს მიღებული, მაგრამ ფაქტობრივად, თუ ჩვენ ამ მიზნისკენ მივდივართ ... მაშინ განვახორციელებთ მას, თუ განვახორციელებთ ეროვნულ სასწავლო გეგმას კლასში, მაშინ განვახორციელებთ დემოკრატიული კულტურის კომპეტენციებს.* [სკოლის მასწავლებელი]

4.5.4. მოსწავლეთა ხედვები და დამოკიდებულებები

ფოკუს ჯგუფში განხილვისას მოსწავლეებმა ახსენეს საკითხები, რომლებიც უშუალოდ არ უკავშირდება კურიკულუმს, თუმცა მიჩნიათ, რომ მნიშვნელოვანია გარკვეული თემების შეტანა საგაკვეთილო პროცესში.

ამონარიდი ციტატები ფოკუს ჯგუფებიდან:

→ *ზოგიერთი საკითხი იმდენად მნიშვნელოვანია, ისინი შეტანილი უნდა იქნეს საგაკვეთილო პროცესში.* [სკოლის მოსწავლე]

4.5.5. მთავარი გამოწვევები

მოსწავლის მონაწილეობა არის სასარგებლო ინსტრუმენტი, რომელიც დაეხმარება მასწავლებელს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული გარკვეული ზოგადი კომპეტენციების სწავლებაში. პრინციპში, მას ყველა კომპეტენციაში შეუძლია წვლილის შეტანა. თუმცა, პრაქტიკულად, ის უფრო სასარგებლო შეიძლება აღმოჩნდეს ისეთ კომპეტენციებთან მიმართებით, როგორებიცაა:

- პრობლემის გადაჭრა
- კრიტიკული აზროვნება;
- თანამშრომლობა;
- ეთიკა და პასუხისმგებლობა.

იგივე ეხება დემოკრატიული კულტურის კომპეტენციებს. ძირითადი კომპეტენციები, რომელთა სწავლება შეიძლება მოსწავლეთა მონაწილეობის მეშვეობით და რომელთა სწავლება სკოლაში სხვაგვარად რთული იქნებოდა, არის:

- მოქალაქეობრივი აზროვნება;
- პასუხისმგებლობა;
- თავდაჯერებულობა;
- თანამშრომლობის უნარები;

- კონფლიქტის მოგვარების უნარ-ჩვევები;
- კომუნიკაციური უნარები;
- დემოკრატიის, სამართლიანობის, კეთილსინდისიერების, თანასწორობისა და კანონის უზენაესობის დაფასება.

მოსწავლეთა მონაწილეობა მასწავლებლებს დაეხმარება, ასევე, ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული რამდენიმე პრიორიტეტული საკითხის სწავლებაში, განსაკუთრებით, მოსწავლეების მიერ წარმართული კლასგარეშე პროექტების მეშვეობით. ეს საკითხებია:

- ადამიანის ღირსება და ადამიანის უფლებები;
- დემოკრატია და თანასწორობა;
- კონფლიქტების მართვა;
- სამოქალაქო უსაფრთხოება.

მასწავლებელი ორმაგი გამოწვევის წინაშეა. პირველ გამოწვევას წარმოადგენს მის საგანსა და დემოკრატიული კულტურის კომპეტენციებს შორის კავშირის დამყარება. მეორე კი არის პრაქტიკული სასწავლო სტრატეგიების შემუშავება ამ კავშირის რეალობაში გადმოსატანად კლასში. ეს პრობლემა ზოგიერთ საგანში უფრო მწვავედ დგას, ვიდრე სხვებში. დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების სარეკომენდაციო ჩარჩოზე საუბრისას, ერთ-ერთმა მასწავლებელმა განაცხადა: „ჩვენ არ ვიცოდით, როგორ უნდა მოგვეხდინა „მისი ბრწყინვალების“ კომბინირება ეროვნულ სტანდარტებთან... ეს უფრო მარტივია სოციალური მეცნიერებებისთვის “[50]

განვითარების მიმართულებები

- მოსწავლეთათვის მეტი უფლებამოსილების მინიჭება მათი სკოლის კურიკულუმების დაგეგმვასა და შემუშავებაში;
- ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საგნებსა და დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების სარეკომენდაციო ჩარჩოს შორის კავშირის უზრუნველყოფა.

4.5.6. რეკომენდაციები

რეკომენდაცია 1:

მასწავლებლები და სკოლის ლიდერები აღიჭურვონ პრაქტიკული სტრატეგიებით სასკოლო კურიკულუმების დაგეგმვასა და შემუშავებაში ახალგაზრდების ჩასართავად, მაგ., არჩევითი საგნების შერჩევაში მოსწავლეთა მონაწილეობა, პროექტების დაგეგმვაზე მოსწავლეების მუშაობა საგნობრივ კათედრასთან ერთად, მოსწავლეების მიერ მოკლე გაკვეთილების დაგეგმვა და ჩატარება.

რეკომენდაცია 2:

მასწავლებლებს მიეწოდოთ დემოკრატიული კულტურის კომპეტენციებთან საგნობრივი კავშირების მაგალითები და მათი კლასში რეალიზების პრაქტიკული სტრატეგიები, მაგ., მოკლე სიტუაციური ანალიზების ნაკრები მომხმარებელზე მორგებულ ფორმატში.

4. 6. კლასში სწავლა და სწავლება

მოსწავლეთა მონაწილეობა სწავლისა და სწავლების პროცესში მდგომარეობს კლასში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით მოსწავლეთათვის მეტი უფლებამოსილების მინიჭებაში.

[50] ონლაინ ფოკუს ჯგუფი, 2022 წლის 27 ივლისი.

სწავლის პროცესში მოსწავლის ჩართვის ბევრი გზა არსებობს. მაგ., სადისკუსიო საკითხებისა და საშინაო დავალებების არჩევა, საკლასო ოთახის წესების შემუშავებაში დახმარება, კვლევისა და შეფასების მეთოდების შერჩევა, მერხების განლაგების დაგეგმვა, მორიგეობის გეგმის შედგენა, კლასში გამოსაფენი მასალის შექმნა, საკუთარი სწავლის მიზნების დასახვა, სხვა მოსწავლეების დახმარება სწავლაში, სწავლის შესახებ უკუკავშირი და ა.შ.

მოსწავლეთა ამგვარი ჩართულობა:

- ზრდის მათში სწავლის მოტივაციას;
- ავითარებს მათში კომპეტენციებს სამომავლოდ, სამსახურისა და მოქალაქეობრივი ცხოვრებისთვის;
- ეხმარება მასწავლებლებს უფრო სათანადო და შესაბამისი გაკვეთილების დაგეგმვაში;
- აუმჯობესებს სწავლას ყველასთვის.

ამ სფეროში წარმატების საწინდარია მხარდამჭერი საკლასო გარემო. ეს ისეთი გარემოა, სადაც ყველას:

- იცნობენ და აფასებენ, როგორც პიროვნებას;
- უბიძგებენ, აღიქვას საკუთარი თავი უფრო დიდი საკლასო საზოგადოების ნაწილად.

ამის მიღწევის ბევრი გზა არსებობს. მათ შორის:

- მოსწავლეთა სახელების გამოყენებისას, ყურადღების გამოჩენა;
- პასუხისმგებლობების ყველასთვის განაწილება;
- ყველასთვის ხელმისაწვდომი ამოცანების დასახვა;
- მოსწავლეთა ინტერესებსა და გამოცდილებებთან კავშირის გამონახვა;
- მერხების შესაფერისი განლაგება;
- ერთიანობის გამომხატველი სიტყვების გამოყენება, მაგ., „ჩვენი კლასი“, „ჩვენი საკლასო ოთახი“, „ჩვენი სკოლა“ და ა.შ.

4.6.1. კანონმდებლობა

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი ხაზს უსვამს „მოსწავლეზე ორიენტირებული“ მიდგომის მნიშვნელობას სწავლასა და სწავლებაში. მასში ნათქვამია, რომ სასწავლო პროცესი უნდა განხორციელდეს „დადებით და მოწესრიგებულ გარემოში“, სადაც „ყველაზე მნიშვნელოვანია დადებითი ურთიერთობები“ და სადაც მოსწავლე არის „დაფასებული, აღიარებული და პასუხისმგებელია საკუთარი სწავლისა და განვითარების პროცესზე“. მასში, ასევე, ხაზგასმულია მოსწავლეთა დახმარების მნიშვნელობა, დაინახონ იმ ამოცანების მიზანი, რომელშიც არიან ჩართულნი და დაინახონ, ასევე, „მიმდინარე სასკოლო აქტივობებსა და გარე სამყაროს შორის კავშირი“.[51]

კანონში ხაზგასმულია მოსწავლეთა საჭიროება, ჰქონდეთ არამარტო „საგანმანათლებლო პროცესში“, არამედ „მათი თანატოლების სასწავლო პროცესში“ აქტიური მონაწილეობის უფლება. თანამშრომლობითი ჯგუფური მუშაობა რეკომენდებულია „პროექტებში მონაწილეობისა“ და „დაგეგმვის ან პრეზენტაციის“ დროს, და მოსწავლეები უნდა „დაეხმარონ ერთმანეთს“ სწავლასა და განვითარებაში.[52]

[51] საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“, მუხლი 35.

[52] იქვე, მუხლი 36.

მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის ინდიკატორები განავრცობს ამ ძირითად რეგულაციებს, მოითხოვს რა ყველა მასწავლებლისგან „მოქალაქეობრივი აზროვნების განვითარების“ ხელშეწყობას, „ბუნებრივი და სოციალური გარემოსადმი პასუხისმგებლობის“ ჩამოყალიბებას და ისეთი სტრატეგიების გამოყენებას, რომლებიც ორიენტირებულია „დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების განვითარებაზე “[53]

მასწავლებლებს, ასევე, მოეთხოვებათ „ციფრული მოქალაქეობის პრინციპების“ გათვალისწინება ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებისას.[54]

4.6.2. დირექტორთა ხედვები და დამოკიდებულებები

გამოკითხული სკოლის დირექტორები ფიქრობენ, რომ არსებითად მნიშვნელოვანია, მასწავლებლებს ესმოდეთ, რომ დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების სწავლება მხოლოდ სამოქალაქო განათლების საგანთან არ არის დაკავშირებული, არამედ, ზოგადად, ფორმალურ და არაფორმალურ განათლებას უკავშირდება. მნიშვნელოვანია, რომ მთელი სასკოლო საზოგადოება ჩაერთოს პროცესში, მათ შორის, მშობლებიც. საინტერესოა ის, რომ სკოლის დირექტორების თვალსაზრისით, ეს ფორმალური განათლებისთვის უფრო დიდი გამოწვევაა, ვიდრე არაფორმალურისთვის, როგორიცაა, კლასგარეშე პროექტები და კლუბები.

ამონარიდი ციტატები ფოკუს ჯგუფებიდან:

→ *კლასში შესული ყველა მასწავლებლის ძირითადი როლი ერთია. ადრე იყო განსხვავება საგნის მიხედვით, საგნობრივ მიმართულებას არაფერი აქვს ამასთან საერთო, ყველა მასწავლებელი ერთდროულად არის ვალდებული, ასევე, სკოლაში დასაქმებული ყველა პირი და სკოლის საზოგადოება, რომ წვლილი შეიტანოს დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების განვითარებაში არა მხოლოდ საკლასო პროცესში, არამედ სკოლის შიგნით თუ გარეთ ჩატარებული აქტივობების დროსაც. ეს ხდება და ისინი შეძლებისდაგვარად ცდილობენ ამის გაკეთებას.* [სკოლის დირექტორი]

→ *მთავარი პრობლემა მასწავლებელთა კომპეტენტურობაა... ეს უფრო ადვილია არაფორმალურ კლუბებში, პრობლემა გაკვეთილებია, სწავლა და სწავლება, მათ ტრენინგი სჭირდებათ.* [რესპონდენტი]

→ *მშობელთა ჩართულობა სწავლისა და სწავლების პროცესში... დამოკიდებულია სკოლაზე, ზოგიერთმა არ იცის, როგორ გამოიყენოს მშობელი რესურსის სახით... ვერ ხედავს მათ როლს ... მაგალითად, ჩვენ ვიყენებდით ექთნებს [სამედიცინო რჩევებისთვის] პანდემიის დროს... ან შეიძლება მათ ზღაპრები წაუკითხონ პატარა მოსწავლეებს.* [რესპონდენტი]

→ *სამოქალაქო განათლება ისწავლება მათემატიკის მასწავლებლების მიერ და ის ხდება დამატებითი STEM გაკვეთილი.* [სამოქალაქო განათლების პედაგოგი]

4.6.3. მასწავლებელთა ხედვები და დამოკიდებულებები

დემოკრატიული კულტურის სასწავლო კომპეტენციების თვალსაზრისით, გამოკითხული მასწავლებლები მიიჩნევენ, რომ საჭიროა სწავლისა და სწავლების სხვადასხვა მიდგომა. ისინი ამ-

[53] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო: მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი, თავი II, მუხლი 6.

[54] იქვე. მუხლი 5.

ბობენ, რომ, თუ საკლასო წესები ბავშვებთან ერთად შემუშავდება, ეს სწავლასა და სწავლებას გაამარტივებს.

ამონარიდი ციტატები ფოკუს ჯგუფებიდან:

→ *ჩვენ გვაქვს სამოქალაქოს მაღალეფექტიანი გაკვეთილები, ასევე, გვაქვს სამოქალაქო განათლების კლუბები, თუმცა ეს მაინც ვერ აკმაყოფილებს ეროვნულ სასწავლო გეგმას, ცნობიერების ასამაღლებლად მეტი აქტივობებია საჭირო, სადაც ბავშვები ჩაერთვებიან.* [სკოლის მასწავლებელი]

→ *მე მქონდა პროექტი მოსწავლის [ეთიკის] კოდექსზე, ერთი კვირა მივუძღვენი ამ თემას. ამ კვირის ფარგლებში, შევქმენი ანიმაციები და გავაცანი კლასს ბავშვის უფლებათა კონვენცია. ვინაიდან, საკითხის გააზრება რთული იყო მერვე კლასელთათვის, მცირე დისკუსია მოვაწყვე... მოსწავლის ეთიკის კოდექსი მოიცავს სასკოლო სამოსის ნორმებს, შესანიშნავი დისკუსია გვქონდა სკოლაში სათანადო სამოსის ტარებასთან დაკავშირებით.* [სკოლის მასწავლებელი]

→ *როდესაც კლასებში შევდივარ, ერთად ვწყვეტთ, თუ როგორ უნდა მოვიქცეთ, როგორ მოვუაროთ ნივთებს, როგორ გავამწვანოთ სკოლის ეზო, როდესაც ასე ერთობლივად, უფრო მეტად მათი ინიციატივით, დგება წესები, ისინი უფრო მეტად სრულდება. ვფიქრობ, პასუხისმგებლობა იზრდება, რადგან მათ უვითარდებათ ე.წ. „კეთებით სწავლის" უნარი.* [სკოლის მასწავლებელი]

4.6.4. მოსწავლეთა ხედვები და დამოკიდებულებები

ამ თაობის მოსწავლეები თავდაჯერებულნი არიან, მათ კარგი კომპეტენციები აქვთ კომპიუტერულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებში და ენებში. რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ, ძირითადად, სამოქალაქო განათლების და ენის მასწავლებლები მუშაობენ მათთან დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების განვითარების თვალსაზრისით. ისინი თვლიან, რომ ამ კომპეტენციებისთვის საჭიროა მასწავლებელთა მომზადება არა მხოლოდ ფორმალური, არამედ არაფორმალური სწავლების მეთოდებში.

ამონარიდი ციტატები ფოკუს ჯგუფებიდან:

→ *თავდაჯერებულნი და აქტიურნი არიან, მაგრამ სკოლას, როგორც ადგილს მოქმედებებისათვის, ბუნებრივად ვერ ხედავენ.* [რესპონდენტი]

→ *ბავშვებმა ჩემზე უკეთ იციან, როგორ გამოიყენონ კომპიუტერი და ტექნოლოგიური საშუალებები, მე მათ ვთხოვ დახმარებას და ისინი სიხარულით აკეთებენ ყველაფერს.* [სკოლის მასწავლებელი]

→ *ინიციატივები მასწავლებლისგან მოდის, ის გეგმავს და ახორციელებს ღონისძიებებს ჩვენთან ერთად. სამოქალაქო განათლების და გეოგრაფიის მასწავლებელი, ინგლისურის მასწავლებელი, ძალიან აქტიურები არიან.* [სკოლის მოსწავლე]

→ *მათ კარგად იციან საკუთარი უფლებები, მაგრამ არა პასუხისმგებლობები. საზოგადოებრივ პროცესებში მონაწილეობის მზაობის ნაკლებობაა.* [რესპონდენტი]

→ *გაკვეთილები მხოლოდ თეორია არ უნდა იყოს, არამედ იმ საკითხების განხილვა, რაც სკოლის გარეთ ხდება, გლობალური პრობლემების, გარეგნობის გამო დაცინვის... არა მხოლოდ კლუბებში, არამედ გაკვეთილებზეც, როგორიცაა ქართული ენა და ლიტერატურა.* [სკოლის მოსწავლე]

4.6.5. დისტანციური სწავლა და სწავლება

მართალია, Covid 19-ის პანდემია დაეხმარა მასწავლებლებს და მოსწავლეებს ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარების განვითარებაში დისტანციური სწავლისა და სწავლებისათვის, მაგრამ ამას გარკვეული უარყოფითი ზემოქმედებაც ჰქონდა მოსწავლეთა შედეგებზე. ისინი მოშორებულნი იყვნენ სკოლას და დაბრუნებისას მათი რეინტეგრაცია სასკოლო საზოგადოებაში რთული გახდა.

ამონარიდი ციტატები ფოკუს ჯგუფებიდან:

→ *წელს უკვე ორი წელი გახდა ონლაინგანათლების დაწყებიდან, წელს მოსწავლეებმა ისარგებლეს შემთხვევით და გადაერთნენ ონლაინგანათლებაზე, მათ ზურგი შეაქციეს სკოლას.* [სკოლის მასწავლებელი]

4.6.6. მთავარი გამოწვევები

მიუხედავად იმისა, რომ მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომის იდეალები სწავლისა და სწავლების მიმართ ნათლად არის დადგენილი ზოგადი განათლების შესახებ კანონში, ამ იდეალების საკლასო ოთახში მიღწევას გარკვეული დრო სჭირდება. დადებითია ის, რომ რამდენიმე ეროვნულმა ინიციატივამ ბიძგი მისცა მოსწავლეზე მეტად ორიენტირებული სწავლების სტრატეგიების გამოყენებას, როგორიცაა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017-2021. რამდენიმე სკოლაში მოსწავლეთა მონაწილეობა უფრო მიღებული პრაქტიკა ხდება. ერთ-ერთი მასწავლებელი საუბრობს საკლასო ოთახის წესების შემუშავებაში ბავშვების ჩართვის მნიშვნელობაზე: „როდესაც კლასებში შევდივარ, ერთად ვწყვეტთ, თუ როგორ უნდა მოვიქცეთ, როგორ მოვუაროთ ნივთებს, როდესაც ასე ერთობლივად, უფრო მეტად მათი ინიციატივით, დგება წესები, ისინი უფრო სრულდება. ვფიქრობ, პასუხისმგებლობა იზრდება, რადგან მათ უვითარდებათ ე.წ. „კეთებით სწავლის“ უნარი.“[55]

თუმცა, ამგვარი პრაქტიკა ჯერ ყველა სკოლაში არ არის შესული. ბევრ მასწავლებელს ჯერაც აკლია მომზადება. მათ არ იციან კლასში მოსწავლეთა მონაწილეობის პოტენციური სარგებელი, ან სწავლების სტრატეგიები მათ განსახორციელებლად. როგორც ერთ-ერთმა მათგანმა განაცხადა, „მთავარი პრობლემა მასწავლებელთა კომპეტენტურობაა.“[56] ეს, ასევე, აისახება დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების სწავლებისას დახმარების თხოვნაში მასწავლებლებისგან, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ევროპის საბჭოს დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების სარეკომენდაციო ჩარჩოს ეროვნულ სასწავლო გეგმაში ინტეგრირების ბოლოდროინდელ შეფასებაში.[57]

გარდა ამისა, სხვადასხვა ეპოქაში განათლებამიღებული მასწავლებლებისთვის სწავლისა და სწავლების მასწავლებლის მიერ წარმართული მოდელიდან მოსწავლეზე ორიენტირებულ მოდელზე გადასვლა პარადიგმის ცვლას ჰგავს და მათთვის შეიძლება რთული აღმოჩნდეს ამის შესრულება. როგორც სამოქალაქო განათლების მასწავლებელი ამბობს, „საბჭოთა გავლენა ჯერ კიდევ არის“.[58] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ეროვნულ სტრატეგიაში

[55] ინტერვიუ, 2022 წლის 27 ივლისი.

[56] იქვე.

[57] მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი: სკოლის დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების შესახებ კვლევა, კვლევის ანგარიში 2019.

[58] ინტერვიუ, 2022 წლის 27 ივლისი.

2022-2030 ნათქვამია, რომ „მასწავლებლები ჯერ კიდევ სრულფასოვნად ვერ იზიარებენ მიმდინარე რეფორმების ღირებულებასა და მიზნებს, კერძოდ, მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების მიდგომებს“.[59]

ამასთანავე, არსებობს შიში საკლასო ოთახში ავტორიტეტის დაკარგვისა, განსაკუთრებით, ასაკოვან მასწავლებლებში. „სწავლებისა და სწავლის საერთაშორისო კვლევა (TALIS) 2018“-ში მონაწილე ქვეყნებიდან საქართველოს მასწავლებელთა პოპულაცია ყველაზე მხცოვანია. [60] ხშირად, მასწავლებელთა და მოსწავლეთა თაობებს შორის დიდი სხვაობაა. უფრო ასაკოვან მასწავლებლებს ხშირად უჭირთ თანაგრძნობის გამოხატვა და უჭირთ ახალი, თავდაჯერებული, სკოლის მოსწავლეების სოციალურად და ციფრულად აქტიურ თაობასთან გამკლავება. ერთ-ერთი რესპონდენტის თქმით: „[მასწავლებლებს] ეშინიათ ახალი თაობის თავდაჯერებული მოსწავლეებისა ... [რომლებსაც] არ აქვთ ავტორიტეტის მიმართ მორჩილება და მოწიწება, როგორც გასულ წლებში. არიან თავდაჯერებულნი და ენების და ინფორმაციის (სოციალური მედიის) ფლობაში მასწავლებლებს სჯობნიან. მასწავლებლებს ეშინიათ უფროსკლასელების, მე-7 კლასის შემდეგ ისინი მართავენ სკოლას“.[61]

ბევრი ასაკოვანი მასწავლებლისთვის მზარდი პრობლემაა ის, რომ ისინი ვერ ერკვევიან მათი მოსწავლეების ციფრულ ცხოვრებაში. იმის ცოდნა, რომ მოსწავლეები გაცილებით უკეთ არიან ციფრულ სამყაროში ადაპტირებულნი, ვიდრე უფროსი თაობა, მასწავლებლების თავდაჯერებას აკნინებს, როდესაც საქმე ეხება მოსწავლეების ონლაინგამოცდილებას კლასში. და მაინც, ინტერნეტი და სოციალური მედია დღევანდელი სკოლის მოსწავლის ცხოვრების არსებითი ნაწილია. აქ ისინი სწავლობენ საზოგადოებისა და თვითგამოხატვის გზების შესახებ. სწორედ აქ ხდება მეტწილად საზოგადოებრივი აზროვნების, დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების ჩამოყალიბება და პრაქტიკული განხორციელება. მასწავლებლებმა უნდა ისწავლონ, თუ როგორ უნდა მოახდინონ მოსწავლეების მიერ ციფრული საშუალებების გამოყენების უნარის ინტეგრირება მათ ყოველდღიურ სწავლებაში, როგორ დააკავშირონ ეს მათი საგნის შესაბამის დემოკრატიული კულტურის კომპეტენციებთან.

გასავითარებელი მიმართულებები

- მასწავლებელთა თავდაჯერებულობის უზრუნველყოფა, რათა მოსწავლეებს სწავლის პროცესში მეტი უფლებამოსილება მიანიჭონ;
- მასწავლებლისთვის მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლის ისეთი მოდელის მიწოდება, რომელსაც თავის საგანში გამოიყენებს;
- მასწავლებელთა დახმარება, უზრუნველყონ მოსწავლეების მიერ სწავლებაში ციფრული მედია-საშუალებების ინტეგრირება.

4.6.7. რეკომენდაციები

რეკომენდაცია 1:

მასწავლებლებს მიეწოდოთ სწავლის პროცესში მოსწავლეთა მონაწილეობის გაზრდის პრაქტიკული სტრატეგიების ეტაპობრივი, ნაბიჯ-ნაბიჯ სახელმძღვანელო, მაგ.,მასწავლებლე-

[59] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი ეროვნული სტრატეგია 2022-2030, გვ.12.

[60] https://www.oecd.org/education/talis/talis-2018-results-volume-i-1d0bc92a-en.htm

[61] ინტერვიუ, 2022 წლის 26 ივლისი.

ბი მუშაობენ სხვადასხვა დონის სირთულეთა სერიაზე, დაწყებული მოსწავლეებისთვის მარტივი არჩევანის შესაძლებლობის მიცემით.

რეკომენდაცია 2:

მასწავლებლებს წარედგინოთ პროექტზე დაფუძნებული სწავლების ისეთი მოდელი, რომელის გამოიყენებაც შესაძლებელია ნებისმიერ საგანში, მაგ., სხვადასხვა ეტაპად დაყოფა, სადაც თითოეულ ეტაპს ახლავს მასწავლებლის ინსტრუქციები.

რეკომენდაცია 3:

ჩამოყალიბდეს მოსწავლეთა „ანალიტიკური ცენტრი", რათა მოხდეს სხვადასხვა საგანში სოციალური მედიის სასწავლო ინსტრუმენტის სახით გამოყენების გზების მოძიება, მაგ., მოსწავლეთა თვითმმართველობის ქვეკომიტეტი, კლასგარეშე კლუბი, ან ინფორმაციული ტექნოლოგიების მოსწავლეთა ჯგუფი.

4.7. სამოქალაქო განათლება

სამოქალაქო განათლება ძირითად როლს ასრულებს მოსწავლის მონაწილეობაში. უპირველეს ყოვლისა, ის მოსწავლეებს საკუთარი მოსაზრებების გამოხატვის საშუალებას აძლევს სკოლასა და საზოგადოებასთან დაკავშირებულ მთელ რიგ საკითხებზე, არა მხოლოდ პროექტების საშუალებით, რომლებიც გამიზნულია სკოლაში ან საზოგადოებაში არსებული რეალური პრობლემების გადაჭრისკენ, არამედ, ასევე, როლური თამაშების, სიმულაციების, სააზროვნო-ექსპერიმენტებისა და ჰიპოთეტური სიტუაციების განხილვის საშუალებით.

ამასთან, სამოქალაქო განათლება მოსწავლეებს საშუალებას აძლევს, სრულყონ თავიანთი უნარ-ჩვევები მონაწილეობისთვის, მათ შორის:

- მოსმენის;
- მოსაზრებების გამოხატვისა და დასაბუთების;
- კამათის;
- დარწმუნების;
- მოლაპარაკების;
- დისკუსიის დროს ქცევის.

მოსწავლეებს, ასევე, შეუძლიათ შეისწავლონ საკუთარი მოსაზრებების გამოხატვის მეთოდები და სტრატეგიები, მაგ., კენჭისყრა, ტვიტერში პოსტის გამოქვეყნება ან გაზიარება, პეტიციები, ცნობიერების ამაღლების კამპანიები, სოციალური მედიის გვერდები და ა.შ.

გარდა ამისა, სამოქალაქო განათლება მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას, კრიტიკულად მიუდგნენ სკოლასა და საზოგადოებასთან დაკავშირებულ საკითხებში ჩართვით მიღებულ საკუთარ გამოცდილებებს. ისინი უფიქრდებიან საკუთარი მონაწილეობის ბუნებას, მიუხედავად იმისა, მათ მიერ განხორციელებული პროექტები წარმატებულია და ქმნის თუ არა მოსწავლეთა მონაწილეობისთვის ხელმისაწვდომ შესაძლებლობებს მათ სკოლაში. ეს სამოქალაქო განათლებასა და სამოქალაქო განათლების მასწავლებლებს, მოსწავლეთა მონაწილეობის თვალსაზრისით, განსაკუთრებულ როლს ანიჭებს. მართალია, ყველა საგანი პოტენციურად მოსწავლის ხმის გამოხატვის საშუალებაა, თუმცა სამოქალაქო განათლება ის საგანია, სადაც ეს ცალსახად ისწავლება, ეს სამოქალაქო განათლების კურიკულუმის შინაარსის ნაწილია, ისევე როგორც მისი განხორციელების ინსტრუმენტი.

ეს სამოქალაქო განათლების მასწავლებლებს განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას აკისრებს მოსწავლეთა მონაწილეობის თვალსაზრისით უფრო დიდ სკოლებში და მნიშვნელოვანს ხდის

მათ ჩართვას სასკოლო ცხოვრების სხვა სფეროებში, როგორებიცაა, მოსწავლეთა თვითმმართველობის მხარდაჭერა და მოსწავლეთა მონაწილეობა კლასგარეშე აქტივობებში.

4.7.1. კანონმდებლობა

სამოქალაქო განათლება ახლა სავალდებულო საგანია საქართველოში. ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ რეგულაციებში[62] მოსწავლეთა მონაწილეობა ამის მნიშვნელოვან ნაწილად არის წარმოდგენილი. სწავლისა და სწავლების მიზნებია „შემსწავლელი პირის დახმარება საკუთარი თავის საზოგადოების სრულფასოვან წევრად აღქმაში", შემსწავლელი პირის ხელშეწყობაში, „გააცნობიეროს, რომ მას შეუძლია და უნდა განახორციელოს დადებითი ცვლილებები საკუთარ ქვეყანაში/საზოგადოებაში/მუნიციპალიტეტში/სახელმწიფოში" და განავითაროს „საჯარო და პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის კულტურა."

VII–X კლასებისთვის დადგენილი სამიზნე კონცეფცია მოიცავს „დემოკრატიას", „ინიციატივას" და „მონაწილეობას", განზრახული შედეგები კი არის: „საკუთარი თავის საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის წევრებად აღქმა (მაგალითად, სასკოლო საზოგადოებისა)"; „საკუთარი და სხვების უფლებების და მოვალეობების გაგება და დაცვა"; „დემოკრატიის პრინციპების დაკავშირება ცხოვრებისეულ სიტუაციებთან"; „სამოქალაქო აქტივობებში მოხალისეობის მნიშვნელობის გაგება და დემოკრატიული პრინციპების დაცვით მოქმედების საჭიროების დანახვა"'; „საზოგადოებისა და ქვეყნისთვის აქტუალური პრობლემების განსაზღვრა და მათი გადაჭრის ცდა საკუთარი ჩართულობით" და „სხვადასხვა ინტერესის ჯგუფებთან და სამთავრობო უწყებებთან თანამშრომლობა (ინფორმაციის მოპოვება, ლობისტური საქმიანობა, ადვოკატირება), ხელისუფლებისათვის ანგარიშვალდებულების დაკისრება და მისი კონტროლი მთავრობის ადვოკატირებისა და მონიტორინგის გზით."

VII კლასელთათვის სავალდებულო სასწავლო საკითხებია „თემი, რომელშიც ვცხოვრობთ" და „სასკოლო გარემო/სასკოლო საზოგადოება". ამ საფეხურისათვის შეფასების კრიტერიუმები მოიცავს იმავე ხაზგასმას მონაწილეობაზე. ესენია: „საზოგადოებრივი აქტივობების დაგეგმვისას სხვადასხვა რწმენის ადამიანებთან თანამშრომლობა"; „საზოგადოების სოციალური და ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული პრობლემების დადგენა (დაწერილი და დაუწერელი წესების თანაარსებობა, არასრულწლოვანთა დანაშაული, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოება, ბუნებრივი კატასტროფები), მათი გადაჭრის გზების და საჭირო რესურსების დაგეგმვა"; „სოციალური და ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრაზე ზრუნვა საკუთარი ჩართულობით (დაწერილი და დაუწერელი წესების თანაარსებობა, არასრულწლოვანთა დანაშაული, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოება, ბუნებრივი კატასტროფები) საზოგადოებაში"; „სკოლის თვითმმართველობაში (სკოლის კლუბები, თანატოლებთან მედიაცია) მონაწილეობა"; „საჭიროების შემთხვევაში, სკოლის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან (ხელმძღვანელობა, სამეურვეო საბჭო) თანამშრომლობა"; „სასკოლო აქტივობების დაგეგმვისას სხვადასხვა რწმენის ადამიანებთან თანამშრომლობა, მათი ინტერესების და უფლებების გათვალისწინებით"; „სკოლაში წარმოქმნილი სოციალური და ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული პრობლემების (ბულინგი, განათლების უფლების რეალიზება, უსაფრთხო სკოლა) დადგენა, მათი გადაჭრის გზების და საჭირო რესურსების განსაზღვრა"; და „სკოლაში წარმოქმნილი სოციალური და ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული პრობლემების (ბულინგი, განათლების უფლების რეალიზება, უსაფრთხო სკოლა) გადაჭრაზე ზრუნვა საკუთარი ჩართულობით".

[62] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო: ეროვნული სასწავლო გეგმა, დანართი N 9, საზოგადოებრივი მეცნიერებები, გ) მოქალაქეობა.

4.7.2. დირექტორთა ხედვები და დამოკიდებულებები

ჩვენი რესპონდენტები ამბობენ, რომ სამოქალაქო განათლება, როგორც საგანი, წამყვან როლს იკავებს დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების სწავლებაში. სამოქალაქო განათლების მასწავლებლებს შესაძლებლობა აქვთ როგორც თეორიული ჩარჩოს ახსნის, ასევე, ყოველდღიური ცხოვრებიდან მაგალითების მიწოდებისა.

ამონარიდი ციტატები ფოკუს ჯგუფებიდან:

→ *სამოქალაქო განათლებაში ეს ძალიან დიდი „მაშველი რგოლია". რადგან ამ საგანში საკითხები იმგვარად არის დალაგებული, რომ ეს ჩვენი პირდაპირი მოვალეობაა არა მხოლოდ ღირებულების, არამედ შინაარსის თვალსაზრისითაც ... ჩვენ ვსაუბრობთ ამ საკითხებზე... [და განვიხილავთ] სათანადო [ვარიანტებს] პრობლემის გადასაჭრელად... ... თუ მოსწავლე ვერ განიხილავს საკუთარ პრობლემებს ღიად [სადმე სხვაგან], მაშინ ამგვარი განხილვა გაკვეთილებზე ეხმარება მას.* [სკოლის დირექტორი]

→ *სამოქალაქო განათლება ... ეს არ არის მხოლოდ ერთი საგნის ფარგლებში დემოკრატიის სწავლება ... მაგრამ ის უნდა დაწინაურდეს ახლა ... პრობლემა ადამიანურ რესურსებში მდგომარეობს ... სამოქალაქო განათლების მასწავლებლები სხვადასხვა გამოცდილებით და სხვადასხვა სასწავლო საგნიდან არიან.* [რესპონდენტი]

→ *სამოქალაქო განათლების მიზნებია ... მშვიდობიანი ცხოვრებისთვის საჭირო უნარ-ჩვევები ... საზოგადოებრივი პრობლემების ყოველდღიურ გარემოში დადგენის და გადაჭრის უნარი ... ძირითადი უნარები კარგი მოქალაქეობისთვის.* [რესპონდენტი]

4.7.3. მასწავლებელთა ხედვები და დამოკიდებულებები

ამჟამინდელი სამოქალაქო განათლების სწავლების შედარებისას იმასთან, რაც წარსულში იყო, ცხადი ხდება შემდეგი საკითხები: მასწავლებლები უფრო მომზადებულნი არიან, ხელმისაწვდომია მეტი მრავალფეროვანი რესურსი და მასწავლებლებს ტრენინგების გავლის მეტი შესაძლებლობა აქვთ საგნის სტანდარტის დასაკმაყოფილებლად. თუმცა, მაინც ვხვდებით მასწავლებლებს, რომლებიც არ იზიარებენ იმ ღირებულებებს, რომლებიც თავიანთ მოსწავლეებს უნდა ასწავლონ. ზოგიერთი მასწავლებლისთვის ეს უბრალოდ სამსახურია და არ შეესაბამება მათ პირად იდეოლოგიას. განსაკუთრებული პრობლემები არსებობს სკოლებში, რომლებსაც ეთნიკური უმცირესობები ჰყავთ. ეს პრობლემებია ბავშვთა შრომა, ადრეული ქორწინება და ქართული ენის კომპეტენციების ნაკლებობა.

ამონარიდი ციტატები ფოკუს ჯგუფებიდან:

→ *როდესაც სამოქალაქო განათლების სწავლება დავიწყეთ, არაფერი ვიცოდით, მასწავლებლებმა არ იცოდნენ რა იყო სამოქალაქო განათლება, არ ვიცოდით რა და როგორ გვესწავლებინა, არსებობს ძალიან ბევრი ტრენინგი მასწავლებლებისთვის და ეს კარგია, თუ არ ვისწავლით, მასწავლებლებიც კი, გენიოსები არ ვართ რომ ყველაფერი ვიცოდეთ.* [სკოლის მასწავლებელი]

→ *ზოგი უბრალოდ საკუთარ საქმეს აკეთებს. სხვებს იდეოლოგიური განსხვავებები აქვთ. ისინი უფრო კონსერვატიულნი და ტრადიციულნი არიან ისეთ საკითხებ-*

თან მიმართებაში, როგორებიცაა ეროვნული თვითმყოფადობა, რელიგია, გენდერი, როგორ უნდა მოიქცეს ადამიანი. [რესპონდენტი]

→ *მისი ჩამოყალიბებისას, სამოქალაქო განათლებისთვის არ იყო საკმარისი ადამიანური რესურსი, ამიტომაც ისტორიის მასწავლებლებს უწევდათ მისი სწავლება, მათ კი არ ჰქონდათ იგივე ღირებულებები. ზოგიერთები, რომლებიც დასაწყისიდან მოდიან, ჯერ კიდევ იქ არიან. ისინი ადამიანის უფლებებზე საუბრობენ და სხვაგვარად იქცევიან.* [რესპონდენტი]

→ *სამოქალაქო განათლების ყველა მასწავლებელი არ იზიარებს ერთსა და იმავე ღირებულებებს ... ისინი ვერ ასწავლიან ადამიანის უფლებებს, თუ არ იზიარებენ მათ.* [რესპონდენტი]

→ *საბჭოთა გავლენა ჯერაც შეინიშნება, თუმცა ზოგმა დაძლია ის.* [რესპონდენტი]

→ *სხვა მასწავლებლების დამოკიდებულება სამოქალაქო განათლებასთან არის მთავარი პრობლემა. სხვა მასწავლებლები სამოქალაქო განათლებას სერიოზულად არ უყურებენ, არა [როგორც] ნიშანდობლივ საგანს.* [რესპონდენტი]

→ *სამოქალაქო განათლების სწავლება იმ სკოლებში, ვისაც უმცირესობები ჰყავს, დამოკიდებულია დირექტორებზე.* [რესპონდენტი]

→ *სამოქალაქო განათლება იმ სკოლებში, ვისაც უმცირესობები ჰყავს, განსხვავებულია – [სადაც] შეიძლება არსებობდეს პრობლემები ბავშვთა შრომასთან, ადრეულ ქორწინებასთან [ან] ქართული ენის არასათანადოდ კარგად ცოდნასთან დაკავშირებით.* [რესპონდენტი]

4.7.4. მოსწავლეთა ხედვები და დამოკიდებულებები

გამოკითხული მოსწავლეები სამოქალაქო განათლების გაკვეთილებს საინტერესოდ და სასიამოვნოდ მიიჩნევენ. მათ აქვთ პროექტებზე მუშაობისა და დისკუსიებსა და დებატებში მონაწილეობის შესაძლებლობა. მოსწავლეებს ჰყავთ ბევრი მასწავლებელი და დირექტორი, რომლებსაც ენდობიან, მაგრამ ისინი არ ენდობიან სკოლას, როგორც დაწესებულებას.

ამონარიდი ციტატები ფოკუს ჯგუფებიდან:

→ *ჩვენ ვაკეთებთ შესავალს რაღაც კონკრეტულ პროექტზე ან, მაგალითად, მომსახურებაზე, რომლის გამოყენების უფლება მათ აქვთ, შემდეგ მათ უჩნდებათ შეკითხვები, მოდის კითხვები საკითხის გარშემო. ერთგვარი ნიშანია, როდესაც მოსწავლე ამბობს, რომ მის მეგობარსაც იგივე პრობლემა ჰქონდა. ნდობა არსებობს, მაგრამ არ სურთ გამოამჟღავნონ, რომ პრობლემა მათ ეხება, სურთ ანონიმურობა დაიცვან. კარგია ბევრი სანდო მასწავლებლის და ასეთი პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე დირექტორის ყოლა, მაგრამ უნდა არსებობდეს დაწესებულების მიმართ ნდობა და ეს პრობლემა ძალიან ბევრ სკოლაშია.* [სკოლის მასწავლებელი]

→ *სამოქალაქო განათლება ცდილობს ახსნას დისკუსიის მიზანი, თუ როგორ უნდა ჩატარდეს ის და როგორ გამოვიყენოთ ის სხვა გაკვეთილებზე.* [სკოლის მოსწავლე]

→ *სამოქალაქო განათლება იძლევა რჩევებს იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა მოვიქცეთ, რა უნარ-ჩვევები გამოვიყენოთ.* [სკოლის მოსწავლე]

→ *მასწავლებელი გვაწვდის დებატების ეფექტურად წარმოების კონკრეტულ პრინციპებს.* [სკოლის მოსწავლე]

→ *სამოქალაქო განათლებაში, ინგლისურში და ქართულ ენაში გვასწავლიან, თუ როგორ უნდა ვაწარმოოთ კამათი და მსჯელობა.* [სკოლის მოსწავლე]

→ *დებატების კლუბში ვსწავლობთ, როგორ ვაწარმოოთ ჯანსაღი მსჯელობა ისე, რომ პატივი ვცეთ მეორე მხარეს, აგრესიის გარეშე შევუსწოროთ.* [სკოლის მოსწავლე]

4.7.5 მთავარი გამოწვევები

სამოქალაქო განათლება არა მხოლოდ სავალდებულო საგანია, არამედ ის თანდათან ხდება სპეციალური საგანი, ე.ი. ისწავლება იმ მასწავლებლების მიერ, ვისაც კონკრეტული გამოცდილება აქვს ამ საგანში. იყო ეროვნული გადამზადების რამდენიმე პროგრამა, რომლის სამიზნეს სამოქალაქო განათლების მასწავლებლები წარმოადგენდნენ, მათ შორის, „პროექტი ჰარმონია"-ს მნიშვნელოვანი მონაწილეობით.[63] ამან განაპირობა სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმის შექმნა, ახალი რესურსებისა და მხარდამჭერი მასალის გამოქვეყნება სამოქალაქო განათლების მასწავლებელთათვის ქართულ ენაზე. ასევე, უნდა აღინიშნოს ევროპის საბჭოს რესურსებისა და დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა სწავლების შესახებ გამოცემების თარგმნა.

მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად სამოქალაქო განათლების გაკვეთილების ჩატარება იმ მასწავლებლების მიერ, რომლებიც საგნის პროფესიონალები არიან, მზარდია, ჯერ კიდევ ძალიან ბევრგან საგანს ასწავლიან სხვა საგნის პედაგოგები. ზოგჯერ ეს გამოწვეულია პრაქტიკული მიზეზებით, მაგრამ სწავლების სტანდარტი ვერ იქნება იგივე, თუ მოცემული მასწავლებელი არ აფასებს საგანს ან არ ესმის, თუ რამნიშვნელობა აქვს მას. ერთ-ერთი მასწავლებლის თქმით, „სამოქალაქო განათლება ისწავლება მათემატიკის მასწავლებლის მიერ და ის ხდება დამატებითი STEM გაკვეთილი".[64] სხვა მასწავლებლის თქმით, „მისი ჩამოყალიბებისას, სამოქალაქო განათლებისთვის არ იყო საკმარისი ადამიანური რესურსი, ამიტომაც ისტორიის მასწავლებლებს უწევდათ მისი სწავლება, [მათ კი] არ ჰქონდათ იგივე ღირებულებები." ზოგიერთები, რომლებიც დასაწყისიდან მოდიან, ჯერ კიდევ იქ არიან. ისინი ადამიანის უფლებებზე საუბრობენ... [მაგრამ] სხვაგვარად იქცევიან".[65]

ასაკოვან მასწავლებლებს განსხვავებული დამოკიდებულებები აქვთ სამოქალაქო განათლების სწავლების მიმართ. სამოქალაქო განათლების ერთ-ერთი, უფრო ახალგაზრდა მასწავლებლის თქმით, „ზოგი უბრალოდ საკუთარ საქმეს აკეთებს. სხვებს იდეოლოგიური განსხვავებები აქვთ. ისინი უფრო კონსერვატიულნი და ტრადიციულნი არიან ისეთ საკითხებთან მიმართებით, როგორებიცაა ეროვნული თვითმყოფადობა, რელიგია, გენდერი, როგორ უნდა მოიქცეს ადამიანი."[66] როგორც არ უნდა იყოს, ასეთი მასწავლებლები კატეგორიული წინააღმდეგი იქნებიან ბავშვებისთვის ხმის უფლების მიცემისა იმ ყველაფერთან დაკავშირებით, რაც მათ კლასში მოხდება. ისინი ასევე, სავარაუდოდ, ყველაზე ნაკლებად დაექვემდებარებიან გადამზადების პროგრამებს. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული სასწავლო გეგმის რეგულაციები სამოქალაქო განათლებასთან დაკავშირებით ძალიან უწყობს ხელს მოსწავლის მონაწილეობაზე ორიენტირებას, პრაქტიკაში ყოველთვის ასე არ ხდება კლასში.

ამ კატეგორიაში შემავალ მასწავლებლებში შეინიშნება ფრთხილად მოქმედების ტენდენცია და ისინი ხშირად თავს არიდებენ იმ საკითხებს, რომლებზეც მოსწავლეებს ნამდვილად

[63] www.civics.ge

[64] ინტერვიუ, 2022 წლის 27 ივლისი.

[65] ინტერვიუ, 2022 წლის 27 ივლისი.

[66] იქვე.

სურთ საუბარი. ერთ-ერთი მოსწავლის თქმით, „გაკვეთილები მხოლოდ თეორია არ უნდა იყოს, არამედ იმ საკითხების განხილვა, რაც სკოლის გარეთ ხდება, გლობალური პრობლემების, გარეგნობის გამო დაცინვის... არა მხოლოდ კლუბებში, არამედ გაკვეთილებზეც."[67] ნაკლებმოსალოდნელია, რომ მათ დაინახონ ახალგაზრდებისთვის დისკუსიის უნარ-ჩვევების სწავლების მნიშვნელობას, ან კრიტიკული რეფლექსიის მნიშვნელობას სასკოლო ან საზოგადოების ცხოვრებაზე.

კიდევ ერთი გამოწვევა მასწავლებლებისათვის არის მოსაზრება, რომ სამოქალაქო განათლება უფრო მეტია, ვიდრე საკლასო გაკვეთილი. ეროვნული სასწავლო გეგმის რეგულაციები ცალსახად აკავშირებს სამოქალაქო განათლების საგანს სკოლის თვითმმართველობაში მონაწილეობასა და სკოლის ხელმძღვანელობასთან თანამშრომლობასთან. „პროექტი ჰარმონია"-ს მომზადების პროგრამებში ეს ინტეგრირებულია სამოქალაქო განათლების კლუბებთან. ეს, ასევე, წარმოადგენს მზარდი ინტერესის საგანს სკოლებში. ერთ-ერთი დირექტორის თქმით, „სამოქალაქო განათლებაში... სამუშაო მხოლოდ საკლასო ოთახში არ არის... სკოლაზე მეტი გავლენის მოხდენა გაწერილია სამოქალაქო განათლების ეროვნულ სტანდარტებში... მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნების პროცესი ისწავლება სამოქალაქო განათლების მასწავლებლების მიერ."[68] კერძო სკოლის დირექტორის თქმით, „სამოქალაქო განათლება ... ეს არ არის მხოლოდ ერთი საგნის ფარგლებში დემოკრატიის სწავლება... მაგრამ მანდ უნდა გასწიოს ლიდერობა... [პრობლემა] ადამიანურ რესურსებში მდგომარეობს."[69] ადამიანური რესურსების მოძიების საკითხი მნიშვნელოვანია. როგორც ადრე აღვნიშნეთ წინამდებარე ანგარიშში, ექსპერტ ზრდასრულთა მხარდაჭერა მნიშვნელოვანი წინაპირობაა ეფექტური მოსწავლეთა თვითმმართველობისა და არაფორმალური განათლებისთვის სკოლაში. თუმცა, ამის რეალური დებულება არ არის შეტანილი მასწავლებელთათვის მოთხოვნილ კომპეტენციაში. ნებისმიერი მხარდაჭერა, რომელიც მიიღება ამჟამად, გაიცემა წმინდა მოხალისეობრივ საფუძველზე. ერთ-ერთი მიზეზი ამისა ის არის, რომ მასწავლებელთათვის გასამრჯელოს გამოყოფა კლასის გარეთ მხარდაჭერისათვის ეწინააღმდეგება მოსწავლეთა თვითმმართველობის ავტონომიურობის პრინციპს.

გასავითარებელი მიმართულებები

- ეფექტური მონაწილეობისთვის საჭირო უნარების სწავლება მოსწავლეთათვის;
- საკლასო აქტივობებისა და პროექტების დაგეგმვა ცხოვრებისეული საკითხების გარშემო;
- მოსწავლეთა დახმარება იმაში, რომ კრიტიკულად მიუდგნენ მონაწილეობის შედეგად მიღებულ გამოცდილებას;
- სამოქალაქო განათლების განსაკუთრებული როლის აღიარება მოსწავლეთა მონაწილეობის ასპექტში.

[67] ონლაინ ფოკუს ჯგუფი, 2022 წლის 28 ივლისი.

[68] ონლაინ ფოკუს ჯგუფი, 2022 წლის 27 ივლისი.

[69] ინტერვიუ, 2022 წლის 27 ივლისი.

4.7.6. რეკომენდაციები

რეკომენდაცია 1:

აღიჭურვონ სამოქალაქო განათლების მასწავლებელები საჭირო პრაქტიკული სტრატეგიებითა და რესურსებით ეფექტური მონაწილეობის უნარების სწავლებისთვის, მაგ., მოსმენა, კვლევა, პრეზენტაციის წარდგენა, დარწმუნება, მოლაპარაკების წარმოება და ა.შ.

რეკომენდაცია 2:

მოსწავლეები ჩაერთონ სამოქალაქო განათლების სადისკუსიო თემებისა და პროექტების შერჩევაში, მაგ., კენჭისყრა კლასში, მოსწავლეთა თვითმმართველობის წვლილი საგნობრივი კათედრის შეხვედრებში.

რეკომენდაცია 3:

სამოქალაქო განათლების მასწავლებლები უზრუნველყოფილნი იქნენ დებრიფინგის ტექნიკით, რომლის გამოყენებასაც შეძლებენ მოსწავლეებთან აქტივობების შემდეგ, მაგ., კითხვები მსჯელობის წარმართვისთვის, „წრის დახურვა“, „ცოდნის ხე“ და ა.შ.

რეკომენდაცია 4:

სამოქალაქო განათლების მასწავლებლებს მიეწოდოთ დისციპლინათაშორისი პროექტების სხვა საგნებთან ერთად დაგეგმვაში მოსწავლეთა ჩართვის მოდელები.

4.8. კლასგარეშე აქტივობები

კლასგარეშე აქტივობები უნიკალურ შესაძლებლობებს იძლევა მოსწავლეთა მონაწილეობის თვალსაზრისით. გაკვეთილის გარეთ მიმდინარე აქტივობები არ იზღუდება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებით ან საკლასო წეს-ჩვეულებებით. უსასრულოა იმ აქტივობების ტიპი, რომლებშიც შეიძლება მოსწავლე ჩაერთოს, დაწყებული სპორტული კლუბებიდან და წმინდა სოციალური აქტივობებიდან, დასრულებული საზოგადოებრივი პროექტებით და კამპანიებით. ისინიც ნებაყოფლობითია, რაც იმას ნიშნავს, რომ, სავარაუდოდ, უფრო მოტივირებულ მოსწავლეებს მიიზიდავს, მათ, ვისაც ჩართვის სურვილი აქვს.

ამ კონტექსტში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კლასგარეშე აქტივობების ორი თავისებურება. პირველი, იმის გამო რომ ისინი არ არის მიბმული ეროვნულ სასწავლო გეგმაზე, საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, იმუშაონ ისეთ საკითხებზე, რომლებიც აქტუალურია საზოგადოებაში და ნამდვილი მნიშვნელობა აქვს მათ ცხოვრებაში. დღესდღეობით, ეს ხშირად ინტერნეტსა და სოციალურ მედიასთან დაკავშირებული საკითხებია. მეორე, ისინი საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, უშუალოდ ჩაერთონ საზოგადოებრივ საკითხებში პრაქტიკული კუთხით, რაც უბრალოდ შეუძლებელი იქნებოდა ბევრი საკლასო პროექტის პირობებში.

ფართოდ არის მიღებული, რომ კლასგარეშე აქტივობებში მონაწილეობის გამოცდილება შეიძლება დაეხმაროს ახალგაზრდებს ცხოვრებისა და მუშაობისათვის მნიშვნელოვანი კომპეტენციების განვითარებაში. ეს კონკრეტულად ეხება დემოკრატიულ ცხოვრებაში ეფექტური მონაწილეობისთვის განკუთვნილი კომპეტენციების (დემოკრატიული კულტურის კომპეტენციები) განვითარებას, განსაკუთრებით, ისეთი ღირებულებებისა და დამოკიდებულებების განვითარებას, რომლებიც შეესაბამება აქტიურ მოქალაქეობას.

ზრდასრულთა მხარდაჭერის დონესა და ხარისხს მჭიდრო კავშირი აქვს კლასგარეშე აქტივობების ეფექტურობის, მოსწავლეთა სწავლისა და სკოლისა და საზოგადოებისთვის პრაქტიკუ-

ლი შედეგების თვალსაზრისით. მაშინ, როდესაც მნიშვნელოვანია ახალგაზრდებისთვის საკუთარი ინიციატივის გამოთქმისა და საკუთარი გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობის მიცემა, ისინი ხშირად საჭიროებენ სხვადასხვა კუთხით მხარდაჭერას, მაგალითად:

- ახალი აქტივობების, მეთოდების ან სამუშაო პარტნიორების შეთავაზებას;
- წახალისებასა და საკუთარ უნარებში მათ დარწმუნებას;
- ტექნიკურ რჩევებსა და რესურსებს;
- აქტივობისთვის ან პროექტისთვის საჭირო კონკრეტულ უნარებს;
- გარკვევას, სად შეუძლიათ დახმარების მიღება;
- როგორ უნდა დაფიქრდნენ და წარმართონ საკუთარი სწავლა.

როგორც წესი, ეს ყველაზე უკეთ ისეთ სკოლებში მუშაობს, სადაც ერთ პირს აქვს მთელი პასუხისმგებლობა ყველა კლასგარეშე აქტივობაზე. ხშირად ეს სამოქალაქო განათლების მასწავლებელია, მაგრამ, შესაძლოა, ასეთივე წარმატებით იყოს სხვა საგნის მასწავლებელიც, ან სხვა პროფესიონალი სკოლის გარეთ, როგორიცაა ახალგაზრდული მუშაკი.

4.8.1. კანონმდებლობა

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ნათქვამია, რომ სკოლებმა მხარი უნდა დაუჭირონ და ორგანიზება გაუწიონ „სპორტულ, სახელოვნებო, საკლუბო აქტივობებსა და სასკოლო პროექტებს“, რომლებშიც „მონაწილეობას მიიღებენ სხვადასხვა კლასის მასწავლებლები, მოსწავლეები და მათი მშობლები.“ ეს დაკავშირებულია „კრეატიული და თანამშრომლობითი გარემოს ჩამოყალიბებასთან მისი საზოგადოების წევრებისთვის“, რაც „ერთიანი სასკოლო კულტურის“ ნაწილია. ამ აქტივობების შემუშავება უნდა ჩაითვალოს არჩეული მოსწავლეთა თვითმმართველობის პასუხისმგებლობად. მოსწავლეთა თვითმმართველობის ორგანო „წევრთა ერთი მეხუთედის ინიციატივით ქმნის სასკოლო კლუბებს“.[70]

4.8.2. დირექტორთა ხედვები და დამოკიდებულებები

გამოკითხული სკოლის დირექტორები ამბობენ, რომ ისინი ახორციელებენ სხვადასხვა კლასგარეშე აქტივობას, ზოგჯერ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ან უნივერსიტეტებთან თანამშრომლობით. ისინი ფიქრობენ, რომ არაფორმალური განათლება ძალიან მნიშვნელოვანია და ყოველთვის მზად არიან, დაეხმარონ სასკოლო საზოგადოებას ახალი იდეების გამოხატვაში და პროექტების თუ ღონისძიებების წახალისებაში. ეს აქტივობები ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების ერთ გუნდად შეკვრას. ხელისშემშლელი შეიძლება აღმოჩნდეს შედეგზე ორიენტირების ნაცვლად პროცესზე ორიენტირება, რაც შედეგად იძლევა ჩართულობის დაბალ დონეს და შეზღუდულ სწავლას. ფინანსური რესურსების სიმწირე ზოგიერთ სკოლაში იმას ნიშნავს, რომ ყოველთვის არ არის შესაძლებელი კლასგარეშე აქტივობების განხორციელება.

ამონარიდი ციტატები ფოკუს ჯგუფებიდან:

→ *ჩემი აზრით, არაფორმალური განათლება ძალიან მნიშვნელოვანია, ვფიქრობ, არასამთავრობო ორგანიზაციები უნდა იყვნენ ჩართული ამ თვალსაზრისით, რადგან ის, რისი მიცემაც სკოლას არ შეუძლია მოსწავლისთვის, სწორედ ამ თვალსაზრისითაა, ასე არ არის?* [სკოლის დირექტორი]

→ *მოსწავლის სახლი, უნივერსიტეტები, მაგალითად, ჩემი სკოლა მუდმივად თანამშრომლობს ჯავახიშვილის უნივერსიტეტთან და სამართლის ფაკულტეტის სტუდენტებთან ერთად ხორციელდება პროექტები, სიმულირებული სასამართლო*

[70] საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“, მუხლი 48.

განხილვები, რაც ძალიან მნიშვნელოვან როლს ასრულებს ნამდვილად აქტიური მოქალაქის ჩამოყალიბებაში. [სკოლის დირექტორი]

→ *საბჭოთა პიონერებისთვის აქტუალიზმი მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ ეს შეიძლებოდა ყოფილიყო ნებისმიერი რამე, მაგ., ბაღის გასუფთავება ... უბრალოდ პროცესი.* [უნივერსიტეტის წარმომადგენელი]

→ *რეალური, ცხოვრებისეული სიტუაციების სიმულირება... მაგ., გაეროს მოდელირება... პლუს ცხოვრებისეული გამოცდილება.* [რესპონდენტი]

→ *ჯვარედინი ხასიათის პროექტები ... დიდი პროექტების დაგეგმვა მთელი წლისთვის ... ყოველთვის მოიცავს ერთზე მეტ საგნობრივ კათედრას ... და შესაძლებელია მშობლების ჩართვა.* [რესპონდენტი]

→ *მასწავლებლებს სჭირდებათ დახმარება პროექტების ორგანიზებაში.* [სკოლის დირექტორი]

→ *მნიშვნელოვანია პროექტის განუყოფელ ნაწილად იქცეს მიზეზების და სისტემების კვლევა და არა მხოლოდ გადაწყვეტის გზებისა.* [უნივერსიტეტის წარმომადგენელი]

4.8.3. მასწავლებელთა ხედვები და დამოკიდებულებები

გამოკითხული მასწავლებლები კლასგარეშე აქტივობებს არსებით მნიშვნელობას ანიჭებენ, მოსწავლეთა თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გადატანის თვალსაზრისით. მოსწავლეები ხშირად გამოთქვამენ ჩართვისა და პასუხისმგებლობის აღების სურვილს, თუ მასწავლებლებისგან სათანადო დახმარებას იღებენ. კლასგარეშე აქტივობებში მოსწავლეებს შეუძლიათ თვითგამოხატვა, უფლება აქვთ, ჰქონდეთ განსხვავებული მოსაზრებები და მუშაობენ ისეთ საკითხებზე, რომლებიც მათთვის არის მნიშვნელოვანი. ასეთი სახის კლასგარეშე აქტივობები ეხმარება მოსწავლეებს არა მხოლოდ დემოკრატიული ღირებულებების, არამედ მნიშვნელოვანი სოციალური უნარ-ჩვევების დასწავლაში. კლასგარეშე აქტივობები მჭიდრო კავშირშია მოსწავლეთა თვითმმართველობასთან და ორგანიზებულია მათ მიერ. ზოგჯერ, ზოგიერთი პროექტის ორგანიზება ხდება სხვა სკოლებთან თანამშრომლობით.

ამონარიდი ციტატები ფოკუს ჯგუფებიდან:

→ *თეორიული ცოდნის პრაქტიკაში დასანერგად საჭიროა მეტი არაფორმალური განათლება.* [სკოლის მასწავლებელი]

→ *ჩემი აზრით, არაფორმალური განათლება ძალიან მნიშვნელოვანია, ვფიქრობ, არასამთავრობო ორგანიზაციები უნდა იყვნენ ჩართული ამ თვალსაზრისით.* [სკოლის მასწავლებელი]

→ *ახალი როლების მორგებისას ბიზნეს თამაშის ფარგლებში, გაზაფხულზე გვქონდა ასეთი აქტივობა, რომ უნდა მოგვეწყო სკოლის ეზო, რაიმე კუთხე, და ჩვენ მივეცით დავალება...მათ ის ისე ლამაზად მოაწყვეს, გაალამაზეს კუთხე გაზაფხულზე, თუმცა სწორი მიმართულების მიცემა ბევრს ნიშნავს, თუ მასწავლებელი სწორ მიმართულებას აძლევს, ბავშვები აკეთებენ ამას ენთუზიაზმით და ხარისხიანად.* [სკოლის მასწავლებელი]

→ *მისი შექმნიდან, სამოქალაქო განათლების კლუბი ძირითადად შედგება მეათე და მეცხრე კლასელებისგან. ისინი უფრო მხიარულები გახდნენ და საკუთარ თავს*

მოსაზრებების ფორმირების და ინიციატივების გამოთქმის უფლებას აძლევდნენ. [სკოლის მასწავლებელი]

→ *ჩვენ განვახორციელეთ პროექტი „ჯანსაღი ცხოვრება", გვქონდა რამდენიმე მიმართულება, ვის იცნობ შენ, და ჩვენ გამოვკითხეთ ბავშვები, ინფორმატიკის მასწავლებელი დაგვეხმარა, შეადგინა ტესტი და ჩაატარა ონლაინ გამოკითხვა, მოსწავლეებმა ჩაწერეს თავიანთი მოსაზრებები და ფოკუსირდნენ ამ ჯანსაღი ცხოვრების წესზე. შემდეგ, როდესაც ვგეგმავდი აქტივობებს, შევედი კლასში. ვიცოდი ბავშვების უნარები და შესაძლებლობები, მაგრამ დავსვი კითხვა, თუ ვის სურდა პრეზენტაციის მომზადება და ვის სურდა სხვა რამე.* [სკოლის მასწავლებელი]

→ *ჩვენს სკოლას აქვს პროფესიულ სასწავლებლებთან თანამშრომლობის პრაქტიკა ქალაქში და, თანამშრომლობის შედეგად, ისინი დადიან ერთ კლასში და არა მხოლოდ ეცნობიან ერთმანეთს, არამედ სწავლობენ რამე კონკრეტულსაც. ამგვარად, სკოლები ხშირად ავსებენ იმ დეფიციტს, რაც ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით აქვთ.* [სკოლის მასწავლებელი]

→ *აქ არის თანამშრომლობა და გამოცდილების გაზიარება სხვა სკოლებთან, თვითმმართველ ორგანოებთანაც კი. მოდი, გავარკვიოთ, როგორ სრულდება თვითმმართველობის სამუშაო კონკრეტულ რეგიონში, ან ერთსა და იმავე ქალაქში, და აი რა. ეს გამოცდილების გაზიარება ძალიან დაგვეხმარება. ბავშვებს წაახალისებს, თუ ისინი ამას იქ გააკეთებენ, ე.ი. ჩვენ რაღაც მეტის გაკეთება შეგვიძლია. ესეც ძალიან მნიშვნელოვანი იქნება.* [სკოლის მასწავლებელი]

→ *სკოლის კლუბი ზოგჯერ ინტეგრირებულია სკოლის ხელმძღვანელობის... სოციალურ ფუნქციასთან.* [რესპონდენტი]

4.8.4. მოსწავლეთა ხედვები და დამოკიდებულებები

გამოკითხული მოსწავლეები ამბობენ, რომ მათ უფრო ადვილად შეუძლიათ თვითგამოხატვა კლასგარეშე აქტივობების ფარგლებში და რომ ეს აქტივობები მეტად შეესაბამება მათ სურვილებსა და აზრებს. როგორც მასწავლებლები, ისევე მოსწავლეებიც ფიქრობენ, რომ კლასგარეშე აქტივობები მეტ მხარდაჭერას საჭიროებს და ორივე მხარეს სურს, რომ მშობლები მეტად იყვნენ მათში ჩართული.

ამონარიდი ციტატები ფოკუს ჯგუფებიდან:

→ *ჩემი პრაქტიკიდან გამომდინარე, როდესაც მოსწავლე საკუთარ პრობლემებზე საუბრობს, ის არასოდეს იტყვის, მაგალითად, მე მაქვს ბულინგის პრობლემა. ის ამას მესამე პირში ამბობს, ამბობს, რომ რაღაც დაემართა მის მეგობარს, და იწყებს ლაპარაკს მისი მეგობრის პრობლემაზე.* [სკოლის მასწავლებელი]

→ *მოსწავლეებს სურთ საკუთარი იდეებისამებრ მოქმედება.* [სკოლის დირექტორი]

→ *ამ წლის მოსწავლეებმა განაცხადეს, რომ თავად სურთ პროექტების დაგეგმვა... სურთ დამოუკიდებლობა... მათ თავად დაგეგმეს საზაფხულო სკოლა... მასწავლებლებმა მათ მიაწოდეს რამდენიმე ნათარგმნი სახელმძღვანელო... ამრიგად, ისინი თავდაჯერებულნი არიან.* [სკოლის დირექტორი]

→ *ჩვენ გვაქვს კლუბი ... მასწავლებლები ეცადნენ დახმარებას ... სოფლის თემი დაგვეხმარა, მაგ., არ არის ბავშვების გასართობი ადგილი, ამიტომ დირექტორს და სკოლის თვითმმართველობას ვთხოვეთ დახმარება.* [სკოლის მოსწავლე]

→ *კლუბი... დარგული ხეები, სუფთა ეზო, შეღებილი კედელი... სამოქალაქო განათლების მასწავლებელი დაგვეხმარა.* [სკოლის მოსწავლე]

→ *ჩვენ გვაქვს საქართველოს ბანკის მიერ დაარსებული კლუბი... „ღამის ფილოსოფოსები"... 13 წევრი... მაგალითად, განვიხილავთ გარეგნობის გამო დაცინვას, ბულინგს (ტელეფონებზე).* [სკოლის მოსწავლე]

→ *კლუბებს სჭირდება დახმარება.* [სკოლის მოსწავლე]

→ *მშობლების ჩართვა? ჩვენ გავაკეთეთ ერთი პროექტი... ტანსაცმლის საწყობი... ნებისმიერს, ვისაც სჭირდებოდა, შეეძლო აეღო... ის ჯერაც ფუნქციონირებს.* [სკოლის მოსწავლე]

4.8.5. დისტანციური კლასგარეშე აქტივობები

იმის გათვალისწინებით, რომ COVID-19-ის პანდემიამ გავლენა იქონია სწავლა-სწავლების მთელ პროცესზე, შეგვიძლია დავამატოთ, რომ კლასგარეშე აქტივობები ყველაზე მეტად დაზარალდა. ამ აქტივობების მორგება დისტანციურ ფორმატზე უფრო რთული აღმოჩნდა. ამიტომაც მნიშვნელოვანი უნდა იყოს ონლაინპორტალების ან სივრცეების შექმნის შესაძლებლობების შესწავლა მომავალში ამგვარი აქტივობების მხარდასაჭერად და, ასევე, ონლაინსაშუალებები მოსწავლეებისთვის იდეებისა და გამოცდილების გასაზიარებლად, განსაკუთრებით, რეგიონების სკოლებისთვის.

ამონარიდი ციტატები ფოკუს ჯგუფებიდან:

→ *ყველა კლასგარეშე ღონისძიება დაიგეგმა და განხორციელდა თვითმმართველობასთან ერთად და ახლა ჩვენი სკოლა ძალიან დაზარალდა, რაც იმას გულისხმობს, რომ კლასის დამრიგებლები და ინდივიდუალური მასწავლებლები აწყობდნენ სხვადასხვა ღონისძიებებს, ახლა კი კოვიდი დაგვემატა და ყველაფერი ჩაკვდა ამ მიმართულებით, სკოლაში სრულიად სხვა ცხოვრება იყო.* [სკოლის დირექტორი]

→ *ონლაინპლატფორმა საოცარი იდეაა, ჩვენი მოსაზრებების და გამოცდილების გაზიარების შესაძლებლობა.[სკოლის მოსწავლე]*

4.8.6. მთავარი გამოწვევები

კლასგარეშე აქტივობები, ხშირად კლუბების სახით, წარმოადგენს ქართული სკოლების ცხოვრების დამკვიდრებულ ნაწილს. თუმცა, სულ ცოტა ხნის წინათ მათზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია კოვიდ პანდემიამ და საჭიროებს გამოცოცხლებას. ერთი დირექტორის თქმით, „ყველა კლასგარეშე ღონისძიება დაიგეგმა და განხორციელდა თვითმმართველობასთან ერთად და ახლა ჩვენი სკოლა ძალიან დაზარალდა... კოვიდი დაგვემატა და ყველაფერი ჩაკვდა ამ მიმართულებით".[71]

კოვიდამდე, მოსწავლეთა კომპეტენციების განვითარებაში კლასგარეშე აქტივობების პოტენციალის მიმართ ინტერესი იზრდებოდა. USAID-ის მიერ გაწეული ფინანსური დახმარების საშუალებით, გარკვეული რაოდენობის სკოლას ჩაუტარდა ტრენინგი „პროექტი ჰარმონია"-ს მიერ სამოქალაქო განათლების კლუბების შექმნისა და მათი მართვის შესახებ და შემუშავდა

[71] ონლაინ ფოკუს ჯგუფი, 2022 წლის 27 ივლისი.

მოსწავლის სახელმძღვანელო. ამან შედეგად მოგვცა მოსწავლეთა ბევრი ახალი და ინოვაციური პროექტი.[72]

თუმცა, კოვიდის შემდგომი ეფექტი არ არის ერთადერთი გამოწვევა, რომელიც არაფორმალური განათლების წინაშე დგას სკოლებში. ერთი ძალიან პრაქტიკული სირთულე კერძო რეპეტიტორთა ინსტიტუტის ფართო გავრცელებაა საქართველოში. ბავშვებს, რომლებსაც კერძო გაკვეთილები აქვთ, ხშირად მცირე დრო რჩებათ სკოლის შემდგომი აქტივობებისთვის. ამას უკავშირდება ის ფაქტი, რომ ქართული საჯარო სკოლები, როგორც წესი, არ უზრუნველყოფენ კვებას და ბავშვებს უწევთ სახლში წასვლა სკოლის შემდეგ, რათა ჭამონ, ხოლო სოფლებში კი საჯარო ტრანსპორტი შეიძლება შეზღუდული იყოს. ასე რომ, ჩნდება კითხვა, თუ როგორ უნდა მიიღონ არაფორმალური განათლების სარგებელი სასკოლო დროის ფარგლებში იმ ბავშვებმა, რომლებიც ვერ დარჩებიან სკოლის შემდეგ.

გარდა ამისა, მოსწავლეები, რომლებიც აქტიურად არიან ჩართული არაფორმალურ განათლებაში, ხშირად აღნიშნავენ ინტერესის სიმწირეს, ზოგადად, მოსწავლეთა კონტინგენტის მხრიდან. კლასგარეშე აქტივობები ხშირად მცირე რაოდენობის, ძალიან მოტივირებული მოსწავლეების ჩართულობის სფეროა. კლუბებსა და მოსწავლეთა თვითმმართველობას შორის არსებული ურთიერთობის გათვალისწინებით, როგორც წესი, ეს იგივე მოსწავლეები არიან, ვინც ჩართულია მოსწავლეთა თვითმმართველობაში. ამ მოსწავლეებმა ხშირად არ იციან, როგორ მოიქცნენ, რომ მეტი თანატოლი ჩართონ. ისინი ყოველთვის ვერ აცნობიერებენ, რომ მათი აქტივობების შესახებ თანატოლებისთვის ანგარიშის ჩაბარება, მათგან რჩევის მოსმენა ან მათთვის ხმის უფლების მიცემა იმასთან დაკავშირებით, თუ რა მიმართულებით უნდა წავიდეს პროექტი, წარმოადგენს ჩართულობას და აუცილებელი არ არის მოსწავლეები სკოლის შემდეგ დარჩნენ, რომ ჩაერთონ აქტივობებში. ერთი რამ, რაც, სავარაუდოდ, ყველაზე უკეთ მოახდენს მოსწავლეთა მოტივირებას, არის ის, რომ განხილული საკითხები მათთვის რელევანტური იყოს და რეალურად შეცვალოს მათი ცხოვრება. ზოგჯერ, უბრალოდ, ამაზე სასაუბრო სივრცის ქონაც კი მნიშვნელოვანია ახალგაზრდებისთვის. ერთი მოსწავლის თქმით, „ჩვენ გვაქვს საქართველოს ბანკის მიერ დაარსებული კლუბი [რომელსაც ჰქვია] „ღამის ფილოსოფოსები“ ... [მას ჰყავს] 13 წევრი ... მაგალითად, [ჩვენ] განვიხილავთ გარეგნობის გამო დაცინვას, ბულინგს (ტელეფონებზე)“.[73]

არაფორმალური განათლებისკენ მოსწავლეთა მიზიდვის მნიშვნელოვანი ფაქტორია შედეგის მიღწევის შესაძლებლობა. საუბარი ხშირად არ არის საკმარისი. თუმცა, როგორც მოსწავლეთა თვითმმართველობის შესახებ ქვეთავში აღინიშნა, ეს დამოკიდებულია პროექტების ინტეგრირებაზე სკოლის მართვის უფრო ფართო პროცესებში, მაგ., სკოლის ლიდერებთან, პედაგოგთა საბჭოსთან და სამეურვეო საბჭოსთან წვდომის საშუალებით. ეს, ასევე, დამოკიდებულია სკოლის მიღმა არსებულ შესაბამის საზოგადოებრივ, საჯარო სექტორის და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან კავშირთან. ერთ-ერთი სკოლის დირექტორმა ისაუბრა ამგვარი კავშირის სარგებლიანობაზე: „ჩემი აზრით, არაფორმალური განათლება ძალიან მნიშვნელოვანია, ვფიქრობ, არასამთავრობო ორგანიზაციები უნდა იყვნენ ჩართული ამ თვალსაზრისით, რადგან [მათ შეუძლიათ მისცენ] მოსწავლეს ის, რასაც მათ სკოლა ვერ მისცემს“.[74]

გარდა ამისა, საყურადღებოა გარკვეული იმ არაფორმალური აქტივობის ბუნება, რომელშიც მოსწავლეები არიან ჩართული და ის, თუ რა სახის სასწავლო შესაძლებლობებს აძლევს ისინი

[72] www.civics.ge

[73] ონლაინ ფოკუს ჯგუფი, 2022 წლის 28 ივლისი.

[74] ონლაინ ფოკუს ჯგუფი, 2022 წლის 27 ივლისი.

ახალგაზრდებს. შეიძლება აღმოჩნდეს, რომ მოსწავლეებს უწევთ ზრდასრულთა დღის წესრიგით ცხოვრება ნაცვლად იმისა, რომ თავისუფლად შეეძლოთ ინოვაციებზე ფიქრი და პასუხისმგებლობის აღება (იხ. ჰარტის კიბე, ნახ. 2). ისინი გრძნობენ, რომ ზოგიერთი საკითხი მათთვის დახურულია. ერთი მათგანის თქმით, „არის საკითხები, რომლებიც გვინდა განვიხილოთ, მაგრამ ამას არ ვაკეთებთ“.[75] არსებობს „უსაფრთხო“ საკითხებზე მიკედლების ტენდენცია, როგორებიცაა, სკოლის ფიზიკური გარემოს გაუმჯობესება ან გაჭირვებულთა დახმარება, იმ საკითხებთან შეჭიდების ნაცვლად, რომლებიც რეალურად ჩნდება საგანმანათლებლო პროცესში. სამოქალაქო განათლების მასწავლებლის თქმით, „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე პროექტის კეთებას არავითარი გვერდითი ეფექტი არ აქვს სკოლაზე, მაგრამ პროექტი სკოლის წესების შესახებ რომ ყოფილიყო, შესაძლოა ადმინისტრაცია არ ყოფილიყო ამისთვის მზად“.[76] ანალოგიურად, მოსწავლეებს უბიძგებენ საზოგადოებრივი პრობლემების გადაჭრის გზების მოძიებისკენ, მაგრამ მათგან არ მოელიან ამ პრობლემების გამომწვევ მიზეზებში ჩაღრმავებას. უნივერსიტეტის ერთ-ერთმა პროფესორმა ისაუბრა იმაზე, რომ „მნიშვნელოვანია პროექტის განუყოფელ ნაწილად იქცეს მიზეზებისა და სისტემების კვლევა და არა მხოლოდ გადაწყვეტის გზებისა“.[77]

დაბოლოს, როგორც მოსწავლეთა თვითმმართველობის შიდა სასკოლო აქტივობების შემთხვევაში, კლასგარეშე აქტივობების ეფექტურობა ხშირად დამოკიდებულია ზრდასრულთა მხარდაჭერაზე. როგორც ერთ-ერთმა მოსწავლემ თქვა, „კლუბებს სჭირდება დახმარება“[78]. პრობლემას წარმოადგენს ამ მხარდაჭერისთვის წყაროების მოძიება. ის ყველაფერი, რაც ამჟამად ხდება, მეტწილად დამოკიდებულია მასწავლებელთა კეთილ ნებაზე. ამგვარი სამუშაო ხშირად არც ფინანსურად ჯილდოვდება ქართულ საჯარო სკოლებში და არც კარიერული თვალსაზრისით. ხშირად, მასწავლებლებს ამის განხორციელება უწევთ გადატვირთული სასკოლო განრიგის პირობებში, დამატებითი კერძო რეპეტიტორობის სახით.

განვითარების მიმართულებები

- მეტი მოსწავლის ჩართვა კლასგარეშე პროექტებსა და აქტივობებში, მათ შორის, მათი, ვინც ვერ რჩება გაკვეთილების შემდეგ;
- კლასგარეშე აქტივობებში მონაწილეობის უფრო მაღალი დონისა და კრიტიკული ფორმების ხელშეწყობა;
- პროექტებთან დაკავშირებით, ურთიერთობის დამყარება შესაბამის საზოგადოებრივ, საჯარო თუ კერძო სექტორისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან;
- მთელ რიგ დაბალანსებულ კლასგარეშე აქტივობებზე წვდომის უზრუნველყოფა მოსწავლეებისთვის;
- მოსწავლეების დახმარება, იგრძნონ, რომ შესწევთ უნარი არსებითი ცვლილებებისათვის;
- კეთილგანწყობილ ზრდასრულთა მხრიდან მოსწავლეთა თვითმმართველობის ყველა ორგანოს მხარდაჭერის უზრუნველყოფა;
- კლასგარეშე აქტივობებში მონაწილეობის ციფრული ფორმების მეტი გამოყენება.

[75] ონლაინ ფოკუს ჯგუფი, 2022 წლის 28 ივლისი.

[76] ინტერვიუ, 2022 წლის 27 ივლისი.

[77] ინტერვიუ, 2022 წლის 28 ივლისი.

[78] ონლაინ ფოკუს ჯგუფი, 2022 წლის 28 ივლისი.

4.8.7. რეკომენდაციები

რეკომენდაცია 1:

მოსწავლეების მხარდაჭერა, თანატოლებს უბიძგონ მონაწილეობის მიღებისკენ, მაგ., მოსაზრებების მოკვლევა, კენჭისყრის ორგანიზება. მოსწავლეები ჩაერთონ მოსწავლეზე ან თემთან დაკავშირებულ სასწავლო პროექტებში, მაგ., სასწავლო პროექტი კიბერბულინგზე.

რეკომენდაცია 2:

სკოლის ლიდერების, მასწავლებლებისა და მოსწავლეების სწავლება მონაწილეობის დონეებისა (ჰარტის კიბე) და მათი სხვადასხვა სარგებლის შესახებ, მაგ., გზამკვლევი თანამშრომლების მონაწილეობისათვის, ბროშურა მოსწავლეთა ჯგუფებისთვის.

რეკომენდაცია 3:

მოსწავლეთა თვითმმართველობის ორგანოებს გაეწიოთ დახმარება შესაბამის საზოგადოებრივ, საჯარო და კერძო სექტორთან და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან კავშირის დასამყარებლად, მაგ., მოსწავლეთა გზამკვლევი სხვა ორგანიზაციებთან მუშაობის შესახებ.

რეკომენდაცია 4:

მოხდეს სკოლის კლასგარეშე აქტივობების მართვის გზების მოძიება მთელ რიგ დაბალანსებულ აქტივობებზე მოსწავლეთა ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, მაგ., მოსწავლეზე, სკოლაზე და საზოგადოებაზე ორიენტირებული აქტივობების ბალანსი.

რეკომენდაცია 5:

აქტივობები დაუკავშირდეს სკოლაში და სკოლის მიღმა მყოფ შესაბამის გავლენიან პირებს, მაგ., მოსწავლეთა თვითმმართველობას, პედაგოგთა საბჭოებს, სკოლის ხელმძღვანელობას, ადგილობრივ მთავრობას, არასამთავრობო ორგანიზაციებს, სოციალური მედიის ინფლუენსერებს და ა.შ.

რეკომენდაცია 6:

მოხდეს გზების მოძიება მოსწავლეთა წარმომადგენლების მიერ ექსპერტულ რჩევასა და ტექნიკურ მხარდაჭერაზე რეგულარული წვდომის უზრუნველსაყოფად გზების მოძიება, მაგ., წახალისების ფორმები მოხალისე მასწავლებელთათვის, ამის პასუხისმგებლობის სახით გაწერა სამოქალაქო განათლების წამყვანი მასწავლებელის სტანდარტში, სკოლის ადმინისტრაციის ჩართვა.

რეკომენდაცია 7:

მოხდეს მოსწავლეთა ხელშეწყობა ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების ისეთი გზების მოძიებაში, რომლებიც გაზრდის მათ მონაწილეობას კლასგარეშე აქტივობებში, მაგ., სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ჯგუფთან ურთიერთობის დამყარება, სკოლის ვებგვერდის გამოყენება, რეგიონის სკოლებისთვის ონლაინპორტალის შექმნა და ა.შ.

4.9. პროფესიული განვითარება და რესურსები

პროფესიული განვითარება მნიშვნელოვან როლს ასრულებს სკოლებში გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოსწავლეთა მონაწილეობისა და იმ შესაძლებლობების განვითარებაში, რასაც ის აძლევს მოსწავლესა და თავად სკოლას.

არსებობს რამდენიმე სხვადასხვა პროფესიული საჭიროება, რომელზე რეაგირებაც მნიშვნელოვანია. დირექტორებთან და ადმინისტრატორებთან დაკავშირებული სავარაუდო საკითხებია:

- მოსწავლეთა მონაწილეობის კონცეფცია და მისი სარგებლიანობა;
- მონაწილეობის სხვადასხვა დონე;
- მოსწავლეთა მონაწილეობის მიმართ საერთო სასკოლო მიდგომის იდეა, მისი სხვადასხვა ელემენტი და მათი კავშირი ერთმანეთთან;
- ლიდერობის როლი, ლიდერობის სტილი და სტრატეგიები;
- სასკოლო კლიმატის გავლენა;
- მოსწავლეთა მონაწილეობის მიმართ არსებული დაბრკოლებები და მათი გადალახვის გზები;
- პროფესიული საჭიროებების განსაზღვრა;
- მონიტორინგი და შეფასება.

მასწავლებლებისთვის, სავარაუდოდ, ეს იქნება:

- მოსწავლეთა მონაწილეობის კონცეფცია და მისი სარგებლიანობა;
- მონაწილეობის სხვადასხვა დონე;
- მოსწავლეთა მონაწილეობის ხელშეწყობის სტრატეგიები საკლასო ოთახში;
- სხვა საგნებთან კავშირების დამყარება.

სამოქალაქო განათლების მასწავლებელთათვის არსებობს დამატებითი საჭიროებები:

- დისკუსიის უნარ-ჩვევისა და აქტიური მონაწილეობის უნარების სწავლება;
- მოქალაქეთა მონაწილეობისა და დემოკრატიის შესახებ სწავლება;
- მოსწავლეთა მონაწილეობისა და კლასგარეშე აქტივობების მხარდაჭერა;
- სკოლის ადმინისტრაციასთან და საზოგადოებრივ, საჯარო სექტორის და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან კავშირის დამყარება.

იმის გათვალისწინებით, რომ ზოგიერთი ეს მიმართულება დამახასიათებელია კონკრეტული როლისთვის ან სიტუაციისთვის, გონივრული იქნება იმ ინიციატივების მოაზრება სატრენინგოდ, რომლებიც ამ კონკრეტულ საჭიროებებს უკავშირდება, როგორიცაა, მაგ., კლასის მასწავლებლის საჭიროებები სკოლის ხელმძღვანელობის საჭიროებების მიმართ, ან STEM საგნების მასწავლებელთა საჭიროებები სოციალური მეცნიერებების მასწავლებელთა საჭიროებების მიმართ, მაგრამ ვინაიდან მონაწილეობის არსი მდგომარეობს ერთობლივი გადაწყვეტილების მიღებაში, მნიშვნელოვანი იქნება, ასევე, საერთო სასკოლო მიდგომა პროფესიული განვითარების მიმართ. ეს მოიცავს მთლიანად სკოლას, ან ჯგუფებს სკოლის შიგნით, რომლებიც იკრიბებიან იმაზე სამუშაოდ, თუ როგორ გახადონ თავიანთი სკოლა უფრო რეაგირებადი მოსწავლეთა საჭიროებებისა და საფიქრალის მიმართ. ეს მოითხოვს პროფესიული განვითარების „მოქმედებებზე დაფუძნებულ" პრინციპსა და „პრაქტიკის საზოგადოების" იდეას.

წარმატებული პროფესიული განვითარების ერთ-ერთი მთავარი ელემენტია ტრენინგის ინიციატივების მისადაგება სამიზნე ჯგუფის გაცნობიერებულ საჭიროებებთან. ამდენად, მაგალითად, მოსწავლეთა მონაწილეობის შესახებ ტრენინგები ყველაზე მეტად გაამართლებს სკოლის ლიდერებში, თუ ისინი ამას შეხედავენ, როგორც სკოლის პრობლემების, მაგალითად, ბულინგის, გაცდენების, დაბალი მოტივაციისა და მიღწევების და ა.შ., პრობლემის გადაჭრაში დახმარების საშუალებას. ასევე, იმ მასწავლებლებისთვის, რომლებიც ამას ხედავენ, როგორც თავიანთი საგნის უფრო ეფექტურად სწავლებაში დახმარების საშუალებას.

4.9.1. კანონმდებლობა

საქართველოს კანონში ზოგადი განათლების შესახებ მასწავლებლის პროფესიული განვითარება ექცევა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის იურისდიქციაში. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი პასუხისმგებელია, სხვა

საკითხებთან ერთად, შემდეგზე: მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის შემუშავებაზე; მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსის შემუშავებაზე, მასწავლებელთა ასოციაციებსა და ორგანიზაციებთან თანამშრომლობით; მასწავლებელთა საუნივერსიტეტო პროფესიული მომზადების, პროფესიული განვითარების და კარიერული წინსვლის სქემის შემუშავებაზე; და მონაწილეობს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებისა და კარიერულ წინსვლის მიმართულებით პროცესებში. მასწავლებელთა საუნივერსიტეტო პროფესიული მომზადების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა არსებობს „კვალიფიციური პერსონალის მოსამზადებლად, მასწავლებელთა კომპეტენციის ასამაღლებლად, მასწავლებლის პროფესიული განვითარების უზრუნველსაყოფად, სწავლისა და სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესების მიზნით".[79]

მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა განსაზღვრავს პროფესიული განვითარების პროცესში საჯარო სკოლების აქტიური ჩართულობის პრინციპს და მათი განვითარების საჭიროებების შეფასებას. პროფესიული განვითარება უნდა ეფუძნებოდეს მასწავლებლის საჭიროებას და მხარდაჭერას. მასწავლებლები პროფესიულად არიან პასუხისმგებელნი სკოლის ხელმძღვანელობასთან განიხილონ მათი განვითარების საჭიროება და გაიარონ ტრენინგი მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრში, ამ საჭიროებიდან გამომდინარე.[80]

4.9.2. საკითხზე მომუშავე დაინტერესებული მხარეები

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი არის მთავარი ორგანო, რომელიც აქტიურად არის ჩართული ევროპის საბჭოს დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების სარეკომენდაციო ჩარჩოს განხორციელების ხელშეწყობაში. დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების სარეკომენდაციო ჩარჩო არის ევროპის საბჭოს ახალი დოკუმენტი, რომლის მნიშვნელობა დაამტკიცეს ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოების წარმომადგენლებმა ბრიუსელში შემუშავებულ დეკლარაციაში 2016 წლის 12 აპრილს. საქართველომაც, ევროპის საბჭოს სხვა წევრ სახელმწიფოებთან ერთად, აჩვენა კარგი პრაქტიკის მაგალითი, რაც სხვა ქვეყნებს დაეხმარება როგორც მიზნების მიღწევაში, ისე პრობლემებისგან პრევენციაში.

ევროპის საბჭომ ჩამოაყალიბა პლატფორმა, Democratic Schools Network, სადაც ხდება სასკოლო პროექტების წარდგენა ამისთვის განკუთვნილ ვებგვერდზე, ასე რომ განათლებისათასობით პრაქტიკოსს მთელ ევროპაში შეუძლია შეიტყოს მათ შესახებ და შეუერთდეს ქსელს. ქსელის ექვსი თემიდან ერთ-ერთია ბავშვებისა და მოსწავლეების ხმის გაგონების უზრუნველყოფა. 19 ქართული საჯარო სკოლა უკვე შეუერთდა ამ ქსელს.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრსა და ვერგელანდის ევროპულ ცენტრს შორის ხელი მოეწერა ურთიერთგაგების მემორანდუმს, რომლის მიზანს წარმოადგენს სკოლებში დემოკრატიული კულტურის განვითარება.

2019 წლის ოქტომბერში მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა, ვერგელანდის ევროპულ ცენტრთან ერთად და ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს დახმარებით, უმასპინძლა საერთაშორისო კონფერენციას დემოკრატიული პრაქტიკა სკოლაში. კონფერენცია ეძღვნებოდა საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებასა და მომავალი ერთობლივი პროექტების ინიციირებას.

[79] საქართველოს მთავრობის დადგენილება № 390, დანართი: მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა.

[80] საქართველოს მთავრობის დადგენილება № 241.

ტრენინგმოდული დემოკრატიული კულტურის კომპეტენციები სკოლაში შემუშავდა და დამტკიცდა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ. ის მიზნად ისახავს დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების ცოდნის სრულყოფას.

საქართველოში ხელმისაწვდომია ევროპის საბჭოს ქვემოთ ჩამოთვლილი გამოცემები:

- გენდერული მეინსტრიმინგი განათლებაში;
- „რელიგიებისა და არარელიგიური რწმენების განზომილება ინტერკულტურულ განათლებაში“;
- „საგზაო ნიშნები – ინტერკულტურული განათლების ფარგლებში რელიგიებისა და არარელიგიური ხედვების შესახებ სწავლების პოლიტიკა და პრაქტიკა“;
- „სწავლება დემოკრატიული განათლებისთვის და ადამიანის უფლებათა შესახებ – სასწავლო პროგრამების შემუშავება და გადასინჯვა“;
- „გადაწყვეტილების მიღებაზე პასუხისმგებელ პირთა სტრატეგიული მხარდაჭერა – დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა სწავლების პოლიტიკისი ნსტრუმენტი“;
- ევროპის საბჭოს ქარტია – დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა სწავლების შესახებ;
- ცხოვრება დემოკრატიულ საზოგადოებაში (ექვსტომეული);
- დემოკრატიული კულტურის კომპეტენციები;
- დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების სარეკომენდაციო ჩარჩო.

სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმსაც აქვს, ასევე, ამ საკითხებზე მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება. ის მხარს უჭერს სამოქალაქო განათლების მასწავლებლებს და ქმნის საგანმანათლებლო რესურსებს, რომლებიც პედაგოგებს ეხმარება მათ საკლასო ოთახებში განსხვავებული მიდგომებისა და აქტივობების დანერგვაში მოქალაქეობრივი განათლების თვალსაზრისით.

4.9.3. დირექტორთა ხედვები და დამოკიდებულებები

გამოკითხულ სკოლის დირექტორებს ესმით, რომ პროფესიული განვითარება მნიშვნელოვანია სკოლაში დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების დასანერგად. ის რელევანტურია დაინტერესებული მხარეების სხვადასხვა ჯგუფისთვის – მასწავლებლებისთვის, დირექტორებისთვის და მოსწავლეებისთვის. ისინი ამბობენ, რომ ტრენინგი უნდა იყოს ძალიან კონკრეტული და დეტალური, რათა მასწავლებლებმა ზუსტად იცოდნენ, თუ როგორ გამოიყენონ ის საკლასო ოთახში.

ამონარიდი ციტატები ფოკუს ჯგუფებიდან:

→ *სამუშაო ტრენინგები, შეხვედრები კარგი იქნებოდა. როგორც მოსწავლეებთან, ისე მასწავლებლებთანაც.* [სკოლის დირექტორი]

→ *მაშინაც კი, თუ მასწავლებლები და მოსწავლეები ერთდროულად დაესწრებიან, მოსწავლე მას სხვაგვარად აღიქვამს, რომ ის თავს თანასწორად გრძნობს, რადგან იმავე ტრენინგს გადის მასწავლებლის გვერდით.* [სკოლის დირექტორი]

→ *ტრენინგი ძალიან დეტალური უნდა იყოს, მან პირდაპირ უნდა აჩვენოს მასწავლებელს, თუ რატომ უნდა დახარჯონ ამდენი ენერგია, ამდენი შრომა და ამდენი შემოქმედებითობა, რატომ უნდა გამოიყენონ ის.* [სკოლის დირექტორი]

4.9.4. მასწავლებელთა ხედვები და დამოკიდებულებები

გამოკითხული მასწავლებლები ამბობენ, რომ ისურვებდნენ უფასო მოსამზადებელ კურსებში მონაწილეობას, რომლებიც მათ დაეხმარებოდა თეორიული ცოდნის პრაქტიკულად გარდაქმნაში. ისინი ამბობენ, რომ, მიუხედავად იმისა, რომ მხარდამჭერი დოკუმენტაცია კარგად არის დაწერილი, მათ იმ კომპეტენციების ნაკლებობა აქვთ, რაც ამ დოკუმენტაციის სკოლის დონეზე ინტერპრეტაციისათვის არის საჭირო. ისურვებდნენ, მათთვის მიეცათ კონკრეტული ინსტრუმენტები ტრენინგისას, რასაც უშუალოდ გამოიყენებდნენ სკოლაში და კლასში.

ისინი, ასევე, ისურვებდნენ პრაქტიკული რჩევის მიღებას იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა შეძლონ მშობელთა მოტივირება და მათი ჩართვა სასკოლო საზოგადოებაში.

მასწავლებლებმა წარმოადგინეს რამდენიმე საკითხი ტრენინგისათვის, როგორებიცაა:

- თანამშრომლობის მნიშვნელობა;
- აქტიური სამოქალაქო მონაწილეობა;
- გენდერული თანასწორობა;
- უფლებების აღიარება;
- პატივისცემა, ანტიბულინგი;
- შემწყნარებლობა;
- ეფექტური კომუნიკაცია;
- ძალადობის აღკვეთა.

ამონარიდი ციტატები ფოკუს ჯგუფებიდან:

→ *ჩვენ გვაქვს უამრავი სახის დოკუმენტაცია, გვაქვს უამრავი საშუალება და ბერკეტი, ვიცით უამრავი მექანიზმი საგანმანათლებლო კურიკულუმში, რა უნდა ჩავრთოთ ფორმალურ და არაფორმალურ განათლებაში, როგორ, რა გზით, ვიცით ყველაფერი, მაგრამ მაქვს კომპეტენციის ნაკლებობა, პირადად მე ასეთ სიტუაციაში ვარ.* [სკოლის მასწავლებელი]

→ *პირველ რიგში, მასწავლებლებს უნდა ჩაუტარდეთ ტრენინგი, უფასო ტრენინგი და არა ფასიანი... უნდა სცადო ეს სკოლაში, კლასში, ნახო თუ მუშაობს... მინდა ვთქვა, რომ ჩვენ ძალიან დიდი პასუხისმგებლობა გვაკისრია.* [სკოლის მასწავლებელი]

→ *ეს მართლა კარგია, ეს კათედრები, სადაც მუშაობ და კოლეგები უზიარებენ ერთმანეთს ცოდნას, კვლევები, ტრენინგები, ამჯერად უკვე შენიც, დაბოლოს, ვიტყვი რა მივიღეთ ამ შეხვედრისგან და ასეთი კარგი ტრენინგებისგან დემოკრატიული ჩართულობის შესახებ, რომლებიც ჩატარდა, შემწყნარებლობის შესახებაც კი. ბავშვებს ეს სწავლაზე მეტად მოსწონთ.* [სკოლის მასწავლებელი]

→ *ჩართულობას რაც შეეხება. როგორ უნდა მოვიქცეთ, როგორ მოვიზიდოთ მშობლები, კარგი იქნებოდა, ტრენინგებს მშობლებისთვისაც თუ ჩავატარებდით.* [სკოლის მასწავლებელი]

→ *ზოგჯერ მოდიან უფროსკლასელების მშობლები და, როდესაც მათ ვუსმენ, ვფიქრობ, რომ ჯერ ასეთ მშობელს უნდა ვასწავლოთ.* [სკოლის მასწავლებელი]

→ *ტრენინგისთვის მნიშვნელოვანი საკითხებია: თანასწორობის მნიშვნელობა, აქტიური სამოქალაქო მონაწილეობა, გენდერული თანასწორობა, უფლებების აღიარება, პატივისცემა, ბულინგი, შემწყნარებლობა, ეფექტური კომუნიკაცია, ძალადობის აღკვეთა.* [სკოლის მასწავლებელი]

→ *ჩვენთან ერთად ბავშვებიც დაესწრნენ ტრენინგებს დებატების სკოლაში და მერე ჩვენ წავედით სხვა სკოლაში და ისინიც ჩავრთეთ. შესანიშნავი იქნებოდა, თუ ვინმე სხვა მოვიდოდა და ჩაატარებდა ამგვარ ინტერაქციულ ტრენინგებს ბავშვებისთვის.* [სკოლის მასწავლებელი]

→ *მოსწავლისთვის კონკრეტული დემოკრატიული ღირებულების და მისი შედეგების სწავლება, ვიდრე ნაჩვენები არ იქნება, თუ რა სარგებელს მომცემს ეს მე, მასწავლებელს, ჩემს სასკოლო სივრცეში ამ ღირებულების სწავლებისას, მანამდე არ იქნება არავითარი მოტივაცია.* [სკოლის მასწავლებელი]

4.9.5. მოსწავლეთა ხედვები და დამოკიდებულებები

გამოკითხული მოსწავლეები ამბობენ, რომ სურთ, ჰქონდეთ ტრენინგები ისეთ საკითხებში, რომლებიც არ შედის კურიკულუმში, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მათთვის მნიშვნელოვანია, როგორებიცაა, მაგ., ტრენინგები კომუნიკაციაში, დებატებსა და პროექტების წერის უნარ-ჩ-ვევებში.

ამონარიდი ციტატები ფოკუს ჯგუფებიდან:

→ *გვსურს მეტი ინფორმაცია და ტრენინგი ისეთ საკითხებზე, რომლებიც არ განიხილება კლასებში.* [სკოლის მოსწავლე]

→ *კარგი იქნებოდა, მეტი ტრენინგები გვქონდეს დებატების წარმოებაზე, პროექტის წერაზე.* [სკოლის მოსწავლე]

4.9.6. დისტანციური პროფესიული განვითარება

გამოითქვა მოსაზრებები, რომ სამიზნე ჯგუფებისათვის ჩატარებულიყო ტრენინგი დისტანციურ ფორმატშიც. ონლაინგადამზადება, მოქნილობის თვალსაზრისით, სარგებლის მომტანი იქნებოდა ბევრი მასწავლებლისთვის, განსაკუთრებით იმ მასწავლებლისთვის, რომლებსაც ნაკლები დრო რჩებათ სასკოლო საზოგადოებაში ჩართულობისათვის.

ამონარიდი ციტატები ფოკუს ჯგუფებიდან:

→ *პანდემიის დროს, მაგალითად, მე ჩავატარე ონლაინ შეხვედრა მშობლებთან სწავლებისა და განვითარების თეორიების საკითხზე პოპულარული ენით, რათა ყველასთვის გასაგები ყოფილიყო. თხუთმეტივე თეორია და მე ავუხსენი მშობლებს რა არის ეს თეორია, რატომ ვიყენებთ მას კლასში და როგორ ვიყენებთ მას, და ბევრმა მშობელმა განსხვავებულად დაინახა სწავლის პროცესი.* [სკოლის მასწავლებელი]

4.9.7. მთავარი გამოწვევები

ბოლო წლებში ვნახეთ პროფესიული განვითარების რამდენიმე ეროვნული პროგრამა და ინიციატივა, რამაც დადებითად იმოქმედა გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოსწავლეთა მონაწილეობის განვითარებაზე ქართულ სკოლებში. მაგალითად, ადგილი ჰქონდა მნიშვნელოვან თანამშრომლობას „პროექტ ჰარმონია"-სთან და ვერგელანდის ევროპულ ცენტრთან ევროპის საბჭოს დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების სარეკომენდაციო ჩარჩოს განხორციელების ხელშესაწყობად. ვერგელანდის ევროპული ცენტრის „სკო-

ლები დემოკრატიისათვის“ პროგრამა მიზნად ისახავს სამუშაო ადგილზევე მყოფი ტრენერების ჯგუფის შექმნას უკრაინაში, საქართველოსა და მოლდოვაში, რომლებიც იქნებიან სარეკომენდაციო ჩარჩოს სკოლებში დანერგვის ექსპერტები. „პროექტი ჰარმონია“ უკვე რამდენიმე წელია ჩართულია სამოქალაქო განათლების მასწავლებლების პროფესიულ განვითარებაში. მისი მომავალის თაობის პროგრამა, რომელიც ორგანიზებულია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრთან, სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმსა და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, წარიმართა თითქმის 500 სკოლაში და მოამზადა მასწავლებლები და სკოლის დირექტორები.[81] პროგრამა ყურადღებას ამახვილებს პროექტზე დაფუძნებულ სწავლებაზე სამოქალაქო განათლების გაკვეთილებსა და კლუბებში.

ამ პროგრამებმა შედეგად გამოიღო ბევრი ახალი და ინოვაციური პრაქტიკა ქართულ სკოლებში და რამდენიმე ქართულმა სკოლამ შეიტანა განაცხადი ევროპის საბჭოს დემოკრატიული სკოლების ქსელის წევრობაზე. თუმცა, ზოგადად, მათი სამიზნე არ ყოფილა მოსწავლეთა მონაწილეობა, როგორც ასეთი, არამედ ირიბად, სამოქალაქო და მოქალაქეობის სწავლების უფრო ფართო ასპექტის ფარგლებში, როგორებიცაა, სამოქალაქო განათლება და დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების სარეკომენდაციო ჩარჩო. როგორც აღვნიშნეთ, მოსწავლეთა მონაწილეობა არის არამარტო სასარგებლო ინსტრუმენტი მნიშვნელოვანი პერსონალური და სოციალური კომპეტენციების სწავლებისათვის, არამედ ის, ასევე, გახლავთ მოსწავლის უფლება და, როგორც ასეთი, შესაბამისობაშია სასკოლო აქტივობების მთელ გამასთან.

მოსწავლის მონაწილეობის მიმართ საერთო სასკოლო მიდგომის ჩამოყალიბება, შეუძლებელია, თავისი არსით, ვერტიკალური პროცესი იყოს. ის უნდა იყოს თანამშრომლობითი. ამიტომაც, მას თან უნდა ახლდეს საერთო სასკოლო მიდგომა პროფესიული განვითარებისათვის. ამდენად არსებობს შესაძლებლობები, რომლებიც საერთო სასკოლო ინიციატივებთან მოსწავლეთა მონაწილეობის განვითარებისათვის უნდა გვქონდეს, რაც, თავის მხრივ, დაუკავშირდება დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების სარეკომენდაციო ჩარჩოს პოპულარიზაციას. მაგ., სადაც სკოლები ირჩევენ კომპეტენციებს სამოქმედოდ, როგორც თემებს სკოლის განვითარებისთვის მთელი სემესტრის განმავლობაში. მოსწავლეთა მონაწილეობა შეიძლება ჩაითვალოს ამ კომპეტენციების განვითარების ერთ-ერთ გზად.

არსებობს მოსწავლეთა მონაწილეობის სხვა ასპექტები, რომლებიც ასე ფართოდ არ ფიგურირებს ტრენინგებში. უპირველეს ყოვლისა, ეს არის მოსწავლეთა მონაწილეობის პოტენციალი სკოლაში პრობლემური საკითხების გადაჭრაში. ერთი მასწავლებლის წინადადებით: „ტრენინგისთვის მნიშვნელოვანი საკითხებია: თანასწორობის მნიშვნელობა, აქტიური სამოქალაქო მონაწილეობა, გენდერული თანასწორობა, უფლებების აღიარება, პატივისცემა, ბულინგი, შემწყნარებლობა, ეფექტური კომუნიკაცია, ძალადობის აღკვეთა“.[82]

ასევე, ტრენინგი მოსწავლეთა მონაწილეობის გამოყენებაში, რომელიც ეხება თავად საგანმანათლებლო პროცესს. როგორც უკვე აღინიშნა, მოსწავლეთა მონაწილეობა ხშირად შემოიფარგლება სკოლის ფიზიკურ გარემოსთან დაკავშირებული ან „უფრო უსაფრთხო“ საკითხებით ადგილობრივ თემში. ამის საპირისპიროდ, გაცილებით ნაკლები იყო ჩართულობა სწავლასა და სწავლებასთან, შეფასებასთან ან კურიკულუმთან დაკავშირებულ საკითხებში, როგორებიცაა, მაგ., საშინაო დავალება, სახელმძღვანელოები, საკითხები განხილვისათვის, ჯგუფური მუშაობა, დისტანციური სწავლება, რესურსები და ა.შ.

[81] http://gtarchive.georgiatoday.ge/news/6634/Enhancing-Civic-Education-in-Georgiawith-the-Future-Generation-Program, 2017

[82] მოსწავლეთა ფოკუს ჯგუფი

და, ამასთანავე, ტრენინგები სწავლების სტრატეგიებში მოსწავლეთა მონაწილეობის შესახებ, რომლებსაც უშუალო გამოყენება აქვს კლასში. მასწავლებლები, რომლებმაც გაიარეს მომზადების პროგრამა, გამოხატავენ იმედგაცრუებას იმასთან დაკავშირებით, რომ მითითებები და ტრენინგი ხშირად პრინციპების დონეზე უფრო მუშაობს, ვიდრე კონკრეტული მოქმედებებისა. სწავლების სტრატეგიების კრებული, რომელთა გამოყენება ყველა საგანში შეიძლება, ან კონკრეტულ საგანზეა გათვლილი, განსაკუთრებულად სასარგებლო იქნებოდა. ერთ-ერთი მასწავლებლის თქმით, „ჩვენ გვაქვს უამრავი სახის დოკუმენტაცია, გვაქვს უამრავი საშუალება და ბერკეტი, ვიცით უამრავი მექანიზმი საგანმანათლებლო კურიკულუმში, რა უნდა ჩავრთოთ ფორმალურ და არაფორმალურ განათლებაში, როგორ, რა გზით, ვიცით ყველაფერი, მაგრამ მაქვს კომპეტენციის ნაკლებობა, პირადად მე ასეთ სიტუაციაში ვარ“.[83]

ბოლოს, ტრენინგი მოსწავლეთა მონაწილეობის ციფრულ განზომილებაში. ინტერნეტ და ციფრული მედიის ფართოდ გავრცელებულმა ხელმისაწვდომობამ შეცვალა ახალგაზრდების სამყაროს ბუნება დღესდღეობით. ის პრობლემები, რომლებსაც ისინი ფიზიკურ სამყაროში აწყდებიან, ხშირად გადაიფარება, ან მათთან ერთიანდება ონლაინ სამყაროს პრობლემები, მაგ., კიბერბულინგი, გარეგნობის გამო დაცინვა, მიზოგინია, სიძულვილის ენით საუბარი და ა.შ. ამავდროულად, ციფრული ტექნოლოგია ახალგაზრდებს აძლევს ამ პრობლემების გადაჭრის ბევრ ალტერნატიულ გზას, მაგ., ონლაინფორუმების, ვიდეოს გაზიარების, სოციალური მედიის გვერდების, ციფრული საზოგადოების მშენებლობის საშუალებით. მიუხედავად ამისა, ციფრული მედიის როლი მოსწავლის მონაწილეობაში, ქართულ სკოლებში მეტწილად შეუსწავლელი რჩება.

გასავითარებელი მიმართულებები

- სკოლის დირექტორთა ხელშეწყობა მოსწავლეთა მონაწილეობასთან დაკავშირებით, საერთო სასკოლო მიდგომის დანერგვაში;
- მოსწავლეთა მონაწილეობის საკითხებში სკოლის ბაზაზე პროფესიული განვითარების მიდგომების ხელშეწყობა;
- მოსწავლეთა მონაწილეობის გამოყენება სკოლის პრობლემების გადასაჭრელად;
- მოსწავლეთათვის საგანმანათლებლო პროცესში ჩართვის მეტი შესაძლებლობის შექმნა;
- მასწავლებელთა დახმარება მოსწავლეთა მონაწილეობასთან დაკავშირებით ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მოთხოვნების საკლასო პრაქტიკაში გადმოტანაში;
- ციფრული მედიასაშუალებების გამოყენება მოსწავლეთა მონაწილეობის გასაზრდელად.

4.9.8. რეკომენდაციები

რეკომენდაცია 1:

შემუშავდეს და ჩატარდეს ტრენინგი დირექტორებისათვის მოსწავლეთა მონაწილეობასთან მიმართებით, საერთო სასკოლო მიდგომის დანერგვის შესახებ, მაგ., ძირითადი ელემენტები, სარგებელი, დანერგვის პროცესი, მართვა, მონიტორინგი და შეფასება.

რეკომენდაცია 2:

შემუშავდეს და ჩატარდეს ერთიანი სასკოლო ტრენინგმოდელი მოსწავლეთა მონაწილეობისათვის, მაგ., ტრენინგის პროცესის ნაბიჯ-ნაბიჯ გზამკვლევი სკოლებისათვის.

[83] იქვე.

რეკომენდაცია 3:

შემუშავდეს და დაინერგოს სასკოლო სახელმძღვანელო პრობლემურ ქცევასთან გასამკლავებლად მოსწავლეთა მონაწილეობის გამოყენების შესახებ, მაგ., კონკრეტული პრობლემაზე მოსწავლეთა მიერ მომზადებული სიტუაციური ანალიზის მასალა.

რეკომენდაცია 4:

შეგროვდეს პრაქტიკული სტრატეგიები საგანმანათლებლო პროცესში მოსწავლეთა ჩასართავად, მაგ., კურიკულუმის შემუშავებასა და განვითარებასთან, სკოლის პოლიტიკასთან და კლასში სწავლასა და სწავლებასთან კავშირში.

რეკომენდაცია 5:

მასწავლებელთა დასახმარებლად, რომ შეძლონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მოთხოვნების დანერგვა, შემუშავდეს და გავრცელდეს მოსწავლეთა მონაწილეობის საკლასო სტრატეგიები, მაგ., დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების სარეკომენდაციო ჩარჩო, საგნობრივი კომპეტენციები.

რეკომენდაცია 6:

შემუშავდეს და ჩატარდეს ტრენინგი მასწავლებელთათვის სკოლის ცხოვრებაში მოსწავლეთა მონაწილეობის გასაზრდელად ციფრული მედიასაშუალებების გამოყენების შესახებ, მაგ., საკლასო სამუშაოებში, მოსწავლეთა თვითმმართველობებში, კლასგარეშე პროექტებში, დისტანციურ სწავლებაში.

5. SWOT ანალიზი: სკოლის მოსწავლეთა ჩართვა დემოკრატიულ პროცესებში სკოლებში

S
ძლიერი მხარეები

- კანონით გათვალისწინებული მოსწავლეთა თვითმმართველობა
- დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების ინტეგრირება ეროვნულ სასწავლო გეგმაში
- სამოქალაქო განათლების, როგორც ცალკე სასწავლო საგნის შექმნა, ე.ი. რომელიც ისწავლება საგნის ექსპერტული ცოდნის მქონე მასწავლებლების მიერ
- სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმის ფორმირება
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს/„პროექტი ჰარმონიას" ტრენინგები სამოქალაქო განათლების მასწავლებელთათვის და სამოქალაქო კლუბებისთვის
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს/ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ტრენინგები მასწავლებელთათვის დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების შესახებ
- ევროპის საბჭოს სასწავლო და სატრენინგო რესურსები, თარგმნილი ქართულ ენაზე

W
სუსტი მხარეები

- სკოლის დემოკრატიულ მმართველობაში სკოლის დირექტორთა ტრენინგის სიმწირე
- სამოქალაქო განათლებაში ტრენინგი იმ მასწავლებელთათვის, რომლებიც არ არიან მომართული კონკრეტულად მოსწავლეთა მონაწილეობაზე
- მასწავლებლებს უჭირთ დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების საკუთარ საგანთან დაკავშირება და ხშირად არ იყენებენ ხელმისაწვდომ რესურსებს დახმარებისთვის
- მასწავლებლები ხშირად არ იცნობენ სკოლაში და საკლასო ოთახში არსებულ შესაძლებლობებს მოსწავლეთა მონაწილეობისთვის
- მოსწავლეთა წარმომადგენლობა სკოლის სამეურვეო საბჭოზე არ არის ძალიან ეფექტური
- ბევრი სკოლა არ ასრულებს საკუთარ მოვალეობას, უზრუნველყოს მოსწავლეთა თვითმმართველობა
- ხშირად მოსწავლეთა მხოლოდ უმცირესობაა ჩართული მოსწავლეთა თვითმმართველობის აქტივობებში
- მოსწავლეთა სამოქმედო პროექტები ხშირად დაბალი დონის და არაკრიტიკულია
- სკოლაში მოსწავლეთა მონაწილეობის აქტივობების მცირე კოორდინაცია
- მოსწავლეთა თვითმმართველობის მიმართ კონვენციური მიდგომა, რაც ყოველთვის არ შეესაბამება სოფლის სკოლებს
- მოსწავლეების მიერ სოციალური მედიის მოხმარების სამოქმედო პროექტებში ჩართვის შესაძლებლობა არ არის გამოყენებული

O **შესაძლებლობები**	• პროგრესული სკოლის დირექტორების ახალი თაობა, რომლებსაც შეუძლია სხვების მხარდაჭერა და მენტორინგი • სამოქალაქო განათლების აქტიური კლუბები და სხვა კლუბები, სადაც შეიძლება გამოცდილების გაზიარება • სამოქალაქო განათლების მასწავლებლების და სხვა საგნების მასწავლებლების მიერ პროექტზე დაფუძნებული სწავლის ახალი ფორმის შემუშავება, რომელიც შეიძლება გავრცელდეს • ევროპის საბჭოს დემოკრატიული სკოლების ქსელში მეტი ქართული სკოლების ჩართვის ან ამ ქსელის ქართული ვარიანტის შექმნის შესაძლებლობა • ევროპის საბჭოს არსებული მასალებით ახალი ქართული სასწავლო/ ტრენინგ რესურსებისათვის საფუძვლის ჩაყრის შესაძლებლობა • სკოლის დირექტორის მიერ დემოკრატიული სასკოლო მმართველობის პასუხისმგებლობა შეიძლება გაიწეროს ახალი სკოლის ავტორიზაციის პროცესში • სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმს შეუძლია დაეხმაროს სამოქალაქო განათლების მასწავლებლებისთვის მოსწავლეთა მონაწილეობის მხარდაჭერაში განსაკუთრებული როლის შემუშავებას • საგნების თანამშრომლობის ახალი მოდელები STEM საგნებში შეიძლება მიესადაგოს სამოქალაქო განათლებას და სხვა დაკავშირებულ საგნებს • შესაძლებელია ციფრული მედიის გამოყენება მოსწავლეთა თვითმმართველობებისათვის რეგიონული ან ეროვნული პლატფორმის შესაქმნელად • მოსწავლეთა მონაწილეობა შესაძლოა გამოყენებულ იქნეს საგანმანათლებლო პროცესის გასაუმჯობესებლად სასკოლო ცხოვრებაში წარმოქმნილი პრობლემების გადასაჭრელად
T **საფრთხეები**	• ტრადიციული ვერტიკალური მიდგომის ფართო გავრცელება სკოლის ლიდერობაში • ასაკოვან მასწავლებელთა სამუშაო ძალა, რომელსაც ნაკლებად სურს ცვლილება • ბევრი მოსწავლისათვის შესაძლებლობის არქონა, დარჩეს სკოლის შემდეგ კლასგარეშე აქტივობებისათვის • მასწავლებელთა შიში, რომ მოსწავლის მონაწილეობა ძირს გამოუთხრის მათ ავტორიტეტს კლასში • ბევრ მასწავლებელს არ შეუძლია ან დრო არ აქვს, მხარი დაუჭიროს მოსწავლეთა კლასგარეშე აქტივობებს • მასწავლებლები ყოველთვის არ მიიჩნევენ, რომ მოსწავლეებს შეუძლიათ სკოლის გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის მიღება • მშობლები ხშირად ვერ ხედავენ არასამეცნიერო აქტივობების ღირებულებას • მოსწავლეთა პრობლემური ქცევა, როგორიცაა, მაგალითად, გაცდენა, ბულინგი და ძალადობა • მწირი ფიზიკური ინფრასტრუქტურა და გარემო ზოგიერთ სკოლაში • ფინანსური რესურსების ნაკლებობა სკოლაში კლასგარეშე აქტივობებისათვის

6. დაინტერესებული მხარეების რუკა



7. გასავითარებელი მიმართულებებისა და რეკომენდაციების შეჯამება

7.1. სასკოლო კლიმატი

• სკოლაში მოსწავლეებისათვის უსფრთხო გარემოს უზრუნველყოფა, რომ თავი იგრძნონ დაცულად ბულინგისგან და ფსიქოლოგიური თუ ფიზიკური ძალადობის სხვა ფორმებისგან;	*მოსწავლეთა პირადი უსაფრთხოებისა და ბულინგის საწინააღმდეგო კამპანიებში ჩართვა, მაგ., სკოლის ბულინგის საწინააღმდეგო პოლიტიკის განსაზღვრა, მოსწავლეთა თვითმმართველობის უსაფრთხოების კომიტეტის შექმნა, სასკოლო კამპანიის წარმოება კიბერბულინგზე, თანატოლებთან მედიაცია და ა.შ.*
• მოსწავლეთა დახმარება იმაში, რომ თავი იგრძნონ სასკოლო საზოგადოების უფრო ღირსეულ წევრებად, რომლებსაც საკუთარი წვლილი შეაქვთ პროცესში;	*გაეწიოს კონსულტაცია მოსწავლეებსა და მშობლებს, არსებულ სასკოლო კლიმატთან და მისი გაუმჯობესების გზებთან დაკავშირებით, მაგ., ყოველწლიური კითხვარი, ფოკუს ჯგუფები და ა.შ.*
• მშობლების სასკოლო ცხოვრებაში მეტი ჩართულობის მხარდაჭერად, მათ შორის, სკოლის ადმინისტრაციაში, საკლასო და კლასგარეშე აქტივობებში;	*მშობელთა ასოციაციის დაფუძნება: სამეურვეო საბჭოსთვის უკუკავშირის მიწოდება, საქველმოქმედო ღონისძიებების ჩატარება, აქტივობების ორგანიზება, დავალებები მოსწავლეებისთვის, საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის მიზნით, ოჯახსა და მეზობლებში; საგნობრივ კათედრასთან თანამშრომლობით , მშობელთა სიის შედგენა, რომლებსაც შეუძლიათ წვლილის შეტანა სხვადასხვა სასკოლო საგნის სწავლებაში;*
• სასკოლო პოლიტიკაში მოსწავლეთა მაღალი ჩართულობის მხარდაჭერა;	*„საჯარო სკოლის დირექტორის სტანდარტში" მოსწავლეთა მონაწილეობის პოზიტიური მხარდაჭერის კომპონენტის გაძლიერება.*

7.2. ლიდერობა

• მოსწავლეთა მონაწილეობის მეტი შესაძლებლობების შექმნის უზრუნველსაყოფად, სკოლის დირექტორთა წახალისება;	*სკოლის ყოველწლიური თვითშეფასების ფარგლებში, სკოლის დირექტორების მიერ ანგარიშის წარდგენის ვალდებულება, რომელიც მოიცავს მასწავლებლების, მოსწავლეებისა და მშობლების უკუკავშირს;*
• სკოლაში გაზიარებული ლიდერობის ფორმების ხელშეწყობა;	*სკოლის დირექტორებს მიეწოდოთ ინფორმაცია გაზიარებული ლიდერობის პრინციპებისა და მათი დანერგვის პრაქტიკული სტრატეგიების შესახებ, მაგ., მოსწავლეებისათვის კონსულტაციის გაწევა სკოლის მართვის შესახებ;*
• მოსწავლის გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობასთან მიმართებით, საერთო სასკოლო მიდგომების შემუშავება და დანერგვა;	*სკოლის დირექტორებს მიეწოდოთ ინფორმაცია საერთო სასკოლო მიდგომის კონცეფციისა და მისი დანერგვის შესახებ, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლის ხმას, მაგ., მეთოდოლოგიური გზამკვლევები, სიტუაციური ანალიზები, ტრენინგები;*
• სკოლის დირექტორთა მოტივირება, შექმნან უფრო აქტიური სკოლის სამეურვეო საბჭოები და მოსწავლეთა თვითმმართველობები;	*შეიქმნას ახალი მექანიზმები სკოლის ლიდერებს, სკოლის სამეურვეო საბჭოსა და მოსწავლეთა თვითმმართველობებს შორის რეგულარული კომუნიკაციის უზრუნველსაყოფად, მაგ., შეხვედრები მოსწავლეებთან დაკავშირებულ საკითხებზე. დირექტორის, სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარისა და მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარის მონაწილეობით;*
• სკოლის დირექტორთა წახალისება, გამოიყენონ სკოლის მმართველობის უფრო დემოკრატიულ მიდგომა.	*სკოლის მმართველობის დემოკრატიული მიდგომის მხარდაჭერა გახდეს ყველა საჯარო სკოლის დირექტორის კანონით დადგენილი ვალდებულება, მაგ., ეს მოთხოვნა დაემატოს ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 42-ე მუხლით გათვალისწინებულ სკოლის დირექტორის ფუნქციებს, ან საჯარო სკოლის დირექტორების სტანდარტს.*

7.3. სამეურვეო საბჭო

• სკოლის სამეურვეო საბჭოს შეხვედრებზე მოსწავლეებთან დაკავშირებული საკითხების წამოჭრა;	*მუდმივ დღის წესრიგში დადგეს სამეურვეო საბჭოს შეხვედრებზე სკოლის დირექტორთა მიერ მოსწავლეთა მონაწილეობის სტატუსის შესახებ მოხსენება;*
• სკოლის სამეურვეო საბჭოში მოსწავლეთა წარმომადგენლობისათვის მეტი მნიშვნელობის მინიჭება;	*გაიზარდოს სკოლის სამეურვეო საბჭოზე მოსწავლეთა წარმომადგენლის როლი, მაგ., უზრუნველვყოთ დღის წესრიგში შესულ ყველა საკითხთზე აზრის გამოთქმის ავტომატური უფლება, ერთობლივი შეხვედრები მშობელთა წარმომადგენლებთან;*
• მოსწავლეთა წარმომადგენლების ამომრჩევლისადმი ანგარიშვალდებულების გაზრდა;	*სკოლის სამეურვეო საბჭოს შეხვედრებამდე მოსწავლეთა წარმომადგენლებმა კონსულტაციისათვის მიმართონ სკოლის მოსწავლებს, მაგ., იდეების ყუთები, კითხვარები, სოციალური მედიის გვერდი;*
• სკოლის სამეურვეო საბჭოში მოსწავლეთა წარმომადგენლობის ზრდა.	*გაიზარდოს სამეურვეო საბჭოში მოსწავლეთა წარმომადგენლების რაოდენობა, მაგ., მასწავლებელთა, მშობელთა და მოსწავლეთა წარმომადგენლების თანაბარი რაოდენობა.*

7.4. მოსწავლეთა თვითმმართველობა

• მეტი ახალგაზრდის მოტივირება მოსწავლეთა თვითმმართველობაში მონაწილეობის მისაღებად;	*მოსწავლეთა წარმომადგენლები ჩაერთონ თანატოლთა ინფორმირებაში მოსწავლეთა თვითმმართველობისა და მოსწავლეების სკოლის მმართველობაში მონაწილეობის უფლების ქონის შესახებ, მაგ., პოსტერების კამპანია, მოსწავლეთა ბროშურები, ვიდეორესურსები;*
• მოსწავლეთა თვითმმართველობის ორგანოების ანგარიშვალდებულების გაზრდა მათ წინაშე, ვისაც წარმოადგენენ;	*წახალისდეს მოსწავლეთა წარმომადგენლებსა და მათ ამომრჩეველ მოსწავლეებს შორის მუდმივი კომუნიკაცია, მაგ., საინფორმაციო დაფების, საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის, გადაწყვეტილებების თაობაზე კენჭისყრის, სოციალური მედიის ვებგვერდების მეშვეობით;*
• მოსწავლეთა თვითმმართველობის ინტეგრირება სკოლის მართვის უფრო ფართო პროცესში;	*შემუშავდეს მოსწავლეთა თვითმმართველობის სკოლის მართვის უფრო ფართო პროცესში ინტეგრირების მექანიზმები, მაგ., რეგულარული შეხვედრები სკოლის დირექტორთან, პედაგოგთა საბჭოსა და სკოლის სამეურვეო საბჭოსთვის ანგარიშის ჩაბარება.*
• ურთიერთობის დამყარება შესაბამის საზოგადოებრივ, საჯარო სექტორისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან;	*დახმარება გაუწიონ მოსწავლეთა თვითმმართველობის ორგანოებს, შესაბამის საზოგადოებრივ, საჯარო სექტორისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან დაამყარონ ურთიერთობა, მაგ.,მოსწავლეთა სახელმძღვანელო მითითებები სხვა ორგანიზაციებთან ერთად მუშაობის შესახებ;*
• მოსწავლეთა თვითმმართველობისთვის მეტი მნიშვნელობისა და სანდოობის მინიჭება როგორც სკოლაში, ასევე, მის ფარგლებს გარეთ;	*ფორმალიზდეს მოსწავლეთა თვითმმართველობის სამუშაო მეთოდები და პროცედურები, მაგ., წერილობითი წესდება ფუნქცია-მოვალეობებით, რეგულარული შეხვედრების მოდელი, მოსწავლე მმართველები, კომიტეტები, შეხვედრის ოქმები, გამოქვეყნებული დღის წესრიგი, სხვა სკოლების მოსწავლეთა თვითმმართველობებთან კავშირები და ა.შ.*
• მოსწავლეთა თვითმმართველობის ყველა ორგანო უზრუნველყოფს კეთილგანწყობილ ზრდასრულთა მხარდაჭერის მოპოვებას;	*მოსწავლეთა წარმომადგენლების მიერ ექსპერტულ რჩევასა და ტექნიკურ მხარდაჭერაზე რეგულარული წვდომის უზრუნველსაყოფად გზების მოძიება, მაგ., მოხალისე მასწავლებლების სტიმულირება, წამყვანი სტატუსის პედაგოგების პასუხისმგებლობების გაწერა სამოქალაქო განათლების მასწავლებლის სტანდარტში, სკოლის ადმინისტრაციის ჩართვა;*
• პატარა სკოლების მოსწავლეებისთვის თვითმმართველობის იმავე სარგებელზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, რაც უფრო დიდ სკოლებს აქვთ;	*შემუშავდეს და გავრცელდეს მოსწავლეთა თვითმმართველობის ისეთი ფორმები, რომლებიც ხელსაყრელია პატარა სკოლებისთვის, მაგ., წრის დრო;*
• მოსწავლეთა ონლაინთვითმმართველობის ახალი ფორმების მოძიება როგორც სკოლაში, ისე სკოლებს შორის.	*მოსწავლეთა თვითმმართველობის პლატფორმის ან აპლიკაციის შექმნა, რათა მოსწავლეებმა ონლაინ შეძლონ მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში და თვითმმართველობის აქტივობებში.*

7.5. კურიკულუმი

• სკოლის კურიკულუმების დაგეგმვასა და შემუშავებაში მოსწავლეთათვის სათქმელის დაფიქსირების შესაძლებლობის მიცემა;	*მასწავლებლები და სკოლის ლიდერები აღიჭურვონ პრაქტიკული სტრატეგიებით სკოლის კურიკულუმების დაგეგმვასა და შემუშავებაში ახალგაზრდების ჩასართავად, მაგ., მოსწავლეები დაეხმარონ არჩევით საგნებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებაში, მოსწავლეებმა იმუშაონ საგნობრივ კათედრებთან პროექტების დაგეგმაზე, მოსწავლეებმა დაგეგმონ და ჩატარონ მცირე გაკვეთილები;*
• ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საგნებსა და დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების სარეკომენდაციო ჩარჩოს შორის კავშირის გამონახვა.	*მასწავლებლებს მიეწოდოთ დემოკრატიული კულტურის კომპეტენციებთან საგნობრივი კავშირების მაგალითები და პრაქტიკული სტრატეგიები მათი კლასში პრაქტიკული დანერგვისათვის, მაგ. მოკლე სიტუაციური შემთხვევების ნაკრები მომხმარებლისთვის მოსახერხებელ ფორმატში.*

7.6. სწავლა და სწავლება

• მასწავლებელთა თავდა-ჯერებულობის მხარდაჭერა, მისცენ მოსწავლეებს შესაძლებლობა, გამოთქვან მოსაზრებები თავიანთ სწავლაზე;	*მასწავლებლებს მიეწოდოთ სწავლის პროცესში მოსწავლეთა მონაწილეობის გაზრდის პრაქტიკული სტრატეგიების ეტაპობრივი, ნაბიჯ-ნაბიჯ სახელმძღვანელო, მაგ.,მასწავლებლები მუშაობენ სხვადასხვა დონის სირთულეთა სერიაზე, დაწყებული მოსწავლეებისთვის მარტივი არჩევანის შესაძლებლობის მიცემით;*
• მასწავლებლებისთვის მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლის ისეთი მოდელის მიწოდება, რომელსაც თავიანთ საგანში გამოიყენებენ;	*მასწავლებლებს წარედგინოთ პროექტზე დაფუძნებული სწავლების ისეთი მოდელი, რომელის გამოიყენებაც შესაძლებელია ნებისმიერ საგანში, მაგ., სხვადასხვა ეტაპად დაყოფა, სადაც თითოეულ ეტაპს ახლავს მასწავლებლის ინსტრუქციები;*
• მასწავლებელთა დახმარება, უზრუნველყონ მოსწავლეების მიერ სწავლებაში ციფრული მედიასაშუალებების ინტეგრირება.	*ჩამოყალიბდეს მოსწავლეთა „ანალიტიკური ცენტრი“, რათა მოხდეს სხვადასხვა საგანში სოციალური მედიის სასწავლო ინსტრუმენტის სახით გამოყენების გზების მოძიება, მაგ., მოსწავლეთა თვითმმართველობის ქვეკომიტეტი, კლასგარეშე კლუბი, ან ინფორმაციული ტექნოლოგიების მოსწავლეთა ჯგუფი.*

7.7. სამოქალაქო განათლება

• ეფექტური მონაწილეობისთვის საჭირო უნარების სწავლება მოსწავლეთათვის;	*აღიჭურვონ სამოქალაქო განათლების მასწავლებელები საჭირო პრაქტიკული სტრატეგიებითა და რესურსებითა ეფექტური მონაწილეობის უნარების სწავლებისთვის, მაგ., მოსმენა, კვლევა, პრეზენტაციის წარდგენა, დარწმუნება, მოლაპარაკების წარმოება და ა.შ.*
• საკლასო აქტივობებისა და პროექტების დაგეგმვა რეალური ცხოვრებისეული საკითხების გარშემო;	*მოსწავლეები ჩაერთონ სამოქალაქო განათლების სადისკუსიო თემებისა და პროექტების შერჩევაში, მაგ., კენჭისყრა კლასში, მოსწავლეთა თვითმმართველობის წვლილი საგნობრივი კათედრის შეხვედრებში;*
• მოსწავლეთა დახმარება, რათა მათ შეძლონ მონაწილეობის შედეგად მიღებულ გამოცდილების კრიტიკული ანალიზი;	*სამოქალაქო განათლების მასწავლებელთა უზრუნველყოფა დებრიფინგის ტექნიკით, რომლის გამოყენებასაც შეძლებენ მოსწავლეებთან აქტივობების შემდეგ, მაგ., კითხვები მსჯელობის წარმართვისთვის, „წრის დახურვა“, „ცოდნის ხე“ და ა.შ.*
• მოსწავლეთა მონაწილეობის თვალსაზრისით, სამოქალაქო განათლების განსაკუთრებული როლის აღიარება.	*სამოქალაქო განათლების მასწავლებლები წახალისდნენ, ითანამშრომლონ სხვა საგნის პედაგოგებთან, მაგ., ერთობლივი პროექტები მოსწავლეთა მიერ შერჩეულ საკითხებზე.*

7.8. კლასგარეშე აქტივობები

• მეტი მოსწავლის ჩართვა კლასგარეშე პროექტებსა და აქტივობებში, მათ შორის მათი, ვინც ვერ რჩება გაკვეთილების შემდეგ;	*მოსწავლეების მხარდაჭერა, თანატოლებს უბიძგონ მონაწილეობის მიღებისკენ, მაგ., მოსაზრებების მოკვლევა, კენჭისყრის ორგანიზება. მოსწავლეები ჩაერთონ მოსწავლეზე ან თემთან დაკავშირებულ სასწავლო პროექტებში, მაგ., სასწავლო პროექტი კიბერბულინგზე;*
• კლასგარეშე აქტივობებში მონაწილეობის უფრო მაღალი დონისა და კრიტიკული ფორმების ხელშეწყობა;	*სკოლის ლიდერების, მასწავლებლებისა და მოსწავლეების სწავლება მონაწილეობის დონეებისა (ჰარტის კიბე) და მათი სხვადასხვა სარგებლის შესახებ, მაგ.,გზამკვლევი თანამშრომლების მონაწილეობისათვის, ბროშურა მოსწავლეთა ჯგუფებისთვის;*
• პროექტებთნ დაკავშირებით, ურთიერთობის დამყარება შესაბამის საზოგადოებრივ, საჯარო სექტორისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან;	*მოსწავლეთა თვითმმართველობის ორგანოებს გაეწიოთ დახმარება შესაბამის საზოგადოებრივ, საჯარო თუ კერძო სექტორისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან კავშირის დასამყარებლად, მაგ., მოსწავლეთა გზამკვლევი სხვა ორგანიზაციებთან მუშაობის შესახებ;*
• მოსწავლეებისთვის დაბალანსებული სპექტრის კლასგარეშე აქტივობებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;	*სკოლის კლასგარეშე აქტივობების მართვის გზების მოძიება, მთელ რიგ დაბალანსებულ აქტივობებზე, მოსწავლეთა ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, მაგ., მოსწავლეზე, სკოლასა და საზოგადოებაზე ორიენტირებული აქტივობების ბალანსი;*
• მოსწავლეების დახმარება, იგრძნონ, რომ შესწევთ უნარი არსებითი ცვლილებებისათვის;	*აქტივობები დაუკავშირდეს სკოლაში და სკოლის მიღმა მყოფ შესაბამის გავლენიან პირებს, მაგ., მოსწავლეთა თვითმმართველობას, პედაგოგთა საბჭოებს, სკოლის ხელმძღვანელობას, ადგილობრივ მთავრობას, არასამთავრობო ორგანიზაციებს, სოციალური მედიის ინფლუენსერებს და ა.შ.*
• მოსწავლეთა თვითმმართველობის ყველა ორგანოს უზრუნველყოფა პატივსაცემ ზრდასრულთა მხარდაჭერით;	*მოსწავლეთა წარმომადგენლების მიერ ექსპერტულ რჩევასა და ტექნიკურ მხარდაჭერაზე რეგულარული წვდომის უზრუნველსაყოფად გზების მოძიება, მაგ., წახალისების ფორმები მოხალისე მასწავლებელთათვის, ამის პასუხისმგებლობის სახით გაწერა სამოქალაქო განათლების წამყვანი მასწავლებლის სტანდარტში, სკოლის ადმინისტრაციის ჩართვა;*
• კლასგარეშე აქტივობებში მონაწილეობის ციფრული ფორმების მეტი გამოყენება.	*მოსწავლეთა ხელშეწყობა ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების ისეთი გზების მოძიებაში, რომლებიც გაზრდის მათ მონაწილეობას კლასგარეშე აქტივობებში, მაგ., სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ჯგუფთან ურთიერთობის დამყრება, სკოლის ვებგვერდის გამოყენება, რეგიონის სკოლებისთვის ონლაინპორტალის შექმნა და ა.შ.*

7.9. პროფესიული განვითარება

• სკოლის დირექტორთა ხელშეწყობა, მოსწავლეთა მონაწილეობასთან დაკავშირებით, საერთო სასკოლო მიდგომის დანერგვაში;	*შემუშავდეს და ჩატარდეს ტრენინგი დირექტორებისათვის მოსწავლეთა მონაწილეობასთან მიმართებით საერთო სასკოლო მიდგომის დანერგვის შესახებ, მაგ., ძირითადი ელემენტები, სარგებელი, დანერგვის პროცესი, მართვა, მონიტორინგი და შეფასება.*
• მოსწავლეთა მონაწილეობის საკითხებში სკოლის ბაზაზე პროფესიული განვითარების მიდგომების ხელშეწყობა;	*შემუშავდეს და ჩატარდეს ერთიანი სასკოლო ტრენინგ მოდელი მოსწავლეთა მონაწილეობისათვის, მაგ., ტრენინგის პროცესის ნაბიჯ-ნაბიჯ გზამკვლევი სკოლებისათვის;*
• მოსწავლეთა მონაწილეობის გამოყენება სკოლის პრობლემების გადასაჭრელად;	*შემუშავდეს და დაინერგოს სასკოლო სახელმძღვანელო პრობლემურ ქცევასთან გასამკლავებლად მოსწავლეთა მონაწილეობის გამოყენების შესახებ, მაგ., კონკრეტულ პრობლემაზე მოსწავლეთა მიერ მომზადებული სიტუაციური ანალიზის მასალა;*
• მოსწავლეთათვის საგანმანათლებლო პროცესში ჩართვის მეტი შესაძლებლობის შექმნა;	*შეგროვდეს პრაქტიკული სტრატეგიები საგანმანათლებლო პროცესში მოსწავლეთა ჩასართავად, მაგ., კურიკულუმის შემუშავებასა და განვითარებასთან, სკოლის პოლიტიკასთან და კლასში სწავლასა და სწავლებასთან კავშირში.*
• მასწავლებელთა დახმარება, მოსწავლეთა მონაწილეობასთან დაკავშირებით, ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მოთხოვნების საკლასო პრაქტიკაში გადმოტანაში;	*მასწავლებელთა დასახმარებლად, რათა შეძლონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მოთხოვნების დანერგვა, შემუშავდეს და გავრცელდეს მოსწავლეთა მონაწილეობის საკლასო სტრატეგიები, მაგ., დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების სარეკომენდაციო ჩარჩო, საგნობრივი კომპეტენციები;*
• ციფრული მედიასაშუალებების გამოყენება მოსწავლეთა მონაწილეობის გასაზრდელად.	*შემუშავდეს და ჩატარდეს ტრენინგი მასწავლებელთათვის მოსწავლეთა მონაწილეობის გასაზრდელად ციფრული მედიასაშუალებების გამოყენების შესახებ, მაგ., საკლასო სამუშაოებში, მოსწავლეთა თვითმმართველობებში, კლასგარეშე პროექტებში, დისტანციურ სწავლებაში.*

ანგარიში "სკოლის მოსწავლეთა ჩართვა გადაწყვეტილების მიღების პროცესებში საქართველოს სკოლებსა და თემებში" არის საქართველოში სკოლის დემოკრატიული მმართველობისა და დემოკრატიული მოქალაქეობისთვის განათლების სფეროში არსებული მდგომარეობის საბაზისო შეფასება, გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოსწავლეთა მონაწილეობის თვალსაზრისით. ეს შეფასება მიზნად ისახავს სკოლის დემოკრატიულ მმართველობაზე მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოს შემუშავების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას სკოლებისთვის და იძლევა პოლიტიკის შესახებ რიგ რეკომენდაციებს სკოლის დემოკრატიული მმართველობისა და დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლების გასაძლიერებლად. წინამდებარე ანგარიში ემხრობა სკოლის დემოკრატიული მმართველობის უფრო სტრატეგიულ მიდგომას, ორიენტირებას აკეთებს რა სკოლის დირექტორის როლსა და მოსწავლეთა მონაწილეობის მიმართ საერთო სასკოლო მიდგომის კონცეფციაზე. ანგარიში მომზადდა ევროპის საბჭოს ექსპერტების მიერ 2022 წლის ივლის-სექტემბერში პროექტის "დემოკრატია იწყება სკოლაში – მოსწავლეთა ჩართვა გადაწყვეტილების მიღების პროცესებში სკოლასა და ადგილობრივ თემში" ფარგლებში.

KAT

www.coe.int
www.coe.ge

ევროპის საბჭო არის ადამიანის უფლებათა მოწინავე ორგანიზაცია კონტინენტზე. იგი 46 წევრი სახელმწიფოსაგან შედგება, რომელთა შორისაა ევროკავშირის ყველა წევრი ქვეყანა. ევროპის საბჭოს ყველა წევრმა სახელმწიფომ ხელი მოაწერა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას – ხელშეკრულებას, რომლის ძირითად მიზანს ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის დაცვის უზრუნველყოფა წარმოადგენს. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ზედამხედველობს კონვენციის შესრულებას წევრ სახელმწიფოებში.

COUNCIL OF EUROPE

CONSEIL DE L'EUROPE